ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა თარგმნის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა

წოწკოლაური ნინო

დეივიდ ბერნიზერის „ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტური სტრატეგიები: პრევენცია და ინტერვენცია, ვაჭრობა და განათლება“

გამოცემულია 2001 წელს აშგეიტის საგამომცემლო კომპანიის მიერ
(I,II,III,IVდა V თავების) თარგმანი და თარგმანის ანალიზი

ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელები: პროფ. ნანა გაფრინდაშვილი
ფილოლოგიის დოქტორი: ლელა აბდუშელიშვილი

თბილისი
2019

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია დეივიდ ბერნიზერის წიგნის „ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტური სტრატეგიები: პრევენცია და ინტერვენცია, ვაჭრობა და განათლება“ (I-V თავების) ქართულად თარგმნა და თარგმანმცოდნეობის თანამედროვე მოდგომების გათვალისწინებით ამ თარგმანის გაანალიზება.

თემის აქტუალობას და პრაქტიკულ ღირებულებას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ქართველ მკითხველს გავაცნოთ ისეთი ნაშრომი, რომელშიც მოცემულია სხვადასხვა უფლებადამცველის მიერ ადამიანის უფლებების, როგორც უნივერსალური ადამიანური ღირებულებების, დაცვასთან დაკავშირებული სტრატეგიები.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის მთარგმნელობითი ანალიზისათვის გამოყენებული თარგმანმცოდნეობითი და ლინგვისტური თეორიები და სხვადასხვა მკვლევართა ნაშრომები ამ სფეროში.

Annotation

The purpose of this master's thesis is to translate David Barnhizer's book "Effective Strategies for Protecting Human Rights: prevention and intervention, trade and education“ (I-V chapters) into Georgian and analyze this translation by taking into consideration modern translation studies.

The actuality and practical value of the topic determines the fact that the Georgian reader will introduce a work in which strategies, related to the protection of human rights as universal human values are given by the various human rights advocates.

The theoretical foundation of the thesis creates the translationary and linguistic theories used for translation analysis and the works of various researchers in this field.

სარჩევი

შესავალი..... 5

ადამიანის უფლებათა დაცვის დაცვის ეფექტური სტრატეგიები: პრევენცია და ინტერვენცია, ვაჭრობა და განათლება..... 7

1. ადამიანის უფლებების სტრატეგიები გამოძიებისა და „შერცხვენისათვის“, გლობალური რიტორიკის შეწინააღმდეგება, განათლება 8

2. ადამიანის უფლებათა დარღვევების აღრიცხვა აფრიკაში- მონიტორინგის, გამოძიებისა და ადვოკატირების ფუნქციები..... 21

3. ჟურნალისტთა მიზანში ამოღება ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელების თავიდან ასაცილებლად..... 35

დასკვნა..... 46

4. ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოძიება, ზოგიერთი მაგალითი ამ სფეროდან. 48

5. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, განსაკუთრებით კი ინტერნეტის გამოყენება ადამიანის უფლებების დაცვისა და ხელშეწყობისათვის, რომელიც მოიცავს დანაშულის შემჩნევას, ადრეულ სტადიაზე გაფრთხილებასა და პრევენციას1..... 61

დასკვნა..... 109

ბიბლიოგრაფია..... 111

დანართი 1

დანართი 2

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს დეივიდ ბერნიზერის მიერ გამოცემული წიგნის: „ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტური სტრატეგიები:პრევენცია და ინტერვენცია, ვაჭრობა და განათლება“ პირველი ხუთი თავის თარგმანს და თარგმანის ანალიზს. სათარგმნელად შერჩეული წიგნი დაყოფილია 17 თავად. თითოეულ თავში განსაზღვრულია ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები, პრობლემების განსაზღვრასთან ერთად მოცემულია ამ პრობლემების გადაჭრის გზები და სხვადასხვაგვარი სტრატეგიები, რომლებიც ეფუძნება ადამიანის უფლებათა დამცველებისა და აქტივისტების მრავალფეროვან გამოცდილებას. წიგნში განხილული საკითხების მნიშვნელობას, როგორც ამას თავად ავტორი განმარტავს, განაპირობებს იმ სტრატეგიული პერსპექტივების კომბინაცია, რომლებიც ეფუძნება იმ უფლება დამცველების კონკრეტულ ცოდნასა და გამოცდილებას, რომლებმაც მთელი თავიათი სიცოცხლე მიუძღვნეს ადამიანის ისეთი ფუნდამენტური უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლას, როგორებიცაა წამება, არაადამიანური მოპყრობა, ქალთა მიმართ ძალადობა, გენოციდი, ექსპლუატაცია და სხვა.

სათარგმნელად აღებულ ნაშრომში წარმოდგენილი თემის აქტუალურობას განსაზღვრავს ის მზარდი ინტერესი, რომელიც უკავშირდება ადამიანის უფლებებს, რადგანაც ადამიანის უფლებები ეს არის მარადიული და უზენაესი ადამიანური ღირებულებები, ეს არის თანდაყოლილი უფლებები, რომელსაც კონსტიტუციაც კი არ ანიჭებს ადამიანს, იგი მხოლოდ სცნობს და იცავს მას. თუმცა დღესდღეობით ადამიანის უფლებები ირღვევა მსოფლიოს თითქმის ყველა ნაწილში. შესაბამისად, ადამიანის უფლებების დაცვა და მის დასაცავას გარკვეული სტრატეგიების შემუშავება უაღრესად მნიშვნელოვანია.

სათარგმნელად შერჩეული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს იმ მრავალსპექტრიანი გამოცდილების გაზიარება, რომელიც უფლებადამცველებმა შემოგვთავაზეს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით, მაგალითების საფუძველზე მათ მიერ გამოვლენილია ის მიდგომები, რომლებიც ამართლებს და ისინიც რომლებიც არ ამართლებს. ნაშრომი დაყოფილია მიმართულებებად. პირველი მიმართულების მიზანია, ადამიანის უფლებათა დარღვევებზე მონიტორინგისა და გამოძიების

სტრატეგიების შემოთავაზება, ძლიერი საინფორმაციო და კომუნიკაციური საშუალებების, განსაკუთრებით კი ინტერნეტის მეშვეობით, რადგანაც ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში ზუსტი და დროული ინფორმაცია არის შეუცვლელი მექანიზმი და არსებითი წინაპირობა ეფექტური საპასუხო მოქმედებისა, ადამიანის უფლებების დაცვის ხელშემწყობი ორგანიზაციების, ინდივიდების, მთავრობებისა თუ საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ. საპასუხო ინფორმაციის გამოყენება ადამიანის უფლებათა დარღვევებზე უნდა იყოს ზუსტი, დროული და ვერიფიცირებული. ინტერნეტი კი ამის მნიშვნელოვანი გარანტია. იგი ადამიანის უფლებათა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ინდივიდუალურ აქტივისტებს საშუალებას აძლევს, რომ ვებგვერდებისა და ელფოსტების, როგორც უსწრაფესი საკომუნიკაციო საშუალების დახმარებით დაიცვან, როგორც ადამიანის უფლებები, ასევე დროულად გამოააშკარაონ დარღვევები და სიტუაციების აღმოჩენების კვალდაკვალ მიიღონ სათანადო ზომები.

ყურადღება გამახვილებულია, აგრეთვე ჟურნალისტების როლზე ადამიანის უფლებათა დარღვევების გაშუქების პროცესში, რომლის დროსაც, ხშირად ხდება ჟურნალისტთა მიზანში ამოღება, იმისათვის, რომ არ მოხდეს უფლებების დარღვევებთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება.

მეორე მიმართულებაში ადამიანის უფლებებთან მიმართებით განხილულია ვაჭრობისა და გლობალიზაცის რთული და ხშირ შემთხვევაში დაუძლეველი პრობლემები.

ბოლოს კი საგანმანათლებლო სტრატეგიებია განიხილული. საგანმანათლებლო ანალიზი ყურადღებას ამახვილებს იმ ადამიანთა განათლების არაერთგზის საჭიროებაზე, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში, ეს ანალიზი ასევე განიხილავს როგორც, იმ მოსამართლეებისა და პროკურორების ქცევას, რომლებიც კანონის ძალით ახორციელებენ უკანონო ქმედებებს, ასევე ყურადღებას ამახვილებს პოლიციელებისა და სამხედროების მიერ ჩადენილ დარღვევებზე.

ადამიანის უფლებათა დაცვის დაცვის ეფექტური სტრატეგიები: პრევენცია და ინტერვენცია, ვაჭრობა და განათლება

რედაქტორი: დეივიდ ბერნიზერი

კლევერლენდის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

აშგეიტი

დართმაუსი

1 ადამიანის უფლებების სტრატეგიები გამოძიებისა და „შერცხვენისათვის“, გლობალური რიტორიკის შეწინააღმდეგება, განათლება

დეივიდ ბერნიზერი

წინამდებარე თავში განხილული საკითხების მიდგომის სიძლიერეს განაპირობებს კონკრეტულ ცოდნაზე დაფუძნებული სტრატეგიული პერსპექტივების კომბინაცია, რომელიც შემოგვთავაზეს იმ ადამიანებმა, რომლებმაც მთელი თავიანთი სიცოცხლე მიუძღვნეს წამების დასრულების, გენოციდის, თავისუფლების თვითნებურად აღკვეთის, ქალთა მიმართ ძალადობის, სექსუალური სისასტიკისა და ექპლუატაციის გზით, მათი იძულებითი დამორჩილების წინააღმდეგ ბრძოლას. ამ თავში იკვეთება სამი ძირითადი მიმართულება. პირველი მიმართულება მოიცავს ადამიანის უფლებების პოტენციურ დარღვევებზე მონიტორინგისა და გამოძიების სტრატეგიებს, რომელიც გაუმჯობესებულია ძლიერი საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით. ამ საკითხის ანალიზის ერთი ნაწილი შედის ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელის, ანა კუპერის ნაშრომში, რომელიც მთლიანად ეფუძნება ადამიანის უფლებათა დამრღვევებს, როგორც მთავრობებს შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, ჟურნალისტების არიდებას მათი დანაშაულებრივი საქმიანობების მოწმეობისა და ნანახის მსოფლიოსთვის გადაცემისგან, რის გამოც ჟურნალისტებს ხშირად კლავენ, აწამებენ და აპატიმრებენ. მეორე ძირითადად ხაზს უსვამს ვაჭრობის გლობალიზაციის დაუძლეველი და რთული თანაკვეთის შესწავლას. მათ შორის, ადამიანის უფლებათა დარღვევების ტენდენციას, ანტიდემოკრატულ რეპრესიასა და ეკოლოგიურ ზიანს. ბოლოს კი საგანმანათლებლო სტრატეგიების მრავალფეროვანი სპექტრი განიხილება. საგანმანათლებლო ანალიზი ფუკუსირებას ახდენს არა მხოლოდ ფართო მასშტაბის ხალხთა განათლების არაერთგზის საჭიროებაზე, იმ ხალხისა, რომელთა მორალური აღშფოთება არსებითია იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს შეუპოვარი პოლიტიკური ნება, რომელიც საჭიროა გადამწყვეტი ზომების მისაღებად, რათა თავიდან იქნას აცილებული დარღვევები და მოხდეს დაპატიმრება და დასჯა იმ შემთხვევაში, როცა პრევენცია არ ამართლებს, ეს ანალიზი აგრეთვე განიხილავს იმ მოსამართლეების და პროკურორების

უკანონო ქმედებას, რომლებიც მოქმედებენ კანონის ძალით, ასევე ადამინის უფლებათა პოტენციურ დამრღვევებს, როგორიცაა, პოლიცია და სამხედრო.

ამ წიგნის მთავარი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ახლა გვაქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება ადამიანის უფლებების დარღვევებზე,- ხშირ შემთხვევაში, ჩვენ სუსტ და დაგვიანებულ მცდელობების შეზღუდვებზე, რომ თავიდან იქნეს აცილებული დარღვევები, და აეკრძალოთ იმ პირებს უფრო უარესი ბოროტმოქმედების ჩადენა , რომელსაც ისინი აუცილებლად განახორციელებდნენ , რომ არა შიში შესაძლო სანქციებისა. იმ ფართოსპექტრიანი გამოცდილებებიდან გამომდინარე, მაგალითების საფუძველზე უკვე შესწავლილია ის მიდგომები რომლებიც ამართლებს და რომლებიც არ ამართლებს. სტრატეგიული ანალიზი მოიცავს იმის საჭიროებას, რომ სიღრმისეულად გავიგოთ, თუ როგორ შეიძლება იმუშაოს სისტემამ უფრო ეფექტურად ადამიანის უფლებათა დარღვევების თავიდან ასაცილებლად და იმ გზების შესამუშავებლად რითაც, თუკი ამ დარღვევების სრულიად აღმოფხვრა ვერ მოხერხდება მინიმუმამდე მაინც იქნეს დაყვანილი. ამის გასაკეთებლად საჭიროა ჰუმანიტარული მისია საუკეთესო სტრატეგიების იდენტიფიცირებისა და უფლებათა დამრღვევებისათვის სანქციების გასატარებლად.

ადამიანის უფლებების დაცვა გულისხმობს პრევენციასა და გამოაშკარავებას, ასევე რეაგირების მოხდენას მსხვერპლთა დასახმარებლად და ბოროტმოქმედებებისგან განადგურებული საზოგადოებისათვის რეაბილიტაციის პროცესში თანადგომის გაწვას. ეს კი მოითხოვს აშკარა ყურადღებას , ძლიერ მოქმედებასა მყარ პოლიტიკურ ნებას, რათა უზრუნველყონ უწყვეტი მხარდაჭერა ასეთ მოქმედებებზე და ზეწოლა მოახდინონ ამგვარი გადაწყვეტილების მიმღებ პოლიტიკოსებზე. იგი აგრეთვე მოითხოვს რესურსების გადანაწილებას იმ სხვადასხვა დონის შესაბამისად, რომელიც მიმართულია ადამიანის უფლებათა დარღვევის ასაცილებლად, დაზარალებული საზოგადოების რეაბილიტირებისა და ამ უფლებათა დამრღვევებისათვის სანქციების დასაწესებლად. ადამიანის უფლებათა დაცვა მოითხოვს შესაძლებლობასა და სურვილს, რომ შემოიღონ გონივრული და შესაფერისი სანქციები, ასევე ახდენს პოლიტიკური ნების სტიმულირებას, რომელიც საჭიროა ამ სანქციების უზრუნველყოფისა და განხორციელებისთვის. სათანადო სანქციებით „საქმის ბოლომდე მიუყვანლობის“

უუნაროობა ასუსტებს არასამხედრო სანქციების მთლიან სისტემას. რა თქმა უნდა, თავდაპირველი შერჩევა არასათანადო და არაჯეროვნად მიზანმიმართული არასამხედრო სანქციებისა თავისთავად წარმოადგენს რთულ სტრატეგიულ პრობლემას, მაგალითად, როგორიც არის სანქციების გამოყენება ერაყში სადაც შედეგები დგება ჩვეულებრივ ადამიანებზე, რომლებიც უუნაროონი არიან შექმნან საკმარისი ოპოზიციური ძალა იმისათვის, რომ ზეგავლენა მოახდინონ რეალურ სამიზნე-სადამ ჰუსეინზე.

როდესაც კონკრეტული და დეტალური მოქმედებები და სტრატეგიები მოითხოვება, შთამბეჭდავი განცხადებები ნებას რთავს პოლიტიკურ ლიდერებს რომ მაღალ ნოტაზე გამოაცხადონ თავიანთი ვალდებულებები საერთაშორისო ფორუმებზე, მაშინ როცა მათი ქვეყნის შიგნითა ქცევები ჯერ კიდევ უცვლელი რჩება. იმის დაჟინებით მტკიცება, რომ ეროვნული მოხელეების მიერ სხვების ჩაგვრას ძლიერი შედეგები მოყვება, შეიძლება მხოლოდ მიამიტობა იყოს. მაშასადამე, მნიშვნელოვანია იმ ფაქტის ყურადღებაც, რომ თუ „დოკუმენტების სისტემას“ გადავხედავთ ბევრი ქვეყანა და კერძო სექტორში მომუშავე მოხელეები შეიქმნა იმისათვის, რომ ეწარმოებინათ ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებები. იმ „ვუალის“ ჩაწვდომა რომლითაც ინიღბება მთავრობა ადამიანის უფლებების ხელშეკრულებების ტერმინის ქვეშ სასიცოცხლოდ აუცილებელია პიტერ ტაკირამბუდეს მიხედვით. გულახდილები რომ ვიყოთ მოხალისეთა კოდექსების უუნარობა ან/და მსუბუქი საკანონმდებლო ნორმები აყალიბებს ადამიანის უფლებათა დამრღვევების პოტენციურ ქცევას.

დაკვება, მონიტორინგი და „შერცხვენა“

ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში სიძლიერის აუცილებელი ხარისხის მიღწევა მოითხოვს ჩვენი შესაძლებლობების გაზრდას ბევრ დონეზე.ეს გულისხმობს ჩვენი შესაძლებლობების გაუმჯობესებას, დარღვევების მონიტორინგისა და გამოძიების დროს. ეს კრიტიკული ფუნქციები აღწერილია პიტერ ტაკირამბუდეს, ანა კუპერის, ჯეისონ კლეის, ქრისტოფერ დეკერის და ედვარდ ჰალპინის მიერ. მაგრამ ადამიანის უფლებების ძლიერი დაცვა, ასევე მოითხოვს იმის გარანტიას, რომ ადამიანის უფლებების სასამართლოში განხილვები შეიძლება ცენტრალიზებულად მოექცეს

მკვეთრად გაზრდილი საერთაშორისო სავაჭრო რეჟიმის ნორმებში. რომელიც, ამჟამად ჰუმანიტარულ შეხედულებების იგნორირების გამო, საფრთხის ქვეშ იმყოფება, იმისათვის, რომ მიღწეული იქნას მზარდი სავაჭრო ეფექტიანობა. მარიანა მოლმანის, მალინი მერას ,დეივიდ ბერნიზერის, ფრანკ გარსიასა და ჟორჟ ვარელას „თავებში„ სწორედ ამ შეხედულებებზე ხდება ყურადღების გამახვილება. თუ გლობალიზაცია და თავისუფალი ბაზარი მუდმივი ზეწოლის ქვეშ იმყოფება, როგორც ამჟამად ჩანს რომ არის, დროა, რომ ისინი მოვაქციოთ ღიაობისა და გაძლიერებული დემოკრატიზაციის რიტორიკაში, რასაც მათი ადვოკატები ხშირად იყენებენ ფართო მასშტაბიანი საბაზრო ეკონომიკის ცვლილების გასამართლებლად. მიზანშეწონილია იმის მოთხოვნაც, რომ სავაჭრო რეჟიმი იყენებდეს იმ ძალასა და გავლენას რომელიც უფლებას მისცემს თავის ინსტიტუციონალურ მოხელეებს რომ გააფართოვონ ეკონომიკური აქტივობები და გაზარდონ ფინანსური ინტეგრაცია, როგორც მექანიზმი რომლის საშუალებითაც დაცულნი იქნებიან ის პირები რომელთა უფლებებიც უხეშად დაირღვა და ამ უფლებათა დამრღვევები კი დაისჯებიან ან შემაკავებელი ზომები იქნება მიღებული მათ წინააღმდეგ. სხვა შემთხვევაში გლობალიზაციის რიტორიკა მეტი არაფერია თუ არა გაფრთხილება და ხელახლა შეფუთუთული სიკეთის პროპაგანდა, რომელიც ხანგრძლივი პოლიტიკური დისკურსით ხასიათდება შეერთებულ შტატებში.

არსებობს ადამიანის უფლებათა ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების რამდენიმე გასაღები. ადრეულ სტადიაზე დარღვევების გამოაშკარავება და ოფიციალური გაფრთხილების მიცემა კრიტიკულია. ამის განხორციელების სტრატეგიებს გვთავაზობენ ტაკირამბუდე და ჰალპინი. მნიშვნელოვანია , რომ ინტერვენციის პროცესი დაიწყოს და უმალვე მოხდეს ზეწოლა უფლება დამრღვევების მიმართ იქამდე, სანამ უარესი ძალადობები აღმოცენდება. ეს აშკარად რთულია ბევრ შემთხვევაში, რადგანაც ჩვენ შეიძლება არ ვიცოდეთ მოსალოდნელი პრობლემების შესახებ ადრეულ სტადიაზე ან/და იმ დროისთვისაც კი, პრობლემა შეიძლება იყოს ძალიან აშკარა და დიდი. მაგრამ, ის მოცემული ტრაგედიები, რომლებიც დატრიალდა კამბოჯაში, რუანდაში, კოსოსვოში, ბოსნიაში, ჩეჩნეთსა და სხვა ბევრ ქვეყანაში უდანაშაულოდ ყოფნის უფლებას აღარ გვაძლევს. რუანდის მაგალითზე, რეისონის და დრამბლინის მიერ მოცემული ანალიზის თანახმად, სამწუხაროდ ერთი რამ ცხადად იკვეთება, ჩვენ შედარებით

ადრეულ ეტაპზევე ვიცოდით რა ხდებოდა, თუმცა უბრალოდ არაფერი მოვიმოქმედეთ ამ მკვლელობების შესაჩერებლად. როგორც რიჩარდ გოულდსტოუნი აკვირდებოდა აფრიკელად ყოფნის პერსპექტივებიდან გამომდინარე დიდი ძალაუფლების მქონე პირებმა იქამდე არაფერიც არ მოიმოქმედეს, სანამ გენოციდი ხელახლა არ დაბრუნდა ევროპაში. გამოძიების, მონიტორინგის და ზეწოლის მოხდენის დრო, სამხედრო ძალის გამოყენებისაც კი მანამდე იყო, სანამ კოსოვოსა და აღმოსავლეთ ტიმორის ტრაგედიები დატრიალდებოდა. ეს მოითხოვს რომ ჩვენ წინასწარ განვჭვრიტოთ შესაძლო შედეგები და მივიღოთ ზომები იქამდე სანამ დარღვევები გაგრძელდება. წინასწარი ზომების მიღება იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ პოტენციური კრიზისი, არის ერთ-ერთი იმათგანი, რასაც სინამდვილეში არც ისე კარგად ვაკეთებთ. ამის სანაცვლოდ ჩვენი პოლიტიკური სისტემა იცდის იქამდე, სანამ პრობლემა, კრიზისად ბოლოს კი ტრაგედიად არ გადაიქცევა, იქამდე სანამ პოლიტიკური ლიდერებს არ გაუჩნდებათ კეთილი ნება, რომ იმოქმედონ.

ინტერნეტი უზრუნველყოფს სადაზვერვო შეკრების სისტემას, რომელიც შორს არის იმისგან, რასაც ისტორიულად თითქმის ნებისმიერი ხელისუფლება ფლობდა რეალურად, რომ აღარაფერი ვთქვათ რიგით მოქალაქეებზე. ის უზრუნველყოფს რეალურ დროში კომუნიკაციას, თავისუფალ საჯაროობას, ინფორმაციის გავრცელებასა და შიდა ორგანიზაციულ ქსელს. სადაზვერვო შეკრება, ინფორმაციის გავრცელება და ქსელი შექმნილია, ფართო მასშტაბიანი მოქმედებებისთვის, საჯარო ინტერესების გათვალისწინებით. შედეგად, ეს კონკურენტუნარიანი თამაში ადამიანის უფლებათა აქტივისტებსა და მათ მოწინააღმდეგეებს შორის განუზომლად შეიცვალა. ეს ნახსენებია ტაკირამბუდეს მიერ მონიტორინგის დროს სატელიტური ფოტოების გამოყენების აღწერაში. ანა კუპერის მიერ ჟურნალისტთა კომიტეტის დაცვის საქმის განხილვაში და ჯეისონ კლეის ანალიზში, რომელიც ეხება იმ შეცვლილ პირობებს, რომლის დროსაც ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორები მუშაობენ ახალი ტექნოლოგიების საშუალებით. მაგრამ ადამიანის უფლებათა დამცველებს უწევთ უფრო მეტის გაკეთება იმისათვის, რომ აიღონ სრული უპირატესობა თავიანთ ახალ საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. ამ საქმის შესწავლის ზოგიერთი გზა სიღრმისეულად არის აღწერილი ედვარდ ჰალპინის მიერ , რომელიც გვიჩვენებს თუ როგორ შეიძლება იქნას

გამოყენებული საინფორმაციო ტექნოლოგიები და ინტერნეტი ადამიანის უფლებათა კონტექსტში. ხოლო, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება იმისათვის რომ შექმნან და შემდგომში შეინარჩუნონ დეტალური ჩანაწერები კოსოვოში დარღვევებზე, აღწერილია კრისტოფერ დეკერის მიერ.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ის, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიებმა შეცვალა ის წესები, რომლებიც დაკავშირებულია ძლიერი ინსტიტუტებისა და მთავრობების ქცევასთან. ისეთი დაწესებულებები როგორიცაა: მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მიჩვეულნი არიან გამჭირვალე პროცესების გარეშე მოქცევას და ბევრ ეროვნული მთავრობასთან ერთად, ისინი თავიანდ სასურველ გადაწყვეტილებებს აღწევენ დახურულ კარს მიღმა, ან ფრთხილად შერჩეული ინტერესებით ხდება მონაწილეების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. მათ აქვთ ხანგრძლივი მოლოდინები თავიანთი კეთილგანწყობისა და გამოცდილების. ინტერნეტში მრავლადაა ისეთი ინფორმაცია, რომელიც თვალებში ნაცარს გვაყრის და შორდება გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ეს უფლებას აძლევს აქტივისტებს მოახდინონ ადრეული ჩარევა ინსტიტუციების გეგმებზე და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, იმ გზებით რომელიც გამოიწვევს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებასა და იძულებას, რომ ეს საკითხები თავიანთ დღის წესრიგში დააყენონ.

გლობალიზაცია, ვაჭრობა და ადამიანის უფლებები

გლობალიზაცია, ვაჭრობა და ადგილობრივი მოსახლეობისა და მცირე თემების უფლებების დაცვა, ერთმანეთს არ შეესაბამება, ეს მნიშვნელოვნად გამოწვეულია სრულიად განსხვავებული ინტერესებით, რომელიც ემსახურება ნებისმიერი ქვეყნის მთავრობების რეალურ ინტერესებს. უფრო მეტიც, არსებობს განხეთქილება კაპიტალის მქონე ელიტარულ წრეებსა, რომელებიც თითქმის ყოველთვის აკონტროლებენ ქვეყნების უმეტესობას და ადგილობრივ მოსახლეობას შორის, რომელებიც ცხოვრობენ უფრო მეტად სოფლებში და სანაპირო ზოლზე. ბევრ ქვეყანაში და, განსაკუთრებით, ბევრ განვითარებად ქვეყნებში, საფინანსო, საგარეო ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარების სააგენტოები უფრო ძლიერი და გავლენიანები არიან, ვიდრე ისინი,

რომლებიც პასუხისმგებლები არიან გარემოს დაცვასა და სოციალურ საკითხებზე. მაგრამ უთანასწორობა იმ ფაქტითაც არის განპირობებული, რომ უცხოური ვაჭრობა, ფინანსები, ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაცია და ეკონომიკური განვითარება არსებობს იქ, სადაც შეიძლება ფული გაკეთდეს და გარიგებებიც შუამავლობით დაიდოს. ისინი, ვინც ცდილობენ შეინარჩუნონ არსებული სიმდიდრე, ან წვდომა ჰქონდეთ შესაძლებობებზე, რომ გაზარდონ თავიანთი რესურსები სავარაუდოა, რომ მიისწრაფიან იმ სამინისტროებისაკენ რომლებიც ფულსა და ფინანსურ შესაძლებლობებს აკონტროლებენ, ვიდრე იმათკენ, ვინც პასუხისმგებელია გარემოსდაცვასა და სოციალურ კეთილდღეობაზე. განსხვავებული ტიპის სააგენტოების ძალაუფლებისა და გავლენის უხეში უთანასწორობა ნიშნავს იმას, რომ კანონები მიმართული ან იგნორირებული იქნება ძირითადად ინტერესთა სფეროს გავლენის მიხედვით. ღარიბ ხალხს აქვს სწავლების, წარმომადგენლობის და ხმის ამოღების უფლების ნაკლებობა. მათი ინტერესები თითქმის ყოველთვის იქნება დაქვემდებარებული იმ ჯგუფებზე, რომლებიც მართავენ ქვეყანას.

ბევრი რამ გაკეთდა ინფორმაციაზე დაფუძნებული ეკონომიკისა და გლობალური მასშტაბის ეკონომიკური კონკურენციის ცვლილებებისათვის. უხილავი ეკონომიკის მოხელეები დაჯილდოვებულები არიან იმ ძალებით, რომლებსაც ბევრი ეროვნული მთავრობა ფლობს. საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ეკონომიკური მასშტაბების მეშვეობით, დიდი და ძლიერი ინსტიტუტების შესაძლებლობების ფარგლებში ხდება კვანტური ცვლილებები, წყაროების კონცენტრირებისა და მობილიზების მიზნით. მათ შეუძლიათ, გამოიყენონ თავიანთი გლობალური ძალაუფლება, რათა მანიპულირება მოახდინონ ეროვნული პოლიტიკის შექმნაზე, ზეგავლენა იქონიონ როგორც კორუფციულ,ისე პატიოსან პოლიტიკურ ლიდერებზე, და თავიანთი აქტივობების ბაზები და წყაროები მართონ თავისუფლად. თუ ისინი უფრო კარგ გარიგებებს სხვაგან ხედავენ ან თუ მათი აღიარების მცდელობას ეწინააღმდეგებიან. ამგვარმა ცვლილებებმა კაპიტალის საქმიანობის მასშტაბით, სიჩქარითა და მობილურობით, ისე გარდაქმნა ეკონომიკური მოხელეები, რომ რომ მათი ქმედებები დიდწილად უპასუხისმგებლოა. ეს ტრანსმუტაცია ინფორმაციული სისტემებით და კაპიტალის მობილიზებით ნიშნავს იმას, რომ იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ სრულად გლობალურ

ბაზარზე, ეროვნული სუვერენიტეტის ტრადიციული ფორმები გახდა ექსცენტრიული გადმონაშთები.

„თავისუფალი ბაზრის გლობალიზაციის“ დამცველები კამათობენ იმ საკითხზე, რომ დემოკრატია კი არ ვითარდება, არამედ, მისი ცნება საფრთხის ქვეშ დგას. იმ მასშტაბის მიერ რომლსაც უზარმაზარი ძალის მქონე უპასუხისმგებლო ეკონომიკური გიგანტები მართავენ ასევე ინსტიტუტების იმ თანაბარი მასშტაბების მიერ, როგორიც არის მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. ის ცვლილება, რასაც გლობალიზებული ეკონომიკურ/პოლიტიკური სისტემა ანხორციელებს, შერწყმულია ადამიანის უფლებების არსთან. მეორეს მხრივ ბაზარზე ორიენტირებული ქცევა არ არის დადებითი ღირებულებების ბირთვი. ის ფუნქციონირებს საკუთარი თავისათვის, იმისათვის რომ მიაღწიოს მოგებასა და კონკურენტუნარიან ძალას, მაშინ, როცა ის აყალიბებს გარემოს, რომელშიც ის ფუნქციონირებს იმისათვის, რომ მიაღწიოს თავის მიზანს. თავისი თავის გადასარჩენად თავისუფალი ბაზარი ავტომატურად დაარღვევს ადამიანის უფლებებს. სხვაგვარად მოქცევა მოითხოვს საკომპენსაციო სტიმულს, რომელიც უზრუნველყოფს და ფორმას აძლევს ბაზრის მონაწილეთა ქცევას . ეს მოითხოვს ძლიერ საჯარო და კერძო ინსტიტუტებებს, რომლებიც შეიქმნენ იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ მთავრობების, კორპორაციებისა და მრავალფუნქციური ინსტიტუტების ანტიდემოკრატიული ქცევას.

ასეთი ძლიერ დაპირისპირებული ინსტიტუტები ხდებიან კრიტიკულები, როდესაც საქმე ეხება გლობალური ეკონომიკური სისტემის დაცვას და სისტემის ჩამოყალიბება ხდება იმგვარად , რომ დაწინაურდეს სოციალური საქონელი. ეს საჭიროა, იმისათვის,რომ გლობალური ეკონომიკური სისტემის ძლიერი საჯარო და კერძო ინსტიტუტები მოქმედებენ ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეების კონტროლის გარეშე. ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს, ქმნიან პოლიტიკას, ახორციელებენ ისეთ ქმედებებს რომელსაც არასდროს დათანხმდებოდნენ რომელიმე კონკრეტული ერის მოქალაქეები. მაშინ როცა ისეთი ქვეყნის არჩეულ წარმომადგენლებსაც კი , როგორიცაა შეერთებული შტატები აქვთ მხოლოდ პატარა ხმის უფლება საერთაშორისო ინსტიტუტების გადაწყვეტილებებში-ვიდრე იმათ ვინც ფორმალურ და სუსტად არიან

დაკავშირებული და მოქმედებენ საკანონმდებლო თანხმობით კონკრეტული ხელშეკრულების პირობებით, რომლითაც განისაზღვრება უფლებამოსილება. ამას შედეგად მოყვება ის, რომ პოლიტიკური კონტროლისა და მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები გადაწყვეტილების მიღებაზე, რომელიც ყველაზე ფუნდამენტური გზით ახდენს ზეგავლენას მათ ცხოვრებაზე ხდება სულ უფრო და უფრო შორეული. ეს საკითხი სხვადასხვანაირად არის განხილული გარსიას, მოლმანის, ვარსელას ბერნიზერის და მერას მიერ.

არც ერთი რეგულარული კომპლექტი სახელმწიფო და მარეგულირებელი ორგანიზაციებისა არ არის ნებადართული მასიური საჯარო და კერძო ძალების გაზრდის დაბალანსებისთვის. თუმცა, ინტერნეტი გარკვეულწილად გვაძლევს იმის იმედს, რომ მას შეუძლია შექმნას ასეთი მოწყობილობა. მაგრამ ინტერნეტის პოტენციალი არის გამოძიების გაუმჯობესება და არასამთავრობო ორგანიიზაციებსა და ინდივიდუალური მოქალაქეებს შორის ინფორმაციის გაზიარება და მობილიზაციის შესაძლებლობები, ვიდრე მთავრობების და მრავალმხრივი ორგანოების. ეს მნიშვნელოვანი საშუალება გახდა ამგვარი ინსტიტუტებისთვის გადაწყვეტილების მიღების გამჭირვალობის ზრდისთვის.

გაზრდილი და განვითარებული ეკონომიკური ინვესტიციების შედეგი ღარიბ ქვეყნებში სავარაუდოდ ქმნის ნაკლებად ხელსაყრელ პირობებს არაეფექტური, კორუფციული ან/და ანტიდემოკრატიული მთავრობებისათვის, რომლებიც ახლა ამტკიცებენ, რომ უფრო დიდი საერთაშორისო დაკვირვებით მოქმედებენ. გარკვეულწილად, ეს არგუმენტი წარმოადგენს ილუზიას. განვითარებადი ქვეყნების მთავრობები იმყოფებიან გაძლიერებული ზემოქმედებების ქვეშ ძლიერი ინდუსტრიების მიერ. განსაკუთრებით ისინი ვინც ჩართულები არიან სამეწარმეო და მომპოვებელ აქტივობებში. ასეთი ქვეყნებისთვის დამახასიათებელია სუსტი კანონები, ცუდად დაფინანსებული და ნაკლებად ეფექტური სამთავრობო დაწესებულებები. გლობალიზაციის პროგრესირებისას ხდება ბიოლოგიური მრავალფეროვნების უფრო და უფრო დიდი დეგრადირება და ძირძველი საზოგადოების ხშირი დაშლა, ამ კომერციული აქტივობების პირდაპირ შედეგს წარმოადგენს ამ შორეული და ხელუხლებელი ტერიტორიების თანდათანობით მითვისება. იმის ნაცვლად ცხოვრება

გახადონ ყველასათვის უკეთესი, იზრდება განსხვავებები შედარებით სიმდიდრესა და შემოსავლებში, ჯამრთელობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობისთვის "მდიდრებსა " და "ღარიბებს " შორის, როგორც ეროვნებებში, ასევე განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში.

როგორ ზემოთ შემოგთავაზეთ, გლობალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი მდგომარეობს მთავრობებთან დაკავშირებულ დიდი ბიზნეს საწარმოების მზარდ ძალაში. ამ ძალასთან დაკავშირებული ცვლილების შედეგი იყო ზეწოლა ფინანსურად სუსტ მთავრობებზე, ფინანსური ბაზრებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისაგან. ამ ზეწოლამ, როგორც ბევრი დაობს შედეგად დაზარალებულ ქვეყნებში არსებითი სოციალური ხარჯების შემცირება ან/და უსამართლო შეზღუდვა გამოიწვია. ნათელია რომ სოციალური გარანტიები დაჩრდილა სავაჭრო გლობალიზაციამ. ეს სულ მცირე სიმბოლურად ხასიათდება მიუწვდომელი და არადემოკრატიული პროცედურებით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციებსა და სხვა ძირითად ეკონომიკურ და ფინანსურ ინსტიტუტებში.

მისი შინაგანი ხარვეზების და უამრავი უსამართლობის მიუხედავადაც კი, გლობალიზაციის პროცესები ხშირ შემთხვევაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მაშასადამე, გამოწვევა მდგომარეობს იმაში თუ როგორ ჩამოვაყალიბოთ მისი ინსტიტუტები, ისე რომ ისინი იყვნენ უფრო სამართლიანები და უფრო ჩართულები და როგორ უნდა გავიგოთ გლობალიზაციის დინამიკა უფრო ეფექტურად რათა გამოვიყენოთ მისი ტერმინები და პირობები ზეწოლის საშუალებად, რომ თავიდან ავიცილოთ ადამიანის უფლებების ბოროტად გამოყენება და რომ დავაკისროთ სანქციები უფლებადამრღვევებს. სათანადოდ გაგებული გლობალიზაცია წარმოადგენს ახალ შესაძლებლობებს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემების მისამართით. იგი წარმოადგენს გაფართოებულ შესაძლებლობებს ადამიანის უფლებათა სფეროში, მთავრობებს შორის, ისევე როგორც ფართოდ გავრცელებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. ეს საშუალებას აძლევს ინფორმაციისა და ტექნოლოგიის ნაკადის ზრდას, რომელიც საჭიროა ადამიანის უფლებების დაცვის საფრთხეების იდენტიფიცირებისა და სათანადოდ რეაგირებისათვის. ამ ინფორმაციის ნაკადის მეშვეობით მიიღწევა ბევრად უფრო მეტი გამჭირვალობა, რომლის დროსაც ადამიანის

უფლებათა დამრღვევებს ექმნებათ უფრო დიდი სირთულეები თავიანთი ქმედებების ამსახველი ინფორმაციის ჩახშობის დროს.

გლობალიზაციის მიერ შემოთავაზებული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შესაძლებლობა, არის ის , რომ მან შექმნა უპრეცედენდო ბერკეტი ბაზარზე სამომხმარებლო ძალაუფლების აღსაკვეთად, რათა ზეგავლენა მოახდინოს კორპორაციულ ქცევებზე(მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში). თუ ამის შეჩერება ვერ მოხდება, მაშინ სტრატეგიების ბრძენმა შემმუშავებლებმა უნდა გაიაზრონ გლობალიზაცია, ვაჭრობა და ფინანსები და შეისწავლონ ის, თუ როგორ უნდა გამოიყენონ მისი ძალის ბერკეტები. ამ ახალი ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხება ინფორმაციული ტექნოლოგიების უნარიანობას. დღესღეობით არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ მყისიერი საკომუნიკაციო შესაძლებლობები ბევრ ეროვნულ მთავრობებს მიღმა. ჩადენილი ქმედებები, რომლებიც უხილავი რჩებოდა მსოფლიოსთვის, ახლა შეიძლება აღმოჩენილი იქნეს რამდენიმე დღესა თუ საათშიც კი. ადამიანის უფლებების დაცვის სტრატეგიების სასიცოცხლო ნაწილი უნდა აგრეთვე მოიცავდეს ინტერნეტის გამოყენებას, როგორც ერთ-ერთ იარაღს გამოძიების, ორგანიზებისა და უფლებების დაცვისათვის.

საგანმანათლებლო და სასწავლო სტრატეგიები

საგანმანათლებლო და სასწავლო სტრატეგიები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების ეფექტური დაცვისათვის. ეს უწყვეტი ძაფი ორივე თავშია განხილული, თუმცა უფრო მკაფიოდ გამოყოფილია მეორე თავში. ნებისმიერი რეალური შემაკავებელი ძალის ნაკლებობა, რომელიც წარმოქნილია ადამიანის უფლებათა ნორმებისა და კანონებისაგან, უფრო ნათელი ხდება, როდესაც ჩვენ ვუშვებთ, რომ რამდენიმე სწავლულს შეუძლია დაეთანხმოს დანაშაულის პრევენციის სტრატეგიების ეფექტიანობას. თუნდაც მოიაზრებოდეს სისხლის სამართლის ეროვნული სისტემის თვითმართველობის კონტექსტში. ეს კავშირი კიდევ უფრო ბუნდოვანი და დასუსტებული ხდება, როდესაც ჩვენ საერთაშორისო ასპარეზზე ვინაცვლებთ და ეროვნული მოხელეებისაგან მოველით, რომ მათ გაიაზრონ და თავი შეიკავონ ომის დანაშაულებების პოტენციური ჩადენისაგან და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი

დანაშაულებების პასუხისმგებლობა დააყენონ სხვა ქვეყნებთან კოალიაციაში. ეს გვთავაზობს, რომ თუმცა, პოტენციურად საჭირო პრევენციული სტრატეგიები უკანასკნელი და თავგანწირული არჩევანია, რომელიც ფერმკრთალია წინაპირობების და ადრეული ჩარევის მეთოდებთან შედარებით- ისევე როგორც განათლება პირველი ინსტანციის დარღვევების თავიდან ასაცილებლად.

ეს საგანმანათლებლო და სასწავლო სტრატეგიები თუმცაღა უბრალოდ არ არის მიმართული ხალხის ზოგად განათლებაზე ადამიანის უფლებათა იდეალების მნიშვნელობასთან დამოკიდებულებაში. როგორც მინიმუმ, მნიშვნელოვანია განათლებისა და სასწავლო სტრატეგიის ფოკუსირება მრავალფეროვან განსხვავებულ საარჩევნო ოლქებში, რომლებიც ან ზრუნავენ ანდაც პირიქით ზღუდავენ ჩვენ შესაძლებლობებს, რომ დავიცვათ ადამინის უფლებები. ეს განსხვავებული ოლქები აერთიანებს, პოტენციურ დამრღვევებს, მონიტორინგს,გამომძიებლებს და რელიეფის პროვაიდერებს. ამის მნიშვნელოვანი მაგალითი გვხვდება ერიკ კარლსონის აღწერაში, სადაც ის საუბრობს თავის გამოცდილებაზე, როდესაც ის წვრთნიდა ჯარისკაცებს შეერთებული შტატების არმიაში, ამერიკის სადაზვერვო სკოლაში.

ადამიანის უფლებების სწავლება მიზნად ისახავს პოტენციური უფლებადამრღვევების დარწმუნებას, რომ მოიქცნენ უფრო მეტად ჰუმანურად- ჯერ ერთი იმიტომ, რომ ასე მოქცევა სწორია, ან უფრო მეტად იმიტომ, რომ არსებობს მაღალი ალბათობა, რომ სერიოზული შედეგები მოჰყვება მათ არაადამიანურ ქცევას, თუ ისინი ამ გზით ივლიან. კარლსონის მიერ ამერიკის სკოლებში ჩატარებული განხილვა, რომელიც ეხება სამხედრო სამსახურში ადამიანის უფლებათა სწავლების თვითდაინტერესებულ და მორალზე დაფუძნებულ სტრატეგიებს ლათინური ამერიკის ქვეყნებში, გვთავაზობს მოსაზრებებს. ჯეისონ კლეი გამოკვეთს იმ მნიშვნელოვან სტრატეგიებს რომლებიც ძირითადია ეფექტური მონიტორინგისა და გამომძიებისათვის. ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორებისა და გამომძიებლების დაცვისათვის. საგანმანათლებლო „სამიზნეები“ აგრეთვე მოიცავს, მოსამართლეებს , დაცვის მხარეს და პროკურორებს, ასევე, ჟურნალისტებსა და აკადემიკოსებს. ანა გოლდსტეინი გთავაზობს მოსაზრებებს იურიდიულ ტრენინგებზე საერთაშორისო ქალ მოსამართლეთა ასოციაციის მეშვეობით. ბრაიან კონკანონის ნაშრომის „Bureao des

avocats internationauc” აღწერა ჰაიტიში შეეხება მოსამართლეთა, პროკურორებთა და პოლიციის გადამზადებას , როგორც აუცილებელ ნაწილს, იმისათვის, რომ გაასამართლონ ის ჰაიტელები, რომლებმაც ითამაშეს დიდი როლი ქვეყანაში მომხდარ წამებასა მასობრივ ხოცვა-ჟლეტვაში. ილიას ბანტეკასი გვიჩვენებს, როგორ შეიძლება გაღრმავდეს ადამიანების მოსაზრება იმ თვალსაზრისით, რომ გაიზარდოს საზოგადოების შეგნება ადამიანის უფლებებზე და გამოხატონ აღშფოთება უფლება დამრღვევებზე. ძალზედ საინტერესოა, შულამიგ კოენიგის ნაშრომის აღწერა, რომელიც მოიცავს ხალხის განათლებას ადამიანი უფლებების ფასეულობებში-და იმის გააზრებაში , რომ ადამიანის უფლებები მათი უფლებებია, რაც ემსახურება ადამიანის უფლებათა ფასეულბების ძლიერ და მნიშვნელოვან როლს, რომელიც გამყარებულია კანონის სამართლიანი და ზუსტი სისტემით.

C. **დეივიდ ბერნიზერი და აშგეიტის საგამომცემლო კომპანია 2001. დეივიდ ბერნიზერი არის სამართლის პროფესორი კლეველენდის უნივერსიტეტში და ეროვნული რესურსების დაცვის საბჭოს საერთაშორისო პროგრამის უფროსი მრჩეველი ვაშინგტონ დი-სი-ში.**

2 ადამიანის უფლებათა დარღვევების აღრიცხვა აფრიკაში- მონიტორინგის, გამოძიებისა და ადვოკატირების ფუნქციები

პიტერ ტაკირამბუდე

„ჰიუმან რაითს ვოჩ“ (HRW) პროგრამის მანდატი პირდაპირ ორიენტირებულია ადამიანის უფლებათა დაცვის გარემოს მონიტორინგზე ქვე-საჰარულ აფრიკაში , რომელიც მოიცავს დაახლოებით 50 ქვეყანას. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ძირითადი მიზანი სტრატეგიული ინფორმაციის შეგროვებაა, განსაკუთრებით კი იმ ინფორმაციის, რომელიც ეხება ერის აქტივობების სხვადასხვა დონეებს. მაგრამ ინფორმაციის შეგროვება არსებითად რისკის შემცველია გამომძიებლისა და მისი კონტაქტებისათვის. ქვეყნის კონკრეტული კონტექსტიდან გამომდინარე მას აქვს რისკის განსხვავებული ხარისხები,როგორც ჩვენთვის, ადამიანის უფლებათა დამცველების ადგილობრივი აქტივისტებისა და ჩვენი წყაროებისათვის. თითოეული ქვეყანა დგას განსხვავებული გამოწვევის წინაშე. ბევრ აფრიკულ ერთან ჩვენ არ გვაქვს ძირითადი პრობლემები, ჩვენ სირთულეების გარეშე შეგვიძლია გადაადგილება. მაგრამ არის ისეთი ქვეყნებიც როგორიცაა ანგოლა, სუდანი, რუანდა, ბურუნდი, სიერა ლეონე, ლიბერია და ომისგან განადგურებული კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, სადაც არის მნიშვნელოვანი საფრთხე.

ადამიანის უფლებების დაცვა სულ უფრო და უფრო ხდება უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი, ეს არის ღირებულებებისა და მისიების მთელი კომპლექტი რომელსაც, ვერავინ მისცემს თავს უფლებას რომ არ დაეთანხმოს სულ მცირე საჯაროდ მაინც. ახლა აფრიკისა და სხვა ქვეყნების ჩანაწერები ადამიანის უფლებების შესახებ, გახდა მთავრობების ლეგიტიმურობის საზომი. (თუმცა, ნებისმიერი შედეგი ყოველთვის გაზომვიდან არ გამომდინარეობს). ხელისუფლების წარმომადგენლებს შესწავლილი აქვთ თუ როგორ უნდა ისაუბრონ სწორად. მაგრამ ადამიანის უფლებების დაცვის თავიდან აცილება უბრალოდ და დიდწილად ხდება მხოლოდ ცარიელი საუბარი, რომელზეც ყველა საუბრობს, მაგრამ არავინ იღებს სერიოზულად, დამკვირვებლებს, რომელთაც სურთ, რომ გააუმჯობესონ სიტუაცია ქვეყანაში უნდა გააჩნდეთ უტყუარი დეტალური მონაცემები, რომელზეც დააფუძნებენ თავიანთ შეფასებას.ეს ინფორმაცია

მნიშვნელოვანია, როგორც მთავრობების ქცევის შეფასებისას დროის მოცემულ მონაკვეთში, აგრეთვე საბაზო ხაზის ჩამოყალიბებებისათვის(როგორც პირობითი შეთანხმებების დაკმაყოფილება.) რომელიც მიმართულია შემდგომი ქცევების განსჯის წინააღმდეგ. უტყუარ მონაცემებზე დაფუძნებული ფაქტობრივი ფუნდამენტით, რომელიც მთავრობების ადამიანის უფლებათა ქცევების რეფორმას ითხოვს, შეიძლება შესრულდეს უფრო ეფექტურად, მეორეს მხრივ, თუ აქტივისტები და რეფორმატორები არ აჩვენებენ გასაგებად კონკრეტული ინფორმაციის ფლობას აქტუალურ სიტუაციებზე, არავინ მოუსმენს მათ სერიოზულად.

გამოძიება

კონტექსტზე დაყრდნობით, გამოძიება შეიძლება შესრულეს გამჭირვალობის სხვადასხვა ხარისხით. შედეგად, ჩვენი ხალხის ძირითადი ოპერატიული პრინციპი არის ის, რომ საკმაოდ კარგად უნდა იცნობდნეთ ქვეყანას. მოგიწევთ იმის ცოდნა, თუ რამდენად დახვეწილია ამ ქვეყნის უსაფრთხოების სისტემა. როგორ არის უსაფრთხოების სისტემა ორგანიზებული, როგორ მუშაობს ის? ტელეფონები და სხვა საკომუნიკაციო სერვისები პოტენციურად საშიში და კრიტიკულია. ფარულად ისმინება თუ არა და კონტროლირდება ტელეკომუნიკაცია? არიან ეს ორგანიზაციები, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ გაჯერებულნი, ან არიან ისინი, ან ჩვენ თვალთვალის ქვეშ? ხელისუფლება ნიშნავს თუ არა ტაქსის მძღოლებს? მაგალითად, არსებობს თუ არა საიდუმლო პოლიტიკის ფართო ქსელი , როგორც ეს არის ზაირიში, რომელიც იმყოფება მობიტუს გავლენის ქვეშ. წყაროსთან კონტაქტის დამყარება შეგვიქმნის თუ არა ჩვენ ან მათ საფრთხეს მოგვიანებით?

იმ ინსტანციებში, სადაც მნიშვნელოვანია, საზოგადოებრივი აზრის მობილიზება მოქმედებების მოთხოვნის მიზნით , აქტივისტები და მედია მიაღწევენ უდიდეს წარმატებას, თუ ისინი შეძლებენ უზრუნველყონ დეტალური მონაცემები, რომელიც საჭიროა უფლებადარღვეულ მსხვერპლთა წარსადგენად. ეს არის მნიშვნელოვანი სტრატეგია, რომელიც საშუალებას აძლევს სხვებს, რომ გაიზიარონ მსხვერპლის მდგომარეობა და გადავიდნენ მოქმედებაზე. მოქმედებაზე გადასვლა უნდა იყოს მიზანი ადამიანის უფლებათა დამცველებისათვის. ისეთი კვლევითი ორგანიზაციის

მაგალითად, როგორიც არის „ჰიუმან რაითს ვოჩ“ შეგროვებული მონაცემები აცოცხლებს და აღრმავებს არა მხოლოდ ბეჭდურ ისტორიებს, არამედ ფილმებსა და ვიდეო რეპორტაჟებს.

ადვოკატირება

გამოძიების ფუნქციებს უნდა მოჰყვებოდეს ადვოკატირება როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე. ორივე დონეზე, ინფორმაცია რომელიც მონიტორინგის შედეგად არის მოპოვებული, სტრატეგიულად არის დალაგებული, იმისათვის რომ ზეწოლა მოახდინოს სათანადო გადაწყვეტილებების მიმღებ პირებზე, რათა მათ ადამიანის უფლებების დაცვა დააყენონ თავიანთი დღის წესრიგის ზედა პოზიციაზე. უტყუარი მონაცემები და ინფორმაციის მონიტორინგი გამოიყენება ორმაგი სტანდარტის დაპირისპირებით, პირველი ეს არის მოთხოვნა, რომ ადამიანის უფლებების დაცვა სერიოზულად იქნეს მხედველობაში მიღებული, როდესაც ვეძებთ პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტილებების გზებს, და აგრეთვე მაშინ, როდესაც ვაფასებთ ამ გადაწყვეტილებების წარმატებას.

„ჰიუმან რაითს ვოჩში“ ჩვენი მოვალეობის ნაწილი მოიცავს არა მხოლოდ ყოველდღიურ კვლევა-ძიებას, სადაც ზოგიერთმა ჩვენგანმა იპოვა საკუთარი თავი ადამიანის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ ასახავს ინფორმაციის აფეთქების შედეგებსა და გამოყენებას, რომელიც მიმართულია ადამიანის უფლებების დაცვისკენ. „ჰიუმან რაითს ვოჩის“, როგორც ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაცის, პრინციპული მიზანი არის ცვლილებების შემოღება. ეს გულისხმობს მოკლევადიან პერიოდში ადამიანის უფლებების დაცვის პირობების გაუმჯობესებას აფრიკის ქვე-საჰარული ხალხისთვის. ჩემი ამოცანა განსაკუთრებით ეხება იმ საშუალებებს, რითიც ჩვენ შეგვიძლია გავახმოვანოთ სარწმუნო და მიზნობრივი ინფორმაცია და შემდეგ სტრატეგიულად გამოვიყენოთ ეს ინფორმაცია იმისათვის რომ მოვახდინოთ ზეწოლა ძირითადი გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე აფრიკაში. მაგრამ ადამიანის უფლებების ფუნქციონირება მხოლოდ კომპლექსური სისტემის ნაწილს წარმოადგენს. ჩვენი სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილი არის ის, რომ ჩვენ აგრეთვე გვსურსს მოვახდინოთ ზეწოლა მთავარი გადაწყვეტილების გამომტან ცენტრებზე

ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში. ეს მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებისგანაც აფრიკული მთავრობები ხშირად ეძებენ თანხებს და განვითარების შეღავათიან პირობებს. ჩვენ ვცდილობთ მიზანში ამოვიღოთ ის ინსტიტუტები, რომლებსაც აქვთ ყველაზე დიდი გავლენა მიმღებ ქვეყნებში საგარეო დახმარების თვალსაზრისით. ჩვენი სტრატეგიის ნაწილი ცხადია იმაში მდგომარეობს რომ ჩვენ ვცდილობთ შევარცხვინოთ ისინი ვინც პირველადი დარღვევეი ჩაიდინა. მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ ასევე ვცდილობთ, რომ შევარცხვინოთ ისინიც, ვინც მათ მხარს უჭერს, ისინი ვინც მათთან თანამშრომლობენ და ისინიც, ვინც მათ ფინანსურ და სხვა სახის დახმარებას უწევენ. ამ ზეწოლით ეროვნულ და საერთაშორისო გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე , ჩვენ ვცდილობთ, რომ შევცვალოთ ძალადობრივი პრაქტიკა და თავიდან ავიცილოთ ახალი ძალადობები.

„ჰიუმან რაითს ვოჩის“ სტრატეგიული მიზანი

“ჰიუმან რაითს ვოჩის“ ხანგრძლივი სტრატეგიული მიზანი არის ადამიანის უფლებების თვალსაზრისით, მთლიანობაში ხანგრძლივი და მდგრადი გაუმჯობესების შენარჩუნება, ასევე კანონის უზენაესობის მიღება და დემოკრატიული ჩართულობის გაფართოვება აფრიკის კონტინენტზე. რესურსების უდიდესი რაოდენობა მივუძღვენით ადამიანის უფლებების მდგომარეობის გამოძიებას აფრიკის ქვე- საჰარულ ნაწილში. ჩვენი მუშაობის მიზანია გამოვიყენოთ ეს ინფორმაცია რაც შეიძლება სტრატეგიულად, უკეთესი შედეგების მისაღებად, მაგრამ ამის განხორციელება მოითხოვს ეფექტურობის მაღალ დონეს. ძალზედ მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენ შეგვიძლია ინფორმაციის დროულად გაშუქება. მაგრამ ესაც კი არ არის საკმარისი. ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი. ის უნდა იყოს ნათლად გამოხატული, ის უნდა იყოს ინფორმაცია, რომელიც ძალაუფლებისა და გავლენის მქონე ცენტრალურ პირებთან ეფექტური კომუნიკაციის საშუალებას იძლევა. მნიშვნელოვანია, რომ ეს იყოს ის ინფორმაცია, რომელიც ორგანიზაციას აყენებს დარღვევების კლების მრუდის წინაშე.

და ბოლოს, აფრიკის კონტინენტზე ზოგიერთ სფეროში უკვე შეინიშნება გაუმჯობესება. ათი წლის წინ ის იყო პეროდი ტყუილის და უარყოფის, ადამიანის უფლებების ფართოდ დარღვევების. პოლიტიკური ვითარება აფრიკის მნიშვნელოვან

ნაწილში შეიცვალა და ჩანს, რომ ახლა ისინი უფრო უჭერენ მხარს ადამიანის უფლებების დაცვას. ადამიანის უფლებათა დაცვის აუცილებლობაზეც კი, როგორც ჩანს, რაღაც განვითარებადი კონსენსუსია. თუმცა საფრთხე იმაშიც მდგომარეობს, რომ ჩვენ შეიძლება გაუმჯობესებებმა მიგვიყვანოს იქამდე რომ რიტირიკა რეალობაში აგვერიოს, როგორც აღვნიშნე ამ თავის დასაწყისში, ადამიანის უფლებების დაცვის აუცილებლობა შინიშნება, რომ გახდა რიტორიკის ძალზედ მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხი.დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისით ის გახდა საკითხი, რომლის შესახებაც არავინ არაფერს არც ამტკიცებს და არც ეთანხმება. სწორი ბიუროკრატიული სიტყვები ყოვლად მართეულია. ადამიანის უფლებების შეფასება გახდა ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებადი კრიტერიუმი იმის წინააღმდეგ, რითაც იზომება ლეგიტიმური ხელისუფლების სწრაფვა დახმარების მისაღებად. მთელი აფრიკული ქვეყნების მთავრობებს შესწავლილი აქვთ თუ როგორ ისაუბრონ დამაჯერებლად თავიანთ ქმედებებზე და განუზომლად ახდენენ შთაბეჭდილებას ჩემზეც კი სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციების თავების და მუხლების კონტექსტში. მაგრამ საკითხავია აქვთ თუ არა მათ სურვილი რომ ეს ნათქვამი თავიანთი მოქმედებით დაამტკიცონ, რასაც მათი ხალხის უფლებების დაცვა მოითხოვს.

მაღალი ხარისხი, დროული და კონკრეტული ინფორმაცია.

ჩვენი გამოწვევაა, გავაგრძელოთ მაღალი ხარისხისა და დროული ინფორმაციის და უტყუარი მონაცემების გენერირება. კონკრეტული ინფორმაცია, რომელიც არის საუკეთესო შესაძლო საშუალება იმ საბაზისო ხაზის დასაარსებლად, რომლის წინაშეც მთავრობები ანგარიშვალდებულნი არიან თავიანთი ქმედებების გამო. თუ გსურს, რომ შეძლო მთავრობების ანგარიშვალდებულებების ფლობა და გავლენა მოახდინო მათ მომავალ ქცევაზე, საუკეთესო საშუალებაა გქონდეს საბაზისო ინფორმაცია. ეს უფლებას გაძლევთ გაზომოთ ქვეყნის ქცევა დროში და ეს შესაძლებელია გაკეთდეს, მხოლოდ იმ საბაზისო ხაზის შექმნით, რომელიც გაზომავს ქვეყნის პროგრესსა და რეგრესს. საბაზისო მონაცემების ხელმისაწვდომობა იმის დემონსტრირების შესაძლებლობას იძლევა, რომ ზოგიერთი ქვეყანა განსხვავებულობის ეფექტს მარტივად ქმნის, მაგრამ მათ რეალურ ქცევებში საერთოდ არ შეიმჩნევა ეს განსხვავება. ჩვენ გვაქვს

საინფორმაციო წყაროების ძირითადი ქსელები, როგორც ტრადიციული ასევე არატრადიციული. ტრადიციული წყაროები ყოველთვის მოიცავდა დიპლომატებს, სამხედრო ლიდერებს , პოლიტიკურ ლიდერებს, სამოქალაქო საზოგადოებათა ჯგუფებს, ბიზნეს ლიდერებსა და აკადემიკოსებს. მაგრამ ჩვენ ვატყობთ რომ თანდათანობით ეს წყაროები იწურება, აშკარად პირადი ინტერესების გამო, რომ არ შეგვატყობინონ ეს დარღვევები ანდაც, შიშისა და მათ მიერ სასტიკი დამსჯელი ზომების მიღების გამო, თუ ისინი აღმოჩენილები იქნებიან ჩვენთვის ინფორმაციის მოწოდებაში. არის მთელი რიგი ქვეყნები, სადაც ჩვენ ვიყენებთ ინფორმაციის მოპოვების ნაკლებად ტრადიციულ წყაროებს. ეს წყაროები გულისსხმობს ბაზრის ვაჭრებს, ავტობუსის და ტაქსის მძღოლებს, ქუჩაში მყოფ ბავშვებს, ხალხს, რომელთაც აქვთ საკმარისო დრო სალაპარაკოდ და დასაკვირვებლად, მცირე ბიზნეს მეწარმეებსა და ვაჭრებს, ადგილობრივ დიდ საავადმყოფოებსა და მცირე კლინიკებში მყოფ ექიმებსა და ექთნებს, რომლებიც გახდნენ ჩვენთვის საუკეთესო და საიმედო ინფორმაციის წყაროები რიგ ქვეყნებში. მცირე კომერსანტებსა და ბიზნეს მეწარმეებს, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ რომ ქალაქებსა და სოფლებში ადვილად გადაადგილდნენ, ისინი გვაწვდიან, როგორც შეუფასებელი ინფორმაციას, ასევე გვეხმარებიან შეტყობინებების გავრცელებაში.

ადგილობრივი მედია, ინფორმაციის ღირებული წყაროა, მაგრამ ჩვენ ყურადღებით უნდა ვიყოთ რომ არ მოხდეს ფაქტების დამახინჯება ბევრ ქვეყანაში მთავრობის ზეწოლის გამო მედიაზე . თუმცა გაზეთებიდან მიღებული ინფორმაცია საჭიროა, ხოლო მასში მოცემული ისტორიები შესაძლოა გაზვიადებული, სენსიტიური და საეჭვოც კი იყოს. მნიშვნელოვანია ჩვენ განვახორციელოთ საკუთარი დამოუკიდებელი გამოძიება. ბევრ ქვეყანაში, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, აღმოვაჩინეთ რომ მღვდლები და მონაზვნები მეტად დაცულები არიან ადგილობრივი ზეწოლისაგან. მათზე ეჭვი ნაკლებად მიაქვთ, როდესაც საერთაშორისო მკვლევარები მათ სანახავად მიდიან და ამავე დროს ჩანს, რომ ისინი უფრო ობიექტურები არიან. ისინი ასევე კარგად ფლობენ თავიანთ კულტურას. თუ თქვენ იპოვით მღვდელს ან მონაზონს რომელსაც ქვეყნის სამსახურში 20 წელი მაინც აქვს გატარებული. მაშინ თქვენ აღმოგიჩენიათ უკიდურესად განათლებული ადამიანი. ისინი მეტად დაცულები არიან რეპრესიებისაგან ვიდრე ქვეყნის მოქალაქეები,

ამიტომ უფრო მარტივია მათთან გასაუბრება. მათ აქვთ შესაძლებლობა, იყვნენ დანაშაულის მოწმეები ან ჰქონდეთ მრევლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. მსგავსად ამისა, ჰუმანიტარულ მოხელეები და განვითარების პროექტებზე მომუშავე პერსონალი ხშირად თვითმხილველები ხდებიან ან/და მათ უყვებიან ადამიანის უფლებების დარღვევევებზე. მაგრამ ისინი უძლურები არიან, რომ გააცნონ საზოგადოებას ეს ინფორმაცია საკუთარი მანდატის ქვეშ კომპრომისების არაერთგზისი მუშაობის შიშის გამო. ამრიგად, „ჰიუმან რაითს ვოჩმა“ ბოლო წლების განმავლობაში აღმოაჩინა ასეთი თანამშრომლების მზარდი სურვილი შემდგომი გამოძიების დროს აღნიშნული ორგანიზაცისთვის მონაცემთა გადაცემის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში ან შემდგომი საჯაროობისა და სხვა ქმედებებისთვის.

უფრო დახვეწილი მთავრობების პროპაგანდის დაძლევა და დაფარვა.

ჩვენ უფრო და უფრო ვხვდებით, რომ მთავრობები უკიდურესად დახვეწილები ხდებიან ინფორმაციის კონტროლისა და გამოყენების დროს. იმიტომ, რომ მთავრობები უფრო გათვითცნობიერებულები არიან საზოგადოებრივი ურთიერთობების შესაძლო ღირებულებებში, რომლებიც იდენტიფიცირებულები არიან როგორც მოძალადეები.

რუანდაში გენოციდის დროს, როდესაც რუანდის ხელისუფლებამ შეიტყო, რომ მკვლელობები საერთაშორისო კეთილდღეობის და საფრანგეთის სამხედრო მოსალოდნელი დახმარების დაპირების საფასური იყო, შეცვალეს თავიანთი ტაქტიკა. რამდენიმე დღის შემდეგ, ფრანგებმა შესთავაზეს , რომ განახლებულ დახმარებას შესაძლოა მოჰყოლოდა რუანდის იმიჯის გაუმჯობესება, „რადიო მაილ კოლინმა“ (Radio Mille Colline) გადმოსცა ახალი ამბავი, რომ ფრანგებმა გამოთქვეს სურვილი მთავრობის დახმარების, მაგრამ ხალხმა მეტად აღარ უნდა დასცინოს ბარიერებს, როცა ტუტსის ხალხი ყელის გამოჭრით გაანადგურეს. ისიც გადმოიცა რომ გვამები აღარ უნდა იყოს მიტოვებული შუა გზაში, არამედ გადატანილი იქნას ბანანის ჭალებში. ფართო მაშტაბიანი ხოცვა ჟლეტიდან მთავრობამ ნაცვლად იმისა, რომ ათეულობით მსხვერპლი დროულად გამოეყვანა ეკლესიებიდან, ისინი კლავდნენ მათ ღამის წყვდიადში.

ამის მსგავსად რუანდის სამთავრობო ჯარებზეც გადმოსცეს, რომ მათ დაწვეს მსხვერპლთა სხეულები, როგორც რუანდაში, ასევე კონგოს დემოკრატიულ

რესპუბლიკაში. მტკიცებულებების დამალვიის გარდა, უფლებადამრღვევები ცდილობენ რომ თავიდან აიცილონ აღმოჩენა მარტივად, დამკვირვებლებისთვის ნებართვაზე უარის თქმით იმ ზონებში სადაც დანაშაულები ახლად იყო ჩადენილი. ამრიგად, ჩვენ ვიხილეთ ისეთი გამოყენებული მეთოდები , როგორებიცაა, მაგალითად, გაეროს საგამოძიებო გუნდისათვის დაბრკოლების შექმნა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და მოწმეების კონფისკაცია. უფრომეტიც, მოძალადე მთავრობებმა შეისწავლეს თუ როგორ უნდა გამოიყენონ მედია თავის კარგად წარსადგენად. როგორც რუანდის ლიდერმა , პოლ კეგეიმმა ბრიტანელ ჟურნალისტს განუცხადა: „არსებობს ახალი საშუალება მედიაში ომის საწარმოებლად და ჩვენ ეს უკეთ გამოგვდის ვიდრე სხვას“.

დანაშაულის მზარდი ფალსიფიცირება, მაგალითად, დაბრკოლებების შექმნა, დანაშაულის ადგილამდე მისასვლელად ან მათთვის ხელსაყრელი პროპაგანდისათვის ნიადაგის შექმნა და სამხილების დამალვა- მკვლევარებისაგან მოითხოვს , რომ ისინი ყოველთვის იყვნენ ახალი მეთოდების ძიებაში. მაგალითად, ახლა ჩვენ გვაქვს ინტერნეტ ქსელები მოწმეების ადგილმდებარეობის დასადგენად და შეგვიძლია მოვიყვანოთ ისინი ჩვენამდე, მაშინ, როცა ჩვენ არ შეგვიძლია მათთან მისვლა, ან თუ კი ისინი შეზღუდულები არიან მთავრობის ბრძანებით, ან/და მათვის დანაშაულის მოწმეობა რისკის შემცველია.

ტექნოლოგიური და საგამოძიებო სტრატეგიები

ახალი ტექნოლოგიები გვპირდება რომ ასეთი ტიპის დაბრკოლებების უმეტესობა გაქრება. ჩვენ რეგულარულად ვიყენებთ დაშიფრულ ელექტრონულ შეტყობინებეს, რომ დავიცვათ ინფორმაცია და ამ ინფორმაციის წყაროები . მაღალი ტექნოლოგიები ახლა უზრუნველყოფს საკვანძო ინფორმაციების მიწოდებას სატელიტური გამოსახულებით. სუდანში მიმდინარე დარღვევების გამოძიების პერიოდში, ჩვენ შევძელით, მოგვეპოვებინა დეტალური გამოსახულებები მაღალი ხარისხით, რომლებიც გვაძლევს მეტ ინფორმაციას კონკრეტულ ადგილმდებარეობზე. მაგალითად, იქ სადაც ხდება მასიური დანაშაულებები ისეთი, როგორიცაა გაშოლტვა და დაწვა, სატელიტური ტექნოლოგიებით შეგვიძლია შემთხვევის ადგილის გამოსახულებით

უზრუნველყოფა, რომელსაც შეუძლია თითქმის ყველაფრის გაფილტვრა, გარდა კვამლისა და ალისა. თუ ჩვენ მივუთითებთ იმ თარიღს, რომლის დროსაც შეტევა მოხდა, სურათს შეუძლია ამის გამყარება. ერთმა აკადემიკოსმა , რომელმაც მოიპოვა სატელიტური ფოტოები სხვა მიზნით ჩვენც შემოგვთავაზა, რომ გამოგვეყენებინა ბურუნდის გადაჯგუფებული ბანაკების ადგილმდებარეობების დასადგენად და მათი საცხოვრებელი პირობების შესამოწმებლად.

მაგრამ, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოწმეები ხელმისაწვდომნი და უსაფრთხო გარემოში არიან, მათ მაინც არ სურთ საუბარი. ნაწილობრივ მათი სიჩუმის მიზეზი არის ის ნებართვა, რომელიც არ აქვთ სოფლის მეთაურის მხრიდან. მეთაურთან ერთად ჯდომა ფასიანია, მაგალითისთვის, თუ სოფლის თავს ცოტა ვისკი სურს თქვენ ალბათ გინდათ რომ ერთი ჩარექი მისცეთ, მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებთ ნებართვას., რის შემდეგადაც თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ ის რაც მოგესურვებათ. მაგრამ, შესაძლოა თქვენ ამის შემდეგაც ვერ შეძლოთ ზოგიერთი დანაშაულის გამოძიება. მეთაურის ნებართვა არ მოიცავს ყველა გაუთვალისწინებელ გარემოებას. მაგალითად, შესაძლოა წარმატებას ვერ მიაღწიოთ სექსუალური დანაშაულების გახსნისას კონფლიქტური გარემოებებიდან გამომდინარე. მსხვერპლი ნებართვის მიუხედავად ვერ საუბრობს და თქვენ მაინც მოგიწევთ სხვა ლიდერებთან, ქალ ლიდერებთან წასვლა, რომლებიც არიან სწორედ ისინი ვისაც უწევთ ასეთი საქმის გამოძიება.

გარე ქმედების-შემფასებელთა ზეწოლა და საზოგადოებრივი აზრის მობილიზება

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ევროკავშირმა და სხვა ნებისმიერმა დონორმა ინსტიტუტებმა უნდა აჩვენონ, რომ ისინი არ მიიღებენ არცერთ აფრიკულ მთავრობას სერიოზულად. სანამ ისინი არ აჩვენებენ , რომ მათ აქვთ საფუძვლიანი ფლობა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სიტუაციებზე და ამის საფუძველზე გაუმკლავდნენ პრობლემებს, რომელიც აირეკლა უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მაგალითად, „ჰიუმან რაითს ვოჩის“ მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში. ჩვენი ინფორმაცია თამაშობს მნიშვნელოვან როლს. როდესაც ჩვენ ვაწვდით ამ ინფორმაციას მთავარ გადაწყვეტილება მიმღებ პირებს აფრიკის გარეთ, ამას იღებენ სერიოზულად თავისი

მნიშვნელობით. ეს ინფორმაცია თამაშობს განსაკუთრებულ როლს მათ მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებში, რომელიც პირობითად შეთანხმებულია ფინანსური მოლაპარაკებების გზით.

მაგრამ, ეს ინფორმაცია, რომელიც მიწოდებულია ფინანსებზე პასუხისმგებელ პირებისთვის, არ იქნება მიჩნეული, როგორც სანდო, ან საჭირო, თუ ის არ იქნება მიწვდილი დროულად, ზუსტად, საფუძვლიანად და ნათლად. ჩვენ ბევრ დროს ვატარებთ ჩვენს ორგანიზაციაში, რათა დავრწმუნდეთ , რომ ინფორმაცია რომელსაც ჩვენ ვაგროვებთ აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს. საუკეთესო ინფორმაციით უზრუნველყოფის გარდა ჩვენ, ჩვენი დროის უმეტეს ნაწილს ვუძღვნით საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას და ძლიერი საარჩევნო ოლქის ჩამოყალიბებას, რის მიმართაც ვცდილობთ გამოვხატოთ ჩვენი მხარდაჭერა. ეს საზოგადოებრივი აზრი და ამომრჩეველზე აგებული სამუშაო მიზანმიმართულია იქითკენ, რომ მიაღწიოს ძირითად გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე და იქონიოს გავლენა მათზე. ამას ვაკეთებთ ჩვენმიერ მიწოდებული ინფორმაციის საშუალებით.

საზოგადოებრივი აზრის ეფექტური ორგანიზებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა განსაკუთრებით კი, პრესაში არის იმის უნარი, რომ ჩაუღრმავდე იმას, რასაც პრესა ჩვეულებისამებრ წერს. ეს თავის მხრივ უკვე წარმოადგენს დიდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას ადამიანის აფრიკული და ბევრი სხვა ქვეყნების მედიაში, რომლებიც ადამიანის უფლებების პირობებს ეხება. მაგრამ, ეს ინფორმაცია და ამბები არ იქნება მნიშვნელოვანი, იმისთვის, რომ ადამიანებმა რაიმე ზომებს მიმართონ სანამ, ეს ინფორმაცია ისე არ იქნება მოწოდებული, რომ მსხვერპლი აღქმული იყოს, როგორც ადამიანი. მედიის მეორე როლი არის მონაცემების ისე გენერირება , რომ ჩამოყალიბდეს დეტალური ამბავი თავისი სიცხადით და სიღრმით და რომელშიც, მსხვერპლი მიჩნეულია ადამიანად. თუ ეს გაკეთდება, ჩვენ ხშირად მივაღწევთ იმას რომ ადამიანები მოვიყვანოთ მოქმედებაში.

აქამდე მონიტორინგი მოიცავდა მონაცემების მოგროვებასა და წარმოდგენას მიმდინარე სიტუაციებზე თავდაპირველად იმ განზრახვით, რომ გავლენა მოეხდინათ პოლიტიკოსებზე. რუანდის გენოციდი და სხვა აღმაშფოთებელი არაჰუმანური სიტუაციებით, როგორებიცაა, მაგალითად, სიერა ლეონესა და კონგოს დემოკრატიულ

რესპუბლიკაში. „ჰიუმან რაითს ვოჩი „ გრძნობს საჭიროებას, რომ ჩვენ ვიმოძრაოთ ცოტა სხვა მიმართულებით, რაც გულისხმობს დანაშაულის ამსახველი დაწვრილებითი დოკუმენტის წარდგენას. ეს გახდა მნიშვნელოვანი გზა ჩვენი სტრატეგიების ფოკუსირების ჩამოყალიბებაში, რათა მოვახდინოთ ცვლილება. ჩვენ 5 წლის განმავლობაში მოვაგროვეთ მნიშვნელოვანი რესურსები, განსაკუთრებით რუანდაში, რომელშიც თანდართული იყო ორი ან ზოგ შემთხვევაში სამი მკვლევარის მიერ მოწოდებული რესურსები 1994 წლის გენოციდის საბოლოო ანგარიშის წარსადგენად. ეს არის ცვლილება, რომელსაც სხვა განვითარებისკენ მივყავართ-მკვლევარების როლი იურიდიული საქმის წარმოებაში. ჩვენ გავითვალისწინეთ მოწმის ჩვენება, აგრეთვე საერთაშორისო ტრიბუნალის მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია რუანდაში, ისევე როგორც კანადის, ბელგიისა და შვეიცარიის სასამართლოებში.

ადამიანის უფლებები უბრალოდ კი არ უნდა ისწავლებოდეს, არამედ მათ რეალურ ცხოვრებაში გადმოტანაა მნიშვნელოვანი. ხალხის ინფორმირება სხვადასხვა კონვენციებისა და ადგილობრივი კანონების შესახებ საჭიროა, მაგრამ არ აჩვენებს მათ, თუ როგორ იმუშავებს ეს რეგულაციები მათ დასაცავად. ეს ნაჩვენებია მხოლოდ სისტემურ მონიტორინგსა და მონიტორინგის მონაცემების თანმიმდევრულ საჯარო გამუყენებაში, იმისათვის რომ მოვითხოვოთ გაუმჯობესება. „ ჰიუმან რაითს ვოჩში“ ჩვენ ასევე ვცდილობთ გამოვიყენოთ ჩვენი ოფისები და უნარი იმისათვის, რომ გავაძლიეროთ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და აქტივისტები აფრიკაში. რამდენადაც გამოიკვეთა, ადამიანის უფლებების აქტუალობა და არა მხოლოდ სწავლება, ჩვენ გავხდით მოწმე მოსახლეობის გამოცდილების, რომელიც განუზომლად ცდილობენ თავიანთი უფლებების აღსრულებას თვით აფრიკის კონტინენტზეც. ჩვენ ვცდილობთ , რომ გავამყაროთ ეს განვითარება სამშენებლო პროექტებითა და ერთობლივი მონიტორინგით. გამოძიებისა და პროექტების გაცნობით ადგილობრივი ჯგუფებისა და ინდივიდუალებისათვის.

შეიარაღებული ვაჭრობა, ლტოლვილები და იძულებით მიგრაცია

რამდენადაც ჯარების ნაკადის შეინიშნება აფრიკაში, ესკალაცია და კონფლიქტები მიზანმიმართულია მოქალაქეებისკენ, როგორც სამხედრო სტრატეგიის ნაწილი, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის ზრდა ხდება აფრიკის კონტინენტზე. ეს ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც ეძებენ თავშესაფარს, ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი გადასახლების შემდეგ. „ჰიუმან რაითს ვოჩი“ იძულებულია გაამახვილოს ყურადღება, რათა მოახდინოს ჯარების მიერ ისეთი საკითხების აღქმა , როგორიცაა შეურაცყოფილი ადამიანების მდგომარეობა და მათზე შეურაცმყოფელი ძალადობა.

ჯარების კვლევა გაცილებით რთულია, ვიდრე ადამიანის უფლებათა დარღვევების რეგულარული ანგარიშგება. ეს მგრძნობიარე და რისკის შემცველი სამუშაოა, იმ საქმეებთან შედარებით, სადაც უბრალოდ ადამიანის უფლებების გამოძიება ხდება. არსებობს აგრეთვე მზარდი ტენდენცია ცილისმწამებლურ საქმეებზე სასამართლოში, თუ მხარდამჭერებს ასახელებენ და არცხვენენ. ხშირ შემთხვევაში შედეგი არის ის , რომ ჯართან დაკავშირებული გამოძიების განხორციელებას სჭირდება გაცილებით მეტი დრო, დროსთან ერთად ეს მოითხოვს აუარებელ რესურსებსაც.

იძულებითი მიგრაციის თვალსაზრისით ჩვენ, ჩვენ დიდ დროს ვუთმობთ ლტოლვილების პრობლემებს. ჩვენ ხელთ გვაქვს დოკუმენური მასალა ძალადობაზე, იძულებით დეპორტაციაზე, ურბანული ლტოლვილების გაუპატიურებასა და ოჯახურ ძალადობაზე ლტოლვილი ქალების მიმართ. ასევე ლტოლვილი ბავშვების უფლებების დარღვევაზე ტანზანიაში, ეთიოპიაში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კენიაში, გვიანასა და სამხრეთ აფრიკაში. ასევე ჩვენ ხელთ გვაქვს დოკუმენტური მასალა საერთაშორისო დაცვის ჩავარდნებზე, იძულებით გადაადგილებული პირების მიმართ და ეფექტური საერთაშორისო დაცვის რეჟიმის ნაკლებობა საკუთარ ქვეყნებში იძულებით გადასახლებული პირებისათვის. ეს მოიცავს კენიას, ბურუნდის, რუანდას, და კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

“ჰიუმან რაითს ვოჩი“ აგრეთვე აგრძელებს ყურადღების გამახვილებას საერთაშორისო რეაგირების დროს ლტოლვილების მიმართ არსებულ უთანასწორობაზე. რადგან, იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა ხშირად დავიწყებული ხდება.

გარდა ამისა ჩვენ განვაცხადეთ ევროპელი დევნილებისათვის გაწეული საერთაშორისო დახმარების უთანასწორობაზე, აფრიკელ დევნილებთან შედარებით. 1999 წელს მაკედონილელი და ალბანელი ლტოლვილი 10-ჯერ მეტ დღიურ დახმარებას იღებდა ვიდრე აფრიკელი.

მიუხედავად იმისა, რომ საგამოძიებო და დოკუმენტური სამუშაოები ლტოლვილებზე და იძულებით გადაადგილებულ პირებზე ძალიან გავს ადამიანის უფლებათა დაცვის გამოძიებას, აშკარა განსხვავება მხოლოდ გამოყენებულ მეთოდოლოგიაში შეინიშნება. ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები თავდაპირველად ხშირად სახლდებიან უკიდურესად დაშორებულ და განუვითარებელ ტერიტორიებზე. ხშირად დაუცველ საზღვრებთან ახლოსაც კი. ამ მოსახლეობასთან გამგზავრება პირველადი ჩვენებების მისაღებად, ხშირად რამდენიმე დღეს საჭიროებს. იმ დროიდან, როდესაც იძულებით გადაადგილებულ პირებს ბანაკებში მოათავსებენ, საჭიროა მთავრობის ან მაკონტროლებელი ხელისუფლების ნებართვა ამ იძულებით გადაადგილებულ პირებთან შეხვედრისათვის. დაბანაკების ადგილებთან კონფიდენციალურობის საკითხის დაცვა მთავარია. ხშირად გვიწევს იმედის დამყარება სხვა ლტოლვილებზე, რომ ისინი გაგვიწევენ მთარგმნელობით სამსახურს. ამის უყურადღებოდ განხორციელება, შეიძლება ხელისშემშლელი აღმოჩნდეს რესპოდენტების უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის დაცვისათვის. ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა პოლიტიკური სიტუაცია, ან თარჯიმანთა ეთნიკურობა, სქესი და სხვ, შეიძლება გამოიწვიოს განსხვავება, მიუხედვად იმისა ხალხი მათთან გამოცდილებაზე საუბრის დროს კომფორტულად გრძნობს თუ არა თავს.

ლტოლვილთა ბანაკები ხშირად იმართება გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ. ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენი უნარი, რომ წვდომა გვქონდეს ლტოლვილ მოსახლეობაზე, დამოკიდებულია გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან თანამშრომლობაზე, ლოჯისტიკური და სხვა სახის დახმარების უზრუნველსაყოფად. იძულებით გადაადგილებული პირებისთვის წვდომის პრობლემა ხშირად გაძლიერებულია იმ ფაქტით რომ არ არსებობს ცალკეული საერთაშორისო სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მათთვის დახმარების გაწევაზე, რაც დახმარებას გაუწევს ხელმისაწვდომობას.

დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებთან დაკავშირებული საკითხების ადვოკატირება ხშირად ექცევა საერთაშორისო მოხელეების ყურადღების ცენტრში. ბევრ ადგილებში მასპინძელ მთავრობებს არ აქვთ სურვილი ან არ შეუძლიათ ლტოლვილებისათვის დახმარების გაწევა. არსებობს ადგილები, სადაც მთავრობები სინამდვილეში პასუხისმგებლები არიან მათ განთავსებაზე, ასეთ შემთხვევებში კი, ძლიერი საადვოკატო დახმარების გაწევა გაეროს სააგენტოებისგან და სხვა ჰუმანიტარული მოხელეებისგან თამაშობს მთავარ როლს. „ ჰიუმან რაითს ვოჩმა“ შეითავსა როლი, რომ გულდასმით შეისწავლოს გაეროს აგენტების მუშაობა ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების დაცვისათვის. ჩვენ გავაშუქეთ ისეთი საკითხები, რომლებიც ეხება არა მხოლოდ მომხდარ ძალადობებს არამედ გაეროს დაუდევრობასა და შეზღუდვებს დახმარებისა და დაცვის უზრუნველსაყოფად.

პიტერ ტაკირამბუდე და აშგეიტის საგამომცემლო კომპანია 2001. პიტერ ტაკირამბუდე არის „ ჰიუმან რაითს ვოჩის“ აფრიკული პროგრამის დირექტორი.

3 ჟურნალისტთა მიზანში ამოღება ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელების თავიდან ასაცილებლად

ანა კუპერი

ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი 1981 წლიდან არსებობს. ჩვენ ძირითად სამუშაოს წარმოადგენს მსოფლიოს მასშტაბით ჟურნალისტების მიმართ განხორციელებულ ძალადობებზე რეპორტაჟების გაკეთება და კვლევების წარმოება იმის დასასაბუთელად, თუ რა მოხდა. როდესაც ჩვენ ვადგენთ, რომ ჟურნალისტზე მისი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების გამო მოხდა თავდასხმა, ეს უკვე ჩვენი საქმე ხდება და ჩვენ ვიღებთ ზომებს. პიტერ ტაკირამბუდემ აღწერა ინფორმაციის მიღების საჭიროება ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე მედიასთან და ჟურნალისტები, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანის უფლებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების თვალსაზრისით. მაგრამ, ჟურნალისტებს ხშირად თვითონვე ექმნებათ პრობლემები საკუთარ უფლებებთან მიმართებაში, რომელშიც იგულისხმება პრესის თავისუფლების აღვეთა. სწორედ ამაზე მუშაობს ჩვენი ორგანიზაცია „ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი“. ჩვენ დავფუძნდით ნიუ იორკში და ვანხორციელებთ საქმიანობას მთელ მსოფლიოში. ჩვენ ვაწარმოებთ პრესაზე ყველა სახის დარღვევევებისა და თავდასხმების დოკუმენტირებას. „ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი“ მუშაობს ყველაფერზე, დაწყებული იმ ჟურნალისტებიდან, რომლებიც მოკლეს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, დამთავრებული მათით, ვინც იმყოფება ციხეში თავიანთი მუშაობის გამო.

ჩვენ აგრეთვე უფრო ფართო მონიტორინგს ვაწარმოებთ პრესის თავისუფლების სიტუაციაზე დაახლოებით მსოფლიოს 120 ქვეყანაში. ყველაფერი ეს განთავსებულია ჩვენს ყოველწლიურ წიგნში „თავდასხმები პრესაზე“ . „ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი“ დაარსდა ნიუ იორკში, მაგრამ ჩვენ გაცილებით უკეთ გვიცნობენ ისეთ ადგილებში, როგორიცაა, პერუ, თურქეთი, ალჟირი და ბელორუსია, ვიდრე შეერთებული შტატების ბევრ ადგილებში. ეს იმიტომ ხდება, რომ იქ მცხოვრები

ადგილობრივი ჟურნალისტები ყველაზე დაუცველები არიან , ისინი თითქმის ყოველთვის უფრო დაუცველნი არიან, ვიდრე უცხოელი კორესპონდენტები კრიზისის ან დაპირისპირების დაფარვის თვალსაზრისით. ამიტომაც ხდება ჩვენი რესურსების კონცენტრირება შეერთებულ შტატებს გარეთ. თუმცა, ჩვენ ხანდახან საქმეებსაც ვიღებთ შეერთებულ შტატებში.

ეს არის ის, რასაც ჩვენი დირექტორთა საბჭო პერიოდულად განიხილავს, რათა განსაზღვროს, თუ როგორ შეიძლება ჩვენი წყაროების საუკეთესოდ გამოყენება. ეს არის შეგნებული გადაწყვეტილება, იმიტომ რომ როდესაც არსებობს ჟურნალისტების მისამართით დარღვევები შეერთებულ შტატებში, არსებობს სხვა ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე. მაგრამ არავინ არის ისეთი ვინც ამას განახორციელებს შეერთებულ შტატებს გარეთ და ყოველჯერზე კომისია იღებს იმ გადაწყვეტილებებს, რომ, ეს სწორედ ის ადგილებია, სადაც ჩვენ გვჭირდება რომ ჩავდოთ ჩვენი რესურსები.

ჟურნალისტების მნიშვნელობა ადამიანის უფლებების დარღვევების გაშუქებისას

შეერთებულ შტატებში ხალხი ხუმრობს, რომ „ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის“ ნაცვლად უნდა არსებობდეს „ადამიანების ჟურნალისტებისგან დაცვის კომიტეტი“. ზოგიერთი ჩვენი კოლეგა-ჟურნალისტიც კი ამბობს ხოლმე, „რა არის ის რასაც სინამდვილეში ჟურნალისტი აკეთებს - შემოხსნა დამცავი ჟილეტი ადამიანებს?“

რა თქმა უნდა არა, ჩვენ ვიბრძვით დავიცვათ ჟურნალისტები ჟურნალისტიკით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ პრესაზე თავდასხმის შემთხვევების შესახებ მაქსიმალურად ყველას უნდა ვაცნობოთ, ვინაიდან სანამ ჩვენ არ ამოვიღებთ ხმას პრესის თავისუფლების დარღვევებზე, არაფერი არ მოხდება მანამდე. ვერასდროს ვნახავთ, რომ ვიღაცეები გაასამართლეს მტკიცებულებებისა და სამხილების გარეშე. ჩვენ ვერასდროს დავინახავთ ქვეყანაზე ზეწოლას მისი ქცევის შესაცვლელად, ეს ყოველთვის ეფექტური არ არის. ხანდახან ეს ეფექტურია მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში, მაგრამ, ხანდახან ის ეფექტური ხდება დაუყოვნებლივ.

ეს ძალიან უმნიშვნელოა ჟურნალისტთა ოფიციალური დაცვის თვალსაზრისით. ეს საკითხები განსაზღვრულია ჟენევის კონვენციებში , რომლებიც მიიჩნევენ ჟურნალისტებს მოქალაქეებად ომის სიტუაციებში. იმ ქვეყნების უმეტესობაში, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, ყოველთვის გამოიყენებოდა უკიდურესად რეპრესიული კანონები პრესის წინააღმდეგ. კუბაში, ამჟამად ჩვენი ოთხი ჟურნალისტი იმყოფება საპატიმროში. ერთ-ერთი ასეთ შემთხვევა მოხდა გასულ წელს, ჯესუს ჯოელ დიას ჰერნანდესი მსჯავრდებული იყო სახიფათო დანაშაულისთვის. იუგოსლავიაში სლობოდან მილოსევიჩს ჰქონდა საინფორმაციო კანონი, რომელიც სხვა რამეებს შორის კანონგარეშედ აცხადებდა „შიშს, პანიკას და დამარცხების მოსურნეობას“. კანონის დარღვევისთვის თქვენ არ აღმოჩნდებით ციხეში, მაგრამ კანონის დარღვევისთვის თქვენ დაგეკისრებათ საკმაოდ მძიმე ჯარიმა, სწორედ ისე, როგორც ეს გააკეთა მილოსევიჩმა დაახლოებით წელიწად ნახევრის წინ, რომელიც ცდილობდა დამოუკიდებელი ან ოპოზიციურად განწყობილი მედიის საქმიდან გაყვანას, არსებითად მათი გაკოტრების გამო ჯარიმების დაწესების გზით. ეს ნაკლებად დრამატულია, ვიდრე შეკვეთილი მკვლელობები ან ციხეში ჩასმა მედიის გაჩუმების მიზნით. მაგრამ, თუ მოახერხებთ ფინანსურად მათ დახურვას, ის ასევე იქნება ასეთივე ეფექტური.

როდესაც ჩვენ ვიგებთ პრესაზე თავდასხმის შესახებ, ჩვენ ვიკვლევთ იმას, თუ რა მოხდა და განვსაზღვრავთ იყო თუ არა ეს რეპრესია გამოწვეული ჟურნალისტური სამუშაოს შესრულების გამო. ჩვენ შევისწავლით დაახლოებით 500- 600 ასეთ შემთხვევას წელიწადში. ჟურნალისტებს თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულების გამო კლავენ, აპატიმრებენ ან ფიზიკურად უსწორდებიან ან/და ცენზურას უწესებენ.

თავისუფალი სიტყვის ჩახშობა და ჟურნალისტების შევიწროვება

არსებობს ბიუროკრატიული კონტროლის აპარატის ყველა სახეობა, რომლებიც გამოყენებულია მედიის წინააღმდეგ. ხშირად ეს ნაბიჯები არ არის აშკარა და საჭიროა გამოძიების წარმოება ჟურნალისტიკასა და დამსჯელ ზომებს შორის კავშირების დასადგენად. მთავრობებმა შეიძლება გამოიყენონ საგადასახადო კანონი ჟურნალისტების შევიწროვებისთვის. ბევრ ადგილებში სახელმწიფო აკონტროლებს საინფორმაციო გამოშვებებს ან ხელმისაწვდომობას ბეჭდურ პრესაზე, მის

ტრანსპორტირებასა და განაწილებაზე. შესაძლოა ამ გაზეთის წინააღმდეგ მოქმედება იმით იყოს გამოწვეული, რომ ის რაც ჟურნალისტმა დაწერა, მთავრობას არ მოეწონა. ასეთი ტიპის შემთხვევების დამტკიცება უფრო რთულია. მაგრამ ჩვენ მართლაც ვიძიებთ და ვცდილობთ, რომ გავაკეთოთ ეს კავშირები. მე არ შემიძლია ამის დოკუმენტირება სტატისტიკურად, მაგრამ, როგორც მილოსევიჩი გვთავაზობს ჩვენ ნამდვილად ვგრძნობთ, რომ არიან ლიდერები რომლებსაც აქვთ მედიაზე კონტროლი არა ძალადობრივი გზით, არამედ ჯარიმებისა და კანონების გამოყენებით ჟურნალისტებისა და გამომცემლების დასაშინებლადა და დასასჯელად.

ეს ლიდერები იყენებენ სხვადასხვა ტაქტიკებს მედიის თავისუფლების აღსაკვეთად. ეს მოიცავს ისეთი კანონების გამოყენებას რომლებიც აწესებენ მკაცრ ჯარიმებს მედიის მიერ გაკეთებული დარღვევებისთვის. ეს შეიძლება განხორციელდეს საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებით, ან სახელმწიფო კონტროლის დამყარებით რეკლამირებაზე, საინფორმაციო გამოშვებასა თუ ბეჭდურ მედიაზე. ესენი არიან ის მეთოდები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას მედიის წინააღმდეგ ზოგადად, ან კონკრეტული ჟურნალისტის დასჯისა და დაშინებისათვის, რომელიც წერს რაღაცას იმ ძალების წინაარმდეგ, რომელიც შეიძლება იყოს ან შეიარაღებული ძალების ლიდერი, ან ისეთი ვინმე ვისაც შეიძლება არ მოსწონდეს, ან არ სურდეს ნახოს კრიტიკა ბეჭდურ მედიაში საკუთარ თავზე.

ჟურნალისტების მკვლელობა და დაპატიმრება

ჩვენ ყველაზე დიდ ყურადღებას ვაქცევთ იმ ჟურნალისტების საქმეებს, რომლებიც მოკლეს ან დააპატიმრეს ყოველგვარი მიზეზის გარეშე. 1999 წელს ჟურნალისტებისთვის ყველაზე საშიში ქალაქი იყო სიერა ლეონე. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების გამო გარდაცვლილი ჟურნალისტების 34 შემთხვევიდან 10 სიერა ლეონეში მოხდა, და ამათგან 8 მოკლული იქნა ათ-დღიან ინტერვალში, როდესაც მეამბოხეები შევიდნენ დედაქალაქ ფრითაუნში. ისინი პირდაპირ ნადირობდნენ იმ ჟურნალისტებზე, რომლებიც წერდნენ მეამბოხეების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე. ზოგიერთ მათგანს საკუთარ სახლებში მიაკვლიეს და მოკლეს.

რატომ ვამახვილებთ განსაკუთრებულ ყურადღებას ჟურნალისტებზე, როდესაც ადამიანის უფლებების არაერთი დარღვევა ხდება? იმიტომ, რომ ჟურნალისტები არიან მოწმეები. ისინი არიან პირები, რომლებიც იმყოფებიან შემთხვევის ადგილას, ძალადობის ეპიცენტრში, რომლებიც იწერენ და ააშკარავებენ, როგორც დარღვევებს ისე ამ უფლების დამრღვევებს. ეს განსაკუთრებით ეხებათ ადგილობრივ ჟურნალისტებს. ისინი იმყოფებიან შემთხვევის ადგილას ან მიდიან იქ ცხელ კვალზე, სანამ საერთაშორისო მონიტორები ჩამოვლენ. ისინი პრაქტიკულად სამიზნეები არიან, რადგანაც ისინი არიან მოწმეები, რომელთაც აქვთ ხელმისაწვდომობა მედია წყაროებზე და შეუძლიათ მოუთხრონ მსოფლიოს, ჩადენილი დანაშაულებების შესახებ. არსებობს, აგრეთვე უფრო ფართო პრობლემური საკითხიც, როდესაც პრესა არ არის თავისუფალი, ან იმ ყვეყანაში არ არსებობს გამოხატვის თავისუფლება. არ არსებობს საჯარო ფორუმი, რომელიც მნიშვნელოვანია ქვეყნებისათვის პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით, ან ქვეყნებს შორის დავების გასამკლავებლად. რა თქმა უნდა, თავისუფალი პრესის არსებობაც არ არის იმის გარანტია, რომ შეიძლება მივაღწიოთ მშვიდობას, ჰარმონიასა და დემოკრატიის მაღალ ხარისხს , მაგრამ პრესისა და გამოხატვის თავისუფლების საფუძვლების გარეშე თითქმის ცხადია, რომ ვერ მიიღებთ დემოკრატიას.

1999 წელს სიერა ლეონეში მოკლული ათი ჟურნალისტის საქმე წარმოადგენდა ძალიან უკიდურეს შემთხვევას, მაგრამ ჟურნალისტების მოკვლა ერთადერთი არ არის. სიერა ლეონეში ძალიან მცირედის გაკეთება შევძელით. ათივე ჟურნალისტი ძალიან სწრაფად იქნა მოკლული და ეს იყო ძალიან ტრაგიკული სიტუაცია. მაგრამ, მოგვიანებით ჩვენ რამდენიმე ჟურნალისტს მაინც დავეხმარეთ სიერა ლეონედან თავის დაღწევაში, ზოგიერთი მათგანი აღარც კი დაბრუნებულა თავის ქვეყანაში. მაგრამ, ჩვენ ვერაფერი ვიღონეთ იქ მოკლულ ჟურნალისტებთან დაკავშირებით.

ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის მიერ წარმოდგენილი მაგალითები პრესის თავისუფლების ზეწოლაზე.

ჩემი ყურადღება მიიქცია გოლდსტოუნის დაკვირვებამ, რომ ჩვენ გვჭირდებოდა უკან დახევა და მოვლენებზე ხანგრძლივად დაკვირვება. თუმცა, სიმართლე ის არის, რომ გენერალ ავგუსტო პინოჩეტის საქმემდე არც თუ ისე დიდი ხნით ადრე ვინ იფიქრებდა, რომ მისი დაპატიმრება მოხდებებოდა? ვინ იფიქრებდა, რომ ის შეიძლება სხვა ქვეყანაში დაეპატიმრებინათ? მე ვცდილობ შევახსენო ჩემს პერსონალსაც და ჩემს თავსაც, რომ არასდროს უნდა გაჩერდეთ იმიტომ, რომ მნიშვნელობა არ აქვს რამდენად უიმედო სიტუაცია ჩანს, რაღაცეები ყოველთვის იცვლება. მე ორი წლის განმავლობში ვიყავი „ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის“ (CPJ) დირექტორი. ჩემი ხელმძღვანელობის დასაწყისში, ერთ-ერთი ყველაზე ცუდი სიტუაცია იყო ნიგერიაში. სადაც 17 ჟურნალისტი იყო დაპატიმრებული. . ისინი იმყოფებოდნენ ციხეში საშინელ პირობებში და ისე გადიოდა წლები, რომ არც არანაირი ნიშანი არ ჩანდა მათი განთავისუფლების. ჩვენ ბევრი გავაკეთეთ მათი საქმეების გასაჯაროებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, ჩუმად ვუწევდით მათ ოჯახებს დახმარებას. მაგრამ ეს რა თქმაუნდა არ აღმოჩნდა საკმარისი მიზნის მისაღწევად და ჟურნალისტების გასათავისუფლებლად.

მოვლენები ამ მხრივ შეიძლება განუსაზღვრელად განვითარებულიყო, მაგრამ შემდეგ რაღაც მოხდა. სანი აბაჩა, დიქტატორი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ამდენი ჯურნალისტის დაპატიმრებაზე ნიგერიაში, გარდაიცვალა. მაშინაც კი

ჟურნალისტების განთავისუფლება დაუყოვნებლივ მაინც არ მომხდარა. მაგრამ, როგორც მივხვდი, როდესაც ეროვნულ საზოგადოებრივ რადიოში საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენების გაშუქება მევალებოდა და გორბაჩოვი მოვიდა ძალაუფლებაში, ის ცდილობდა მაქსიმალურად ეჩვენებინა თავისი პატივისცემა და თანაგრძნობა, როგორი თანაგრძნობაც სჩვეოდა დემოკრატიულ ლიდერს. მიხეილ გორბაჩოვი ეძებდა გზას, რომ ეთქვა „გამარჯობა, მე განსხვავებული ვარ, მსურს რომ ჩემზე დადებითი შთაბეჭდილება შეგექმნათ“. პირველი, რაც გორბაჩოვმა გააკეთა ეს იყო იმ პატიმრების განთავისუფლება, რომლებიც უკვე გათავისუფლებულები იყვნენ სხვა ადამიანების მიერ.

როდესაც ნიგერიაში ახალი გენერლები მოვიდნენ ძალაუფლებაში, ეს პირები აზროვნებით ძალიან განსხვავებულები იყვნენ სანი აბაჩასგან. ისინი საუბრობდნენ არჩევნებზე და დემოკრატიაზე იმისათვის, რომ დაეძლიათ ღრმა სკეპტიციზმი, რომელიც შეეძლოთ მართებულად განეჭვრიტათ, მათ დაიწყეს პოლიტ-პატიმრების განთავისუფლება. ამ განთავისუფლებულებს შორის პირველები იყვნენ ჟურნალისტები. მე მჯერა, რომ ჟურნალისტების განთავისუფლების მნიშვნელოვანი მიზეზი იყო ამ დაპატიმრებული ჟურნალისტების საქმის გასაჯაროება ჩვენ მიერ და სხვა ჯგუფების და სხვა პოლიტიკური პატიმრების ნიგერიაში. ეს საჯაროობა გზავნილი იყო ახალი საჯარო ლიდერებისათვის, თუ სურდათ მათ იმის დამტკიცება, რომ ისინი განსხვავებულები არიან წინა რეჟიმისგან, მაშინ ეს ხალხი უნდა გაენთავისუფლებინათ, და მათ ეს გააკეთეს.

ზოგჯერ რასაც ჩვენ ნამდვილად ვაკეთებთ, ეს არის ხალხის მორალური მხარდაჭერა. ეს შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი, როგორც ამას დაპატიმრებული ჟურნალისტებისგან ვიგებთ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ გარეთ არის ხალხი, რომლებიც მათზე ზრუნავენ. ისინი ამბობენ, რომ „მე უბრალოდ მჭირდებოდა იმის ცოდნა, რომ სხვა ჟურნალისტებიც ამდაგვარად ფიქრობენ და ეს მეხმარება იმის გაგებაში, რომ მართალი ვიყავი. მთლიანი სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან თქვენი გაკიცხვა და იმის თქმა, რომ რაც თქვენ დაწერეთ იყო კანონსაწინააღმდეგო და აზიანებდა ქვეყნის ინტერესებს, შეიძლება იყოს მძიმე ტვირთი. მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ არსებობენ ადამიანები, ვისაც სწამთ გამოხატვის თავისუფლების პრინციპი და ვინც მხარს გიჭერს. ისეთ ადგილებშიც კი, როგორიცაა კუბა და ჩინეთი, არიან ადამიანები, რომლებიც განაგრძობენ დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის პრაქტიკაში დანერგვის მცელობას. ისინი სულ უფრო და უფრო მეტად ეძებენ გზებს ინტერნეტის გამოყენებით ინფორმაციის მისაღებად. ასე, რომ მნიშვნელოვანია გავაგრძელოთ გზავნილების გაგზავნა პრესის თავისუფლებასა და გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობაზე ამ ხალხისთვის.

სხვა ადგილებში ვიყენებთ იმ ბერკეტებს, რომელთა გამოყენებაც შეგვიძლია. ჩვენ ვნახეთ თურქი ხალხის სურვილი დასრულებულიყო პრესის თავისუფლების ჩახშობა. თურქეთში ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფები ევროკავშირთან თანამშრომლობენ

და აცხადებენ, რომ თურქეთს აკლია სამართლიანობის სტანდარტები და ნამდვილი პრესის თავისუფლება და ზღუდავს ასევე გამოხატვის თავისუფლებას. ისინი უცხადებენ თურქეთის მთავრობას, რომ თუ მათაც სურთ იყვნენ ევროკავშირის შემადგენლობაში, მაშინ ისე უნდა მოიქცნენ, როგორც ამას აკეთებენ ევროკავშირში მყოფი სხვა ადამიანები. არსებობს გარკვეული მგრძნობელობა და ჩვენ წარმატებით მოვახერხეთ ორი ჟურნალისტის განთავისუფლება, რომლებიც იყვნენ თურქეთის ციხეში მყოფი სულ მცირე 11 ჟურნალისტის შემადგენლობაში.

მაგრამ, საჭიროა უფრო ფართო სამართლებრივი რეფორმა და ჩვენი მოლოდინია, რომ გავაგრძელოთ მუშაობა იქამდე, სანამ შედეგს არ მივაღწევთ. ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა იარაღებს. ეს მოიცავს ჩვენი ადვოკატირების ანგარიშებს და გაგზავნილ პროტესტს მთავრობების მიმართ. ხანდახან, შეხედავ პროტესტს და იცი, რომ ის პრეზიდენტი, ვის მისამართითაც არის ეს პროტესტი არასოდეს დაინახავს მას, ან მოისვრის სანაგვეში. და შენ გიჩნდება კითხვა „რა აზრი აქვს ამას? მაგრამ აზრი ის არის რომ ადგილობრივ ჟურნალისტებს ჩვენ ვაძლევთ საბაბს, რომ დაწერონ ამ შემთხვევებზე, მაშინ როცა სხვა შემთხვევაში ისინი შესაძლოა მეტისმეტად დაშინებულები ყოფილიყვნენ, რომ ამის შესახებ დაეწერათ. ადგილობრივი ჟურნალისტები შესაძლოა ჩვენთვის აღმოჩნდნენ აგრეთვე საინფორმაციო წყაროები. მათ შეუძლიათ გასვლა და იმის დოკუმენტირება რომ გაზეთი განადგურებული იქნა მისი გამოქვეყნებიდან 2 დღის შემდეგ მასში მოცემული სტატიის გამო, რომელიც ეხებოდა მთავრობის კორუფციას, ან სხვა პროვოკაციულ თემებს. მაგრამ, დაშინების გამო შეიძლება მათვის რთული აღმოჩნდეს ამის გამოქვეყნება და გამოაშკარავება.

მე მსურს დავასრულო ერთ-ერთი ბოლო დროს მომხდარი მაგალითით , თუ როგორ მუშაობს საერთაშორისო კამპანია, რომელიც მიმართულია ზეწოლაზე. ეს მაგალითი გულისხმობს რუსეთის მიერ დაპატიმრებულ რადიო თავისუფლების(Radio Liberty) რეპორტიორ ანდრეი ბაბიცკის, რომელიც ერთ-ერთი იყო იმ მცირერიცხოვან ადამიანებს შორის რომელიც აწარმოებდა რეალურ გამოძიებას ჩეჩნეთში. რუსეთმა თითქმის შეუძლებელი გახადა იმის ცოდნა, თუ სინამდვილეში რა ხდებოდა ჩეჩნეთში. იქ რომ დაგიშვან მოგიწევთ დარეგისტრირება რუსულ სამხედროებთან, როგორც კი დარეგისტრირდებით მათთან, ისინი წაგიყვანენ და გაჩვენებენ იმას, რაც მათ სურთ რომ

თქვენ იცოდეთ. ისინი გაგაფრთხილებენ, რომ არ დაწეროთ იქ ნანახზე და თუ იმას არ შეასრულებთ, რასაც ისინი გეტყვიან მაშინ პრობლემები შეგექმნებათ.

როდესაც რუსეთის მთავრობამ ბაბიცკი დააპატიმრა, ის შესაძლოა უჩუმრადაც კი გაექროთ, რომ არა ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტისა და პრესის თავისუფლების სხვა ორგანიზაციების საპროტესტო აქციები, რამაც მისი გაქრობა საერთაშორისო ინციდენტად აქცია. საბოლოოდ რუსეთის მთავრობამ ის დააბრუნა მოსკოვში, თუმცა მას არ შეუძლია მოსკოვის დატოვება და ჯერ კიდევ არსებობს მის წინააღმდეგ ბრალდებები. რამდენადაც ვიცით, რუსეთის მთავრობას ჯერ კიდევ აქვს მის წინააღმდეგ უსაფუძვლო ბრალდებები, ჩეჩენ მეამბოხეებთან თანამშრობლობასთან დაკავშირებით. მე არ ვიცი გაგრძელდება თუ არა ამ ბრალდებების სასამართლოში განხილვა, მაგრამ ბაბიცკი ჯერ კიდევ ზის და ელოდება წაიწევს თუ არა მისი საქმე წინ. ჩვენ ყურადღებით დავაკვირდებით. საბოლოო ჯამში, ,რუსეთის მთავრობასთან ჩვენ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს, სულ მცირე მისი განთავისუფლება და მოსკოვში დაბრუნება გაკვეთილი იყო ყველა ჩვენგანისთვის.

რა თქმა უნდა, ყველაზე საგანგაშო სტატისტიკა ყოველწლიურად მოკლული ჟურნალისტების რიცხვია. მაგრამ ჩვენ ყოველწლიურად აღვრიცხავთ ჟურნალისტებზე თავდასხმის დაახლოებით 500 შემთხვევას. ამ რაოდენობიდან დაახლოებით 34 ჟურნალისტი გასულ წელს მოკლეს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების გამო. თუმცა, ჩვენ ასევე გვაქვს სხვა შემთხვევების რაოდენობაც , რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ჩვენ „დაუდასტურებელ ქეისებს“ რომლებშიც ჩვენ გვაქვს ძლიერი ეჭვი, რომ ჟურნალისტები აგრეთვე მოკლულები იყვნენ თავიანთი ჟურნალისტური მოღვაწეობის გამო. ჩვენ იქამდე გავაგრძელებთ ამ საკითხებზე მუშაობას, სანამ არ შევძლებთ თამამად იმის თქმას , რომ ადამიანები დაიღუპნენ ჟურნალისტობისთვის. მხოლოდ ეს 34 ჟურნალისტი არ წერდა ადამიანის უფლებათა პრობლემურ საკითხებზე, ჟურნალისტები ასევე წლების განმავლობაში წერდნენ კოლუმბიაში ნარკოტიკებით ვაჭრობაზე. კოლუმბია ერთ-ერთი ყველაზე საშიში ქვეყანაა მსოფლიოში. მრავალი ჟურნალისტი ირჩევს გადასახლებას ნაცვლად, სამშობლოში მუდმივ საფრთხის ქვეშ ცხოვრებისა.

მთავრობის კორუფცია ბევრ ქვეყანაში ჟურნალისტებს უქმნის პრობლემებს. ადამიანის უფლებების დარღვევებზე ანგარიშების წარმოება ერთ-ერთი მკვეთრად

სახიფათო საკითხია ჟურნალისტებისათვის. ორი ქვეყანა, რომელშიც საფრთხე აშკარად გამომჟღავნდა იყო სიერა ლეონე, სადაც 10 დღის განმავლობაში 8 ჟურნალისტი იქნა მოკლული. როდესაც 1999 წელს შეიარაღებული ძალები შემოვიდნენ ფრითაუნში. ჟურნალისტები მიზანმიმართულად იყვნენ მიზანში ამოღებულნი, რადგან ისინი საუბრობდნენ მოქალაქეთა მიმართ მეამხოთა მიერ ჩადენილ დარღვევებზე. მეორე ქვეყანა იყო აღმოსავლეთ ტიმორი, სადაც ორი ჟურნალისტი მოკლეს. მაგრამ ბევრად მეტი ნაცემი და დაშინებული ჟურნალისტი იყო , როგორც დამოუკიდებლობის მიღებამდე, ასევე მის შემდგომ. როგორც ნოამ ჩომსკი აღნიშნავს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მოქალაქის პასუხისმგებლობის საკითხების განხილვისას, აღმოსავლეთ ტიმორში ამ ხალხების მიმართ ძალადობა დაიწყო დამოუკიდებლობის მცდელობამდე დიდი ხნით ადრე. 1999 წლის აპრილში მილიცია თავს დაესხა ადგილობრივ გაზეთს, ცეცხლი წაუკიდა და გაანადგურა ის. მათ დროულად ამოიღეს გაზეთი საქმიდან. ჟურნალისტები რომლებიც ჩამოდიოდნენ აღმოსავლეთ ტიმორში 1999 წლის ადრეული დასაწყისის განმავლობაში და აშუქებდნენ იმ მოვლენებს, რამაც საბოლოოდ დამოუკიდებლობის მისაღებად არჩევნები გამოიწვია, ხშირად თავდასხმის ობიექტები ხდებოდნენ. დამოუკიდებლობის დროსაც, ბევრი ჟურნალისტი, რომლებიც აშუქებდნენ მოვლენებს, მუდმივად იმყოფებოდნენ თავდასხმის ქვეშ. მოვლენები ისე დაიძაბა, რომ არამარტო ხალხი ცდილობდა გაქცეოდა ძალადობასა და მკვლელობას არამედ, ჟურნალისტებიც. 1999 წლის 3 სექტემბრისათვის, როდესაც დამოუკიდებლობის არჩევნების შედეგები გამოცხადდა მედიის თითქმის არცერთი წარმომადგენელი არ იმყოფებოდა აღმოსავლეთ ტიმორში. ადგილობრივი ჟურნალისტების უმეტესობა თანამემამულეებთან ერთად გაიქცა. იმ თითზე ჩამოსათვლელმა უცხოელმა ჟურნალისტებმაც კი, რომლებიც იქ იყვნენ დარჩენილები, უკან დაიხიეს აშშ-ის შემადგენლობაში.

რატომ გახდნენ ეს ჟურნალისტები ამხელა ძალადობის სამიზნეები? იმიტომ, რომ ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებიც აშუქებდნენ ინფორმაციას, ქვეყნის მოსახლეობის ძალადობრივი გადააგილების შესახებ. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, ეს იყო მილიციის მიერ განხორციელებული მიზანმიმართული სტრატეგია ჟურნალისტებზე, რომლებსაც მხარს უჭერდნენ ინდონეზიელი სამხედროები. ისევე, როგორც ბევრ სხვა ადგილებში

ჟურნალისტები წარმოადგენენ მიზანმიმართულ სამიზნეებს ბოლო 10 -15 წლის განმავლობაში. როდესაც ავსტრალიის სამშვიდობო ძალები შევიდნენ ქვეყანაში, მათ დახვდათ წინა დღეებში მოკლული ორი ჟურნალისტი. ერთი იყო ჰოლანდიელი რეპორტიორი, მეორე კი, ადგილობრივი რეპორტიორი. გაერომ განაცხადა, რომ როგორც ჩანს ინდონეზიის სამხედრო ბატალიონის ჯარისკაცებმა მოკლეს ჰოლანდიელი ჟურნალისტი და მათ ასევე სჯერათ , რომ იმავე ჯარისკაცებმა მოკლეს ადგილობრივი ჟურნალისტიც, ასევე შეურაცყვეს და თავს დესხნენ სხვა ჟურნალისტებსაც. ამ ინდონეზიური ბატალიონის კონკრეტულ შემთხვევას რაც შეეხება, ისინი ატარებდნენ ფორმებს , არსებობს საუძვლიანი მიზეზი იმისა, თუ ვინები იყვნენ რეალური მკვლელები. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი მიეცემიან სასამართლო პასუხისგებაში.

როგორც აღმოვაჩინეთ, ბევრი ჩვენი საქმიდან, უკიდურესად იშვიათი შემთხვევაა ამ ქვენებში ვინმეს პასუხისგებაში მიცემა ჟურნალისტების მოკვლისათვის. სიერა ლეონე 1999 წელს აშკარად წარმოადგენდა ყველაზე სასიკვდილო ქვეყანას ჟურნალისტებისათვის. რამდენიმე ჟურნალისტმა, რომლებიც იღებდნენ გარკვეულ დახმარებას ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტისგან, და სხვადასხვა ჯგუფებმა დატოვეს სიერა ლეონე და წავიდნენ გადასახლებაში მას შემდეგ, რაც მკვლელობები გაუარესდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ჟურნალისტი, რომელიც მუშაობდა სახელმწიფო მაუწყებლობაში და შეერთებულ შტატებში დაიწყო თავშესაფრის ძებნა. მას დავალებული ჰქონდა დარღვევებზე სიუჟეტების გაკეთება. ის გამოდიოდა და აგროვებდა დოკუმენტურ მასალებს და ისინი შუქდებოდა ტელევიზიით. შემდგომში, ეს მასალა სასამართლო სხდომებზე გამოიყენებოდა როგორც მტკიცებულება, რომლებიც საბოლოოდ დასრულდა სახელმწიფოს ღალატისთვის 24 მეამბოხის სიკვდილით დასჯით. 1998 წლის ოქტომბერში ჟურნალისტებმა დაიწყეს სიკვდილის მუქარების მიღება და ამ მუქარებბმა გაძლიერება დაიწყო 1999 წლის ივლისში, მას შემდეგ, რაც მშვიდობის შეთანხმებას ხელი მოეწერა და უფრო მეტი მეამბოხე შემოვიდა სიერა ლეონეს დედაქალაქ- ფრით,აუნში. ეს მუქარები იმდენად მკაცრი იყო რომ ჩვენ გვჯეროდა, ერთადერთი უსაფრთხო რამ რასაც მათთვის ვაკეთებდით იყო ქვეყნის დატოვება.

დასკვნა

ეჭვგარეშეა, რომ გამიზნულად ჟურნალისტების მიზანში ამოღება გაიზარდა და ეს მეტწილად გამოწვეულია ჟურნალისტების როლით, ადამიანის უფლებების დარღვევების გაშუქებაში. როგორც ჩვენ ვნახეთ, ცივი ომის შემდგომ პერიოდში არსებობდა უფრო მეტი სამოქალაქო კონფლიქტები. ამავე დროს ჟურნალისტებს იმდენად კარგი წვდომა ჰქონდათ ინფორმაციის მოპოვებაზე, როგორიც მანამდე არასდროს ჰქონიათ. იმ დროს მე ვმუშაობდი საბჭოთა კავშირში და როდესაც რაღაც მოხდებოდა, არსებობდა სახელმწიფო კონტროლი ინფორმაციაზე, რომელიც იყო ძალზედ ეფექტური. შეუძლებელი იყო მოსკოველი ჟურნალისტისთვის, რომ დაეწერა ამ პრობლემაზე. დღესღეობითაც, ჩვენ საჩივარი გვაქვს რუსეთის მთავრობასთან იმ ნაბიჯების გამო, რომ ისინი აკონტროლებენ ინფორმაციის წვდომასა და ჟურნალისტურ შინაარსზე. მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ისინი აკეთებდენ საბჭოთა კავშირის პერიოდში.ჯერ კიდევ არსებობენ ისეთი ჟურნალისტები, რომელთაც შეუძლიათ გვერდი აუარონ ამჟამნდელი რუსეთის კონტროლს ინფორმაციაზე და გააშუქონ დამოუკიდებლად თუ რა ხდება ისეთ ადგილებში, მაგალითად, როგორიცაა ჩეჩნეთი. მაგრამ ეს ძალიან სახიფათო სიტუაციაა. მათ აქვთ უფრო მეტი შესაძლებლობები რეპორტაჟებისათვის.

ზოგ ადამიანს აქვს ტრეინინგ კურსები ჟურნალისტებისათვის. ეს ახლა რუტინულად კეთდება „ბი-ბი-სი-ს“ კორესპოდენტებისათვის. საუბედუროდ, ჟურნალისტები საფრთხის ქვეშ არიან, ვინაიდან ისინი არიან პიროვნებები რომლებიც მუდმივად იმყოფებიან მოვლენათა ეპიცენტრში. მაშინ, როდესაც არსებობს ძალისხმევა რომ განვითარდეს მოსამზადებელი კურსები ადგილობრივი ჟურნალისტებისათვის, უბედური შემთხვევების დროს ეს საკმარისი არ არის. ჯეისონ ქლეის განცხადებით, რისი სწავლაც ჟურნალისტებმა და ადამიანის უფლებების დამცველმა აქტივისტებმა უნდა შეძლონ ეს არის თავიანთი დაცვა . ეს თვალთახედვა ცხადზე მართალია. ჟურნალისტები უნდა იყვნენ გამჭრიახები იმ საფრთხისადმი, რომელსაც ისინი აწყდებიან, რადგან რისკები გაცილებით დიდია. მათ მოუწევთ საღი აზრის გამოყენება. როდესაც ადამიანები მირეკავენ და მეკითხებიან კონკრეტულ ტერიტორიაზე წასვლის შესახებ, მე ყოველთვის ვახსენებ მათ რომ აზრი არ აქვს ძალიან საშიშ ადგილზე წასვლას,

რადგან თითქმის გარანტირებულია, რომ თქვენ შეიძლება გაგიტაცონ ან მოგკლან. და ვინაიდან თუ იქნებით გატაცებული ან მოკლული თქვენ ვეღარ შეძლებთ მოყვეთ ან დაწეროთ ისტორიები ამის შესახებ.

c. ანა კუპერი და აშგეიტის საგამომცემლო კომპანია, 2001. ანა კუპერი არის ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორი.

4 ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოძიება, ზოგიერთი მაგალითი ამ სფეროდან.

ჯეისონ კლეი

1980 იანი წლების განმავლობაში, მე დიდი დრო დავუთმე ადამიანის უფლებათა დარღვების გამოძიებასა და გაანალიზებას , რომელიც ჩადენილი იყო ადგილობრივი მოსახლეობისა და ეთნიკური უმცირესობების წინააღმდეგ. ეს შრომა წამოწყებული იქნა ორგანიზაციაში სახელწოდებით „ კულტურული გადარჩენა“, სადაც, მე ვიყავი კვლევების დირექტორი და ვქმნიდი ორგანიზაციის კვლევების უნარიანობასა და მის შესაძლებლობას, რომ გაეანალიზებინა და რეაგირება მოეხდინა ისეთ გადაუდებელ სიტუაციებზე როგორიცაა გენოციდი, საყოველთაო შიმშილობა და ლტოლვილებთან დაკავშირებული კრიზისები. იმისათვის რომ წარმოგვედგინა ეს ანალიზები ფართო მსმენელისათვის, მე დავაფუძნე და ვიყავი რედაქტორი ორგანიზაციის ჟურნალისა „ კულტურული გადარჩენა პერიოდულად“.(Cultural Survival Quarterly)

„კულტურულ გადარჩენაში“ მე წამოვიწყე და ორგანიზებას ვუკეთებდი მთელ რიგ კვლევით პროექტებს კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირების საპასუხოდ. როგორც ლტოლვილებთან, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით, რომლებიც იმყოფებოდნენ ცენტრალური ამერიკის , ჩრდილო აღმოსავლეთ აფრიკისა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ბანაკებში. მაშინ, როცა ჩვენი გუნდების აღმოჩენები ხშირად საწინააღმდეგო იყო, მათ არასდროს უარყოფდნენ და დროთა განმავლობაში ეს მიდგომა გახდა სტანდარტი, რომლითაც ასეთი მონაცემები ფასდებოდა. მაშასადამე უფრო მეტად მთხოვდნენ მიმეცა რჩევა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, ინდივიდუალური მკვლევარებისა და ორმხრივი და მრავალმხრივი სააგენტოებისთვის, თუ რა იყო საუკეთესო ტექნიკა და სტრატეგიები, ამბოხებულთა მონაცემების შესაგროვებლად კრიზისულ სიტუაციებში.

ადამიანის უფლებათა დამცველებისა და ჟურნალისტების დაცვა პირველ და ყველაზე მნიშვნელოვანს იმას მოითხოვს, რომ მათ გადადგან ბრძნული ნაბიჯები ერთმანეთის დასახმარებლად. კარგია თუ ისინი ამის გადაწყვეტილებას მიიღებენ და უკეთესია თუ განახორციელებენ კიდევაც. ისინი შეძლებენ, რომ შედარებით უფრო

ადვილად დაიძვრინონ თავი რთულ სიტუაციაში ჩავარდნისას. როდესაც პირველად იწყებ მოღვაწეობას ამ სფეროში, ძალზედ მნიშვნელოვანია სხვებისგან სწავლა და გუნდის ნაწილად ყოფნა. ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებს ასევე სჭირდებათ მატერიალური სახსრები იმ ადამიანებისთვის მისაცემად, რომლებიც მათთან მუშაობენ. ძალზე ცხადია, თუ ვინები არიან ადამიანის უფლებათა დამცველები. ისინი, როგორც წესი ახალგაზრდები არიან, ისინი არა არიან ოჯახების მქონე ორმოცი - ორმოცდაათი წლის ადამიანები, იმიტომ, რომ მათ არ აქვთ საშუალება შეასრულონ ასეთი ტიპის სამუშაო და არჩინონ ოჯახი. ეს ახალგაზრდები კი, ისე კარგად ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობებს , რომ სხვა პასუხისმგებლობასაც კისრულობენ ამ ორგანიზაციაში. მაშასადამე, მუდმივი ბრძოლის მიმდინარეობს იმაზე, რომ შეინარჩუნონ საჭირო უნარების მქონე ადამიანები, რომ მათ შეძლონ თავიანდი დაგროვილი ცოდნის გაზიარება და დამწყები უფებადამცველებისთვის აღმოჩნდენ მენტორები და ორიენტირები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია რომ მათი შერწყმა მოხდეს ადგილობრივ მოსახლეობასთნ, რის საშუალებითაც მათ ყოველთვის ექნებათ საშუალება, რომ ცოდნა გაცვალონ ერთმანეთში.

ჩემი სამუშაოს უდიდესი ნაწილი მოიცავდა ადამიანის უფლებათა დარღვევების დოკუმენტირებას მესამე მსოფლიოს ქვეყნებში. თუმცა, ამის გათვალისწინებით აქტივობები, აგრეთვე განხორციელდა შეერთებულ შტატებშიც. მაგალითად, ჩვენ ინტერვიუები ჩავწერეთ ლტოლვილებთან, რომლებიც გადასახლებულები იყვნენ აშშ-ში, იმისათვის, რომ მიგვეღო მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა მათ ქვეყნებში და რომ იდენტიფიცირება მოგვეხდინა იმ ქვეყნებში მათი კონტაქტების. ჩვენ ასევე გამოვიკითხეთ მოხალისეები, რომლებსაც შეეძლოთ ხშირად მოეთხროთ იმაზე, თუ რა ხდებოდა იმ ქვექნებში, ან კონკრეტულ ლოკაციებსა, თუ ლტოლვილთა ბანაკებში. მაგალითად, ამ ინტერვიუების დროს აღმოჩნდა, რომ თავიანთი გამოცდილებებიდან მათ ისეთი რამეები იცოდნენ, რაც თვითონაც კი არიცოდნენ რომ იცოდნენ. ზოგიერთი დამხმარე სააგენტოები გვთხოვდნენ, რომ ინტერვიუ ჩაგვეწერა მათ ხალხთან მას შემდეგ რაც ისინი დაბრუნდებოდნენ მივლინებიდან, რათა დაედგინათ თუ რას ვერ სწავლობდნენ საფუძვლიანად, რისი სწავლაც მათ მართებდათ ეფექტურობის მისაღწევად. ბოლოს, იმის დიდი ნაწილი რაც მე გავაკეთე შეადგენდა სულ მცირე

კვირაში ერთხელ, დაახლოებით 10 წლის განმავლობაში აფიდევიტების(ფიცით დადასტურებული წერილობითი ჩვენება) წერას შეერთებული შტატების საიმიგრაციო სამსახურში, იმ ადამიანთა საქმეებზე, რომლებიც ეძებდნენ პოლიტიკურ თავშესაფარს აშშ-ში, რადგან ჰქონდათ საფუძვლიანი შიში დევნის ,როგორც დაშინებული ჯგუფის წევრებს.

მე დამაპატიმრეს, გამრიცხეს ლტოლვილთა ბანაკებიდან და გამომადეპორტეს, როდესაც დროთა განმავლობაში აღმოვაჩინე, რომ არსობობს ძირითადი ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია იმათი დაცვა ვინც გამოიძიებს ადამიანის უფლებათა დარღვევებს. ქვემოთ მოყვანილია ათი ჭკუის სასწავლებელი მაგალითი.

ათი ძირითადი ნაბიჯი აქტივისტების დასაცავად

სულ მცირე 10 გზა არსებობს იმისათვის, რომ მოხდეს თავდასხმების რისკისა და დევნების შემცირება და გაიზარდოს გადარჩენის შანსები, ადამიანის უფლებათა დამცველებისა და ჟურნალისტებისათვის. საჭიროა იმის ხაზგასმა, რომ არ არსებობს პრობლემის გადაწყვეტის უნივერსალური გზა, რომელიც ნებისმიერ პირს მისცემს საშუალებას, რომ გააკეთოს იმ საკითხების ჩამონათვალი რომელზეც უნდა მოხდეს ფოკუსირება. არსებობს ბევრი კულტურული განსხვავებება და ჩვენ ვაწყდებით ბევრ რთულ სიტუაციას- წარსული, აწმყო, და ჯერ კიდევ არ დამდგარი მომავალი, რაც ძალზე რთულია.

ქვემოთ აღწერილის გარდა, რა თქმა უნდა, არსებობს ისეთი განსახორციელებელი ნაბიჯები, რომლებიც შეიძლება მივიღოთ ჟურნალისტებისა და უფლება დამცველების გადარჩენის ალბათობის გაზრდისათვის. მაგრამ გადარჩენის ეს 10 სტრატეგია მნიშვნელოვანი ქმედებებია, რომელიც უნდა გვახსოვდეს, როდესაც რთულ სიტუაციებში ვარდებით. რა თქმა უნდა რეალობა არის ის, რომ ცალკეული პიროვნებები რომლებიც ამ საქმეს ანხორციელებენ უკვე ცდილობენ, დაიცვან თავიანთი თავები. მნიშვნელოვანი მომენტია ისიც, რომ თუ თქვენ აღმოჩნდით დაკავებული, სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული პოლიციელების მიერ საუკეთესო რამ რისი გაკეთებაც შეგიძლიათ, არის მოიქცეთ ბუნებრივად. თუმცა, ამის თქმა გაცილებით ადვილია ვიდრე

ამგვარად მოქმედება. პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ამ თვალსაზრისით არავინაა ისეთი, ვინც რეალურად დაგეხმარებათ. უკიდურესასდ მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრაც თუ რისი გაკეთება შეგიძლიათ იმისათვის, რომ თავიდან აიცილოთ პოლიციის მიერ დაკავება, წამება და მოკვლა. თქვენ ქცევებში არსებობს ისეთი ნორმები, რომელსაც სულ მცირე შუძლია რისკის შემცირება.

- არ იმოგზაუროთ მარტო. არასდროს შეასრულოდ ამგვარი სახის სამუშაო მარტომ. ძალა რაოდენობაშია, სულ მცირე წყვილში მაინც . თუ თქვენ ხართ აქტივისტი ან ჟურნალისტი და ცდილობთ მოიპოვოთ ინფორმაცია, გაიყოლეთ ვინმე, იქნება ეს ფოტოგრაფი, თარჯიმანი თუ უფროსი ჟურნალისტი. თქვენ, სულ მცირე ვიღაც გეყოლებათ გვერდით.
- თუ შესაძლებელია, გააკეთეთ ყველაფერი წესის მიხედვით. ეს გულისხმობს , ქვეყანაში ლეგალურად შესვლას, ზუსტად მოყოლას იმისას, თუ რასაც აკეთებთ იქ. თუმცა არის შემთხვევები, როცა მიდგომა „წესებს მიყოლა“ არ ამართლებს, იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გიწევთ საზღვრის გადაკვეთა კონფლიქტის ზონაში. მაგრამ ხშირ შემთხვევაში, გქონდეს ლეგალური საფუძველი რაღაცის კეთებისა, ეწინააღმდეგება ქვეყანაში თვალთმაქცურად შესვლას, რაც შეიძლება მოექცეს გადარჩენასა და მისიის წარმატებულად შესრულებას შორის.
- უაღრესამნიშვნელოვანია კონფლიქტის ყველა მხარესთან საუბარი. ყველას თავის სიმართლე აქვს იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოხდა ან, რა შეიძლება სწორად მომხდარიყო. შეეცადეთ, რომ რეალობის ძიებაში, რაც შეიძლება ობიექტურები დარჩეთ. ნუ შეისწავლით სიტუაციას დ მხოლოდ იმ განზრახვისთვის, რომ საკითხი დაამტკიცოთ, ან დაამტკიცოთ ისეთი რაღაც რაც უკვე გადაწყვეტილი გაქვთ, იქამდე სანამ კონკრეტულ ადგილზე არ მიხვალთ.
- დარწმუნდით, რომ თქვენი გადაადგილებები კონფლიქტის ზონაში ცნობილია იმ ადამიანებისთვის ვისაც თქვენ ენდობით, იქნებიან ესენი მეგობრები, რელიგიური ლიდერები, მხარდამჭერი თანამდებობის პირები, საელჩოს პერსონალი თუ სხვები. ვიღაცამ უნდა იცოდეს, სად იმყოფებით თქვენ და როდის მოგელოდებიან, რომ იქნებით კონკრეტულ ადგილზე.

- ერთი რამ, რაც მნიშვნელოვნად შეიცვალა ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ სამუშაოებში, ბოლო ოცი წლის განმავლობაში, არის შუა 80-იანი წლებიდან ელექტრონიკის გავრცელება და გამოყენება. ჩვენ ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორები გვყავდა მექსიკის საზღვარზე გვატემალასთან ახლოს, რომ გასაუბრებოდნენ ლტოლვილებს, რომლებიც იყვნენ მაიას ტომის ინდიელი ლტოლვილები, იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდებოდა გვატემალაში.მონიტორებმა შეძლეს 5-6 გვერდიანი სიუჟეტებისს ჩაწერა და დააგზავნეს, ისინი როგორც ელექტრონული აფეთქება სატელეფონო ხაზებით. ერთ-ერთი სიუჟეტი საფუძვლად დაედო „ნიუ იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიას. ასეთი სახის საჯაროობა ქმნის გამჭირვალობას და ეს არის მონიტორებისა და ჟურნალისტების დაცვისა და დამნაშავეების წნეხში მოქცევის გზა. როგორც კი მოხდება ამბის გავრცელება, ის გახდება საჯარო ჩანაწერის ნაწილი. ადამიანის უფლებების დამრღვევები ცდილობენ, რომ ინფორმაცია თავიანთი ჩადენილ ქმედებების შესახებ მოარიდონ საჯარო თვალს, ეს სინამდვილეში ყველაზე სახიფათოა იმ ხალხისთვის ვინც მათ გამოაშკარავებას ცდილობს. ისეთი მობილური ტელეფონების გამოყენება, რომელთაც შეუძლიათ ფაქსებისა და ელექტრონული შეტყობინებების გაგზავნა, ძალიან მნიშვნელოვანი ამ საქმეში, მაგრამ, ბევრი ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციები და მკვლევარები არ ფინანსდებიან, მოწინავე ელექტონიკა კი თითქმის სრულიად გამოუყენებელი რჩება.

არსებობს სხვა საშუალებები, რითაც შესაძლებელია მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენება ადამიანის უფლებების დარღვევების დოკუმენტების წარმოებისას. მაგალითად, ადრეულ და შუა 80-იანებში, ეთიოპიაში საყოველთაო შიმშილობის დროს, არსებობდა ფართო გადასახლებისა და იმაზე კიდევ უფრო მოცულობითი სოფლად გადასახლების პროგრამები , რომელიც მოიცავდა 100 მილიონი ადამიანის გადაადგილებასა და ბევრი სახლის გადაწვას. მიმდინარე ტექნოლოგიებით შესაძლებელია ადამიანის უფლებების ამგვარი დარღვევების აღრიცხვა, სატელიტური ზედამხედველობის სისტემით შესაძლებელია იმის დამტკიცება, რომ კონკრეტულ ადგილმდებარეობებზე სახლები იყო აშენებული. როდესაც თქვენ შეგიძლიათ

ტექნოლოგიების გამოყენება იმისათვის, რომ წაიკითხოთ სანომრე ნიშნები, ან დათვალოთ სიმინდის ღეროებზე ტაროების რაოდენობა, მაშინ თქვენ დარწმუნებით შეგიძლიათ თქვათ, თუ სად დაიწვა სახლი. ეს არ არის სარაკეტო მეცნიერება.

- თითქმის ყოველთვის, არსებობს ენის პრობლემაც. ადამიანის უფლებათა დარღვევების მონიტორინგის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მსხვერპლთათვის ხმის მიწვდენა. მათი ხმა ერთადერთი მნიშვნელოვანი რამ არის, მაგრამ გარდაუვალად, ეს არის ის, რაც ყველაზე ნაკლებად გვესმის.
- იზოლირებული ადგილობრივი მოსახლეობა და ეთნიკური უმცირესობები ხშირად არ საუბრობენ სახელმწიფო ენაზე. სინამდვილეში, სახელმწიფო ენა ხშირად ხდებოდა დამნაშავეების ენა. ამგვარი ჯგუფებისათვის, მნიშვნელოვანია, რომ გასაუბრება საკუთარ ენაზე მოხდეს. რადგანაც არავის შეუძლია ისაუბროს ამ ყველა განსხვავებულ ენაზე, დამკვირვებლები უნდა დაეყრდნონ თარჯიმანს. ეს ძალზედ მნიშვნელოვანი და ამავდროულად სენსიტიური საკითხია და სიფრთხილით მისადგომი. მნიშვნელოვანია, აგრეთვე თვითონ მონახო და დაიქირავო თარჯიმანი. ამის გაკეთება არ მიანდოთ სხვა არავის. შემდეგ, ჩაიწერეთ ყველა ინტერვიუ, რომ დამოუკიდებლადაც იქნას თარგმნილი იმაში დასარწმუნებლად, რომ თქვენ შეცდომაში არავის შეუყვანიხართ. ინტერვიუები ჩატარებული უნდა იყოს გამოკითხულთა ანონიმურობის დაცვით.
- კრიზისის დროს მოხვდით ეპიცენტრში, რაც შეიძლება სწრაფად. შეეცადეთ, რომ გაჰყვეთ სამედიცინო გუნდს ადგილზე ოცდაოთხი საათის განმავლობაში, დაზარალებულთა დასახმარებლათა და დარღვევების ჩასაწერად. მოქმედება რაც შეიძლება სწრაფად უნდა იქნეს შესრულებული. მას შემდეგ, რაც უსაფრთხოებისა და კონტროლის სისტემები დამყარდება უფრო გართულდება მომხდარის შესახებ სანდო ინფორმაციის მოპოვება. გარეშე პირებს მეტ-ნაკლებად უმეთვალყურეო წვდომა აქვთ. ინტერვიუების აღების ამოცანაც დროთა განმავლობაში უფრო რთულდება, იმიტომ, რომ დაზარალებულები იწყებენ ერთმანეთში ლაპარაკს და მომხდარის შესახებ ქმნიან ერთგვაროვან ვერსიას. დაუმუშავებელი მონაცემების მიღებასთან ერთად, რაც ნამდვილად ის

არის რასაც რეალურად ეძებდით, მნიშვნელოვანია ასევე იმის ცდაც, რომ მიიღოთ გაუფილტრავი პასუხებიც. ეს თქვენ ჩაგახედებთ მომხდარის ნიუანსებში.

- დამაჯერებელი ახსნა-განმარტებების ქონა იმაზე, თუ რას აკეთებთ კრიზისულ ტერიტორიაზე. მაგალითად, მე ვიმყოფებოდი ეთიოპიისა და სუდანის საზღვარზე. მე, იქ ვიმყოფებოდი ლტოლვილებისაგან ინტერვიუს ასაღებად, რათა დამედგინა, რატომ წამოვიდნენ ისინი და მევარაუდა, თუ კიდევ რამდენი უშველიდა თავს გაქცევით და განმესაზღვრა რამდენ ხანს დაჩებოდნენ ისინი. მე ეს გავაკეთე. მაგრამ სინამდვილეში რისი გაკეთებაც მსურდა, ეს იყო სისტემატურად იმის დოკუმენტირება, თუ რამ გამოიწვია ამ ხალხის გაქცევა თავდაპირველი საცხოვრებელიდან. თუმცა, ჩემმა გარეგნულმა როლმა მომცა საშუალება შევსულიყავი ბანაკებში დამესვა ყველა ტიპის შეკითხვა. 80-იანების ბოლოს, ჩვენ შევეცადეთ მოგვეწყო კონფერენცია იმ კვლევით მეთოდებზე, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზაციებმა შეისწავლეს კრიზისის განმავლობაში. ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა სფეროებიდან აგროვებდნენ ინფორმაციებს თემებზე. შეეძლოთ და უნდა შეესწავლათ ერთმანეთისაგან, თუ როგორ უნდა განეხორციელებინათ თავიანთი სამუშაო უკეთესად. მაგალითად ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტიას“ თავისი ხალხი შეჰყავს ციხეში, მათ შეუძლიათ ფრჩხილებზე, ტანსაცმელზე და სხვა ნივთებზე დაკვირვებით ისაუბრონ იმ ადამიანების პირობებზე, რომლებისგანაც ინტერვიუს იღებენ. ამის მსგავსად, დაავადებათა კონტროლის ცენტრს ატლანტაში ჰყავს ექიმები, რომლებიც კრიზისულ სიტუაციებში მიდიან სანდო ინფორმაციის შესაგროვებლად იმისათვის, რომ მოსახლეობის ნაკადების და საზღვრების გასწვრივ ხალხის მასების სამედიცინო საჭიროებების პროგნოზირება მოახდინონ. მათ ძალიან კარგად გამოსდით ეს. ჩვენ გვჭირდება, რომ ამისაგან ვისწავლოთ. როგორ ახერხებენ ისინი ამას? რა შეიძლება, რომ ვისწავლოთ ერთმანეთისაგან. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ეს მაგალითები და შევიტანოთ ისინი საკუთარ საქმიანობაში. ეს უბრალოდ უკეთესად მუშაობს, ვიდრე მხოლოდ იმათთან გასაუბრება, ვისაც ამის

სურვილი აქვს. ჩემს საქმიანობაში, მე აღმოვაჩინე, რომ შემთხვევითი ნიმუშები ხდება სანდო ინფორმაციის კოლექციის გასაღები დევნილთა ფართო მოსახლეობაში.

ადამიანის უფლებების დამცველებმა და ჟურნალისტებმა საჭიროა იცოდნენ უფრო მეტი იმ ხალხთა ცხოვრებაზე, რომელთა დახმარებასაც ისინი ცდილობენ, სანამ ადგილზე ჩავლენ. ერთ-ერთი საკვირველება რაც აღმოვაჩინე, არის ის, რომ იმათი უმეტესობა, რომლებიც ბევრს მუშაობენ ადამიანების უფლებების დაცვის თვალსაზრისით, იყვენენ ქალაქელები, საშუალო კლასის წარმომადგენლები და მდირებიც კი. და მაინც, ისინი ინტერვიუებს იღებდნენ თავდაპირველად, სოფლად მცხოვრები ღარიბი მოსახლეობისგან. მათ არ იცოდნენ რა შესაბამისი კითხვები შეიძლება დაესვათ. მათ ვერ შეძლეს კომუნიკაცა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ბევრ ადამიანს გაესაუბრნენ. მათ უბრალოდ არ ესმოდათ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ვიღაცისთვის თესვების სეზონზე მოცდენას, თესლის მოპარვას, ხარების წამოყვანას მოხვნის პრიოდში. ან ვიღაცის მიერ წაღებულ იმ თოკებსა და თასმებს, რომლებიც საჭირო იყო ცხოველების შესაბმელად. ამ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა დამცველებმა არც კი იცოდნენ, თუ რას ნიშნავდა ორკვირიანი შეყოვნება სოფლის მეურნეობაში. ასე რომ ეს ინფორმაცია არასდროს იწერებოდა, ასეთი დარღვევების მოცულობა, შიმშილობის დროს, არასდროს ყოფილა დოკუმენტურად აღრიცხული.

ადამიანის უფლებათა დამცველების რთული როლი.

ამ საკითხზე ჩვენი მხრიდან ასეთი დაინტერესება გამოწვეულია იმ გარეშე პირების როლით, რომლებიც ადამიანის უფლებათა საქმეებზე მუშაობენ. მნიშვნელოვანი საკითხი ეხება იმას, თუ ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციები და სხვა ტიპის რელიგიური და საქველმოქმედო ორგანიზაციები, რომლებიც ათასობით არის ამ სფეროში, როგორ ეფექტურად მუშაობენ განსხვავებულ და ხშირად კონფლიქტურ კულტურულ საკითხებზე, იმისათვის, რომ მიაღწიონ საჭირო მიზანს, წინასწარ განზრახული დახმარების მიმღები პირების ჩამოშორების გარეშე. საკითხავია აგრეთვე, რა მოხდება, როდესაც ადამიანის უფლებებზე მომუშავე არაპროფესიონალი პირები წავლენ.ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდება

მხარეების შერიგების პროცესში, სადაც არსებობდა ქაღალდზე მიღწეული კონსტიტუციური სამართლებრივი შეთანხმება და ვიღაცის ნათელი წარმოდგენით ხალხი საბოლოოდ ერთად იცხოვრებდა ჰარმონიაში, რადგანაც ქაღალდებზე ყველაფერი გადაწყვეტილი იყო.სამწუხაროდ რეალობა არის ის, რომ ხალხი რომელიც ერთად ცხოვრობს, ვერ იქნება მზად რომ იცხოვროს ჰარმონიულ ურთიერთობაში სამ , ოთხ, ხუთ ან ექვს თაობებთანაც კი. ამას სჭირდება მშიდობა და ძლიერი ეკონომიკა, იმის დასავიწყებლად, თუ რა იყო მანამდე. საუბედუროდ, უწყვეტი ან თუნდაც საერთაშორისო კონფლიქტებიც კიდევ უფრო აძლიერბს ადრეული საშინელებების გახსენებას.

ჩემი თვალსაზისით, უნდა გვახსოდეს, რომ ჩვენთვის არასდროს არის კრიზისზე რეაგირების მოხდენა ისეთი რთული, როგორც იმ ხალხისთვის, რომელთა დახმარებასაც ჩვენ ვცდილობთ თავიანთ ქვეყნებში და იმათთვის ვინც ადამიანის უფლებების დარღვევებისა და ძალადობის მსხვერპლები არიან. ეს საკითხი ჩემთვის წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პერსპექტივას. ეს არის ის, თუ რა რეალური სიტუაცია ადგილზე მსხვერპლებისთვის და ჩვენთვის, ვინც კეთილსინდისერებითა და საუკეთესო განზრახვით ვცდილობთ მათ დახმარებას. აქტივისტებთან და ჟურნალისტებთან ერთად ეროვნული მოხელეებისთვისაც ყოველთვის უმძიმესია საკუთარ ქვეყანაში რეაგირების მოხდენა და ანგარიშმგებლობა. ისინი არ ტოვებენ ტერიტორიას მას შემდეგაც კი, როდესაც ყველა გაემგზავრება. ბევრად მეტი დაცულობაა ადამიანის უფლებათა კრიზისის პერიოდში სხვა ადგილებიდან ჩამოსული საერთაშორისო საზოგადოებისათვის. მე ბრაზილიაში ვმუშაობდი ადამიანის უფლებების დაცვის ჯუფში, სადაც თერთმეტი დამფუძნებლიდან ათი წევრი სამხედროების მიერ იქნა ნაწამები. ეს არის რეალობა იმ ტერიტორიაზე. ეს გააუმჯობესა კომუნიკაციის სისწრაფის ცვლილებამ. გაუმჯობესებულმა კომუნიკაციებმა შეცვალა შესაძლებლობა და სიჩქარე, რომლითაც ინფორმაცია შეიძლება გადაცემულიყო მსოფლიოს გარშემო. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის ზეწოლასა და კონფლიქტში უფრო ადრეულად ჩართვის შესაძლებლობას.

ეს სამუშაოები უნდა ჩატარდეს არასამთავრობო ორგანიზაციებთან იმ ქვეყანაში მცხოვრები ხალხის მიერ, მაგალითად, რელიგიურ ლიდერები და მუშები რომლებიც

ქვეყანაში ცხოვრობენ ოცი წლის ან უფრო მეტი ხნის განმავლობაში, არიან უფრო მეტად ინტეგრირებულები საზოგადოებაში და შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა. ან, ეს საუბარი შეეხება იმ დასავლეთელებს , რომლებმაც დატოვეს ისეთი ორგანიზაციები როგორიცაა მშვიდობის კორპუსი და დარჩნენ ქვეყანაში. ასეთი ადამიანებიც შეიძლება იყვნენ სასარგებლოები დახმარების თვალსაზრისით. მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიძლება ითამაშონ განსაკუთრებით მნშვნელოვანი როლი თარგმანების დროს „ვნებათა დაცხრობის“ შესამსუბუქებლად.

ადამიანის უფლებათა დაცვის სიტუაციებში „კარგი“ და „ ბოროტი“ მეტაფორების გამოყენებისას, არსებობს მედალის მეორე მხარე, რომელსაც ჩვენ განვდევნით ადამიანის უფლებათა დამრღვევის იმიჯის ხარჯზე. მედლის მეორე მხარე გულისხობს, ჩვენს ტენდენციას, რომ საკუთარი თავები კულტურული გმირების სახით დავინახოთ და ვითამაშოთ ჩვენი როლი ძლიერი აუთსაიდერებივით რომლებიც შემოდიან ქვეყანაში რათა განაცხადონ:

„ჩვენ აქ თქვენი მძიმე სიტუაციიდან დასახსნელად ვიმყოფებით“ ჩვენ მივაღწიეთ მობილობის წარმოუდგენელ მაჩვენებელს, რომელიც 50 წლის წინაც კი არ გვქონდა, ახლა ჩვენ შეგვიძლია გადავაადგლოთ ადამიანური და მატერიალური რესურსები მსოფლიოს ერთი კუთხიდან მეორეში შედარებით მარტივად და ძლიერი სიჩქარით. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ შეგვიძლია ჩავერიოთ თითქმის ყველა პროცესში. მაგრამ ჩვენი შესვლით სხვა კულტურის ქვეყანაში შეიძლება სერიოზული ზარალის რისკი წარმოიქმნას რის შესახებაც, ჩვენ მცირედი ვიცით. და ჩვენ ვთავაზობთ „ მე აქ ვარ რათა დაგეხმარო-მე დაგიტოვებ კომპიუტერებს, მე გავაკეთებ ყველაფერს რისი გაკეთებაც შემიძლია“. არსებობს დაზიანების სერიოზული რისკები, ბევრად მეტი, ვიდრე უვნებლად დარჩენის, იმ ქვეყანასთან კავშირის გაწყვეტის დროს, რომელშიც უნებართვოთ ვიმყოფებით. საკითხი ეხება აგრეთვე, როგორც ადამიანურ ასევე ფიზიკურ რესურსებს. სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, თუ რა არის საუკეთესო გზა ჩვენთვის, კრიზისის პერიოდში საპასუხო ქმედებების სისტემატიზირებისა და ქვეყნებისათვის დახმაების გაწევის კუთხით, რათა მათ ხელახლა ააშენონ ის, რაც არაადამიანური სისასტიკით მიწასთან იქნა გასწორებული.

აქტივისტები რომლებიც ამ სიტუაციებს შეისწავლიან ჩვეულებრივ ახალგაზრდები და იდიალისტები არიან. მათ სურთ შეცვალონ სამყარო და მცდარი მიმართულებით მიდიან. მაგრამ რთულია მათი ემოციების გაკონტროლება. ხშირად პრობლემაა ის, რომ მათ არა აქვთ საკმარისი ცოდნა ან/და გამოცდილება, მათ მხოლოდ სურთ, შეცვალონ ის სულმთლიანად და გააუმჯობესონ. ამის შედეგი კი შეიძლება იყოს ის, რომ კარგისმოსურნე აქტივისტების უმეტესობა უფრო მეტ საზიანო ქმედებებს ჩადის ვიდრე კარგს. ეს არ არის მხოლოდ ახალგაზრდების პრობლემა, იფიქრეთ იმ კონტექსტიდან გამომდინარე , როდესაც ერთი კულტურის წარმომადგენელი ინტერვიუს იღებს პიროვნებისგან, რომელიც სხვა კულტურას ეკუთვნის და კითხვარის საფუძველზე ცდილობს პოსტ-ტრამვული სტრესის სინდრომების იდენტიფიცირებას. პრობლემაა, როდესაც ადამიანები ამგვარ გასაჭირსა და ტრაგიკულ სიტუაციებში ვარდებიან, სათანადო მომზადებისა და კულტურის გაცნობის გარეშე. ისინი შეიძლება გადამზადებულები იყვნენ ფსიქოლოგიაში, მათ ხშირად არ ამზადებენ კულტურულ ფსიქოლოგიაში, რომელიც გამოყენებადია კონკრეტულ პირებთან ინტერვიუსათვის. მათი მომზადება არ ხდება იმაში, თუ როგორ უნდა მივიდნენ და გაესაურბრონ ხალხს. მათ აქვთ ფორმალიზებული ჩამონათვალი, რომელიც ეფუძნება მარტივ ვარაუდს, მაგალითად, ჩემს საზოგადოებაში, თუ თქვენ აღგენიშნებათ ეს სიმპტომები, მაშინ თქვენ გაქვთ პოსტ -ტრამვული სტრესის სინდრომი. ამას მივყავართ დასკვნამდე, რომ რადგანაც თქვენ შეესაბამებით ჩემს აღწერილობას პოსტ-ტრამვული სტრესის სინდრომთან დაკავშირებით, ჩვენ ამგვარად მოგექცევით და ამ კატეგორიაში მოგათავსებთ, ეს ძალიან რთული და პრობლემური საკითხია და ვისურვებდი რომ რეალური პასუხები იკვეთებოდეს.

მე ვმუშაობდი რამდენიმე ორანიზაციასთან, რომლებიც ამაყობდნენ იმით, რომ არ იყვნენ ინტერვენციონისტები. ფუნქციურად შეიძლება წაემძღვაროს ის,რომ როდესაც შენ ამგვარ სიტუაციაში ვარდები ნუ მოიმოქმედებ ნურაფერს ისეთს რისი გაკეთებაც ადგილობრივებს შეუძლიათ საკუთარი სახელით. მე ვფიქრობ ეს კარგი ფილოსოფიაა, თუმცა ის მთლიანად ვალიდური არ არის, რადგანაც ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე მხოლოდ მუშაობისასაც კი უკვე ნაფიქრი უნდა გქონდეთ, რომ არის რაღაცეები, რაც კარგია გასაკეთებლად და ამის საპირისპიროდ არსებობს

რაღაცეები, რისი გაკეთებაც არ არის მართებული. ამით შენ უკვე ღირებულ გადაწყვეტილებას იღებ. ამგვარად, იმის თქმა, რომ ჩვენ შევისწავლით, მაგრამ არ ვიღებთ ღირებულ გადაწყვეტილებებს უკვე მცდარია. ჩაურევლობის პოლიტიკით, როგორც ძირითადი პრინციპით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ თქვენ გადალახავთ ხაზს. თქვენ ჯერ კიდევ მოგიწევთ საშინელი გადაწყვეტილებების მიღება, იმასთან დაკავშირებით გააკეთოთ უნდა ეს თუ არა, ვისთან უნდა იმუშაოთ ან არ იმუშაოთ. მაგრამ დასაწყისისთვის სულ მცირე, თქვენ უნდა გქონდეთ ვარაუდი, რაც შემგომში სწორი გადაწყვეტილებების მიღებას გაადვილებს.

ამ სიტუაციებში ხალხი ხშირად აცხადებს, რომ არსებობს პრობლემა. ეს არ არის თითქოს იმიტომ, რომ შენ ერთვები, როგორც ადამიანის უფლებადამცველი მოხელე. სინათლე ქვრება და ამბობს: შენ ხარ გაკიცხული , იმიტომ რომ წარმატებას ვერ მიაღწიე, რადგან ეს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემებია. რეალური შედეგი იმ პირობების იდენტიფიცირებაა, რომელიც მოუწოდებს ადგილობრივ საზოგადოებას, განსაკუთრებით იმ საზოგადოებებს რომლებიც არიან მრავალეროვნული, მრავალკულტურულ ან მულტირელიგიური, შეავსონ ის მორალური ვაკუუმი, რომელიც არსებოს იმ დროიდან, რაც დანაშაულებები იღებს სათავეს. მე არ ვფიქრობ, რომ აუთსაიდერები რაიმე როლს ასრულებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. იმის ტენდენცია, რომ ნებისმერს ვისაც სურს ამ მიმართულებით დახმარების გაწევა, უნდა შევაყოვნოთ და უფლება მივცეთ იმ ხალხს, რომელთაც საბოლოოდ მაინც მოუწევთ იმის შესწავლა, თუ როგორ მოიშუშონ ჭრილობები, როგორ აპატიონ და იცხოვრონ ერთმანეთთან გადაწყვეტილებების მისაღებად. როგორც კი გარეშე პირები შეეცდებიან ამ ვაკუუმის შევსებას, ის გაივსება და ვეღარავინ შეძლებს მასში შესვლას. შემდეგ, გარეშე პირები იწყებენ იმის იდენტიფიცირებას თუ ვინ არის პროცესში ჩართული, ეს კი არა მხოლოდ არასწორია- საბოლოოდ მარცხით სრულდება.

ჩვენ მოგვიწევს შევქმნათ დამცავი სივრცე და შესაძლებლობები, რომლებიც ჰუმანიტარული და ძალადობრივი სიტუაციების მოგვარების საშუალებას მოგვცემს. მაგრამ, ჩვენ ვერ შევძლებთ ამის გაკეთებას თვითონ. ეს გულისხმობს ადგილობრივებისათვის სივრცის შექმნას დასახმარებლად. იმიტომ რომ, ეს ის ხალხია რომელთაც მოუწევთ იქ ცხოვრება მას შემდეგ რაც ჩვენ, გარეშე პირები დიდი ხნის

წამოსულები ვიქნებით. ეს ის ხალხია ვისაც სჭირდება ხელმძღვანელობის შექმნა და კავშირების ხელახლა დაფუძნება, ნებისმიერ პირობზე, რითაც კი მოლაპარაკებებს შეძლებენ. როგორც დასაწყისში, ასევე პერიოდულად. ეს იგივეა რომ ხეზე დაამყნო სხვადასხვა ტოტები და მათ მოუწევთ იქ ყოფნა ხის გადარჩენისათვის. ეს შესაძლოა არასდროს გახდეს იდიალური ხე, მაგრამ ეს მათი ხეა და მათი საქმეა, არავის შეუძლია ამის გაკეთება მათთვის.

ორი სახელმძღვანელო პრინციპი არსებობს ადამიანის უფლებათა გამოძიებების შესახებ , რომელიც მსურს, რომ აქტივისტებს გადავცე. არასდროს დაივიწყოთ რატომ იმყოფებით იქ, პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანია მიაწვდინოთ ხმა მსხვერპლებს. ეს არ არის იმის თქმა, რომ მხოლოდ მათი ხმაა ის ერთადერთი რაც უნდა დავითვალოთ, უფრო მეტიც მათი ხმა გვატყობინებს თუ რა გადახდათ მათ თავს, ეს არის ხმა რაც უმეტეს შემთხვევაში იგნორირებული რჩება.

მეორე პუნქტი ეხება თქვენი ვარაუდების მუდმივად ეჭქვეშ დაყენებას, მიკერძოებული და წინასწარ ფორმულირებული წარმოდგენები გზას უღობავს ჩვენი რეალური გაგების უნარს იმაზე თუ რა ხდება ნებისმიერ სიტუაციაში. ყველა ჩვენგანს „თვალის ამხვევები“ გვყავს. ხრიკი მდგომარეობს იმაში, რომ შევეცადოთ სულ ცოტათი მაინც შევამციროთ ისინი. ერთ-ერთი იმ ჯგუფთაგანი, სადაც მე დროდადრო ვმუშაობდი იყო „ ეთიოპიის ორომო“ მათ რაღაც ამდაგვარი ანდაზა ჰქონდათ „შენ ვერ შეძლებ სირაქლემას პოზაში მყოფ ადამიანს დაანახო ან გააკეთებინო რაიმე იძულებით“ ბევრი ადამიანი მხოლოდ ამ ანდაზის აქტუალობის ინტერპრეტირებას ირჩევს,რომელიც ეხება ადამინის უფლება დამრღვევებსა ან/და იმათ, ვინც პირდაპირ თუ არაპირდაპირ უჭერს მხარს მათ. თუმცა ფეხსაცმელი თანაბრად ერგება იმ აქტივისტებს, რომლებიც ფლობენ საფუძვლიან ცოდნას კრიზისზე, რაც მათ უწევთ რომ დაამტკიცონ სანამ ისინი ჩავლენ დანაშაულის ადგილზე.

ჯეისონ კლეი და აშგეიტის საგამომცემლო კომპანია,2001. ჯეისონ კლეი არის „მსოფლიო ველურიბუნების ფონდის/შეერთებული შტატები“ უფროსი მეცნიერი

5 საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, განსაკუთრებით კი ინტერნეტის გამოყენება ადამიანის უფლებების დაცვისა და ხელშეწყობისათვის, რომელიც მოიცავს დანაშულის შემჩნევას, ადრეულ სტადიაზე გაფრთხილებასა და პრევენციას1

ედუარდ ჰალპინი

ინტერნეტისა და სხვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების(ICTs)[2] ზრდამ დიდი ზემოქმედება მოახდინა საზოგადოებაზე. იქამდეც, რომ ჩვენ, ვინც ვცხოვრობთ დასავლეთ მსოფლიოში, მათ მივიჩნევთ, როგორც „ყველგან მავლებს“ (საყოველთაოდ გავრცელებული). ყველა საყოფაცხოვრებო ნივთში კომპიუტერების ხილვით და სადენიანი საზოგადოების შემოსვლით. ეს შეხედულება, ჩანს რომ კარგი ფაქტებით არის მხარდაჭერილი, ერთ-ერთი კვლევით ინტერნეტის მომხმარებელთა საყოველთაო რაოდენობა 1999 წლის დეკემბერში, განისაზღვრა 60 მილიონად. 2000 წლის ნოემბერში კი 407 მილიონ[3] ადამიანად. სხვა წყაროს მონაცემებით, მსოფლიოს მასშტაბით ინტერნეტის მომხმარებელთა სრული რაოდენობა 150-იდან 180 მილიონ ადამიანამდე მერყეობდა. ამ შეფასებით, მოსალოდნელი რაოდენობა გაიზრდებოდა ერთ მილიარდამდე 2005 წლისათვის[4]. იმ დროს, როცა ნაკლებად თანხმდებიან ინტერნეტის მომხმარებელთა ზუსტ რიცხვზე და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნებისმერი შეფასების გამოყენებას ან მიღებას, წარმოდეგენილია სწრაფი ზრდის ტენდენცია, თუმცა, ამ ზრდის გლობალური სურათი არაერთგვაროვანია. პირველ კვლევაში გამოვლენილი 407 მილიონი მომხმარებლიდან, 167 მილიონი იყო ჩრდილო ამერიკიდან, 113 მილიონი ევროპიდან, 105 მილიონი აზიიდან და წყნარი ოკიანის აუზიდან. 16 მილიონი ლათინური ამერიკიდან, მხოლოდ სამი მილიონი მთლიანი აფრიკიდან.[5] ინტერნეტის წვდომისა ან/და გამოყენების ეს ცვალებადი ზრდა შესაძლოა დაფიქრებას იმსახურებდეს ადამიანის უფლებათა პერსპექტივებისგან, რომელიც წამოსწევს ინტერნეტით სარგებლობის საკითხს, როგორც ადამიანის უფლებათა

აქტივიზმის გლობალურ ინსტრუმენტს და შესაძლოა ისეთ საკითხებსაც, როგორიცაა გლობალური ეკონომიკის აკრძალვა.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფმა ზრდამ აგრეთვე უზრუნველყო გამომსახველობითი სიტყვებისა და ფრაზების სიჭარბე, რომელთა უმრავლესობა დიდ ღირებულებას ანიჭებს მათ, ქმნის მატერიალური კეთილდღეობის სურათს, ან რაღაც მსგავს მოახლოებულ უტოპიას. ისეთი ტერმინები, როგორიცაა, „ინფორმაციული მაგისტრალი“, „კიბერსივრცე“ და „ ციფრული დემოკრატია“[6], ადვილად გამოიყენება და „ისტ“-ის სავარაუდო უპირატესობა თითქმის ეჭვგარეშეა. შეესაბამება ეს აღწერილობა სინამდვილეს, თუ მხოლოდ იმიჯი და გაზვიადებული რეკლამაა? ტექნოლოგიები უსწრაფესი, ან თითქმის მყისიერი კომუნიკაციის საშუალებით უზრუნველგვყოფს. ისინი, უფრო და უფრო მეტ სახლში გვაწვდიან ომისა და ადამიანის უფლებებისადმი მიმართულ დანაშაულებების გამოსახულებეს. ამას ისე სწრაფად აკეთებენ, როგორც მანამდე არასდროს. მაგრამ, ეს უბრალოდ გართობის ახალი ფორმა ხომ არ გახდა, ან შორიდან შეუმჩნევლად თვალთვალის გამოცდილება. თუ გვეხმარება იგი ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ბრძოლებში, ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლებით?

ადამიანის უფლებების სფერომ ადვილად მიიღო ინტერნეტი და სხვა საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ის, მათ გამოიყენეს ადამიანის უფლებების დარღვევების თავიდან ასაცილებლად და მონიტორინგისათვის და იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ და დაიცვან ადამიანის უფლებები. ფუნდამენტურია იმის აღიარება, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევები მოითხოვს სწრაფ პასუხებს, მკაფიოდ, დესპოტური რეჟიმები, არ უცდიან, არც საერთაშორისო საზოგადოებას, რომ საჩივარი დაარეგისტრირონ და არც ადამიანის უფლებათა დამცველებს, რომ წამოიწყონ კამპანია. უფრო სწრაფ ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებს შეუძლიათ რეაგირების მოხდენა და მოსალოდნელია, რომ უკანონო პატიმრობა და სხვა დარღვევები შეიძლება შემცირდეს ან შეწყდეს.[7] როგორც კომუნიკაციის საშუალება, ინტერნეტი უზრუნველყობს ადამიანის უფლებათა დარღვევების სწრაფი და ეფექტური რეაგირების მექანიზმს მსოფლიოს გარშემო, იმათი მხარდაჭერით ვინც იბრძვის სამართლიანობისათის.

რატომ არის სწრაფი და ზუსტი ინფორმაცია მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში?

მეტზლი აღწერს ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში ინფორმაციის მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ ზუსტი და დროული ინფორმაცია არის შეუცვლელი მექანიზმი და არსებითი წინაპირობა ეფექტური საპასუხო მოქმედების და ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობის ორგანიზაციების, ინდივიდების, მთავრობებისა თუ საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ.[8] საპასუხო ინფორმაციის გამოყენება ადამიანის უფლებათა დარღვევებზე უნდა იყოს ზუსტი, დროული და ვერიფიცირებული. ასევე უნდა იქნას გამოყენებული სიფრთხილით. ძირითადი ადამიანის უფლებათა დამცავი არასამთავრობო ორგანიზაციები მკაცრ ზღრუბლებს იყენებენ, ინფორმაციის სანდოობის შემოწმებისას. იმ შემთხვევებშიც კი, თუ მან შეიძლება გამოიწვიოს მცირედი შეფერხება. სიფრთხილის გამოუყენებლობის წარუმატებლობა, ინფორმაციის შეკრებისა და გამოყენების დროს, ქმნის დამაჯერებელ პრობლემას, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს როგორც ხანგრძლივი ასევე ხანმოკლე შედეგები. სავარაუდოდ, სანდოობის დაკარგა ადამიანის უფლებათა დამრღვევებს საშუალებას მისცემს უპასუხონ მათ წინააღმდეგ განხორციელებულ ნებისმიერ ბრალდებას, წინა შეცდომებისა და უზუსტობების გათვალისწინებით, მოკლევადიან პერსპექტივაში განხილვით, ინდივიდუალურ მსხვერპლს ვაყენებთ რისკის ქვეშ, ხოლო გრძელვადიანი პერსპექტივით მთლიან ორგანიზაციას ვტოვებთ დაუცველსა და დასუსტებულს. იმ პირთა დაცვა, რომლებიც იმყოფებიან რისკის, დაპატიმრების, წამებისა და ხშირად საბოლოოდ გამანადგურებელი მუქარის ქვეშ, დამოკიდებულია ორგანიზაციებისა და ინდივიდების უნარზე, რომ აწარმოონ კამპანია მათი სახელით, დამაჯერებლობით, სწრაფი მოქმედებითა და ზუსტი ინფორმაციის გამოყენებით.

ინტერნეტი უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და აქტივისტებს შესაძლებლობით, რომ მხარი დაუჭირონ და დაიცვან ადამიანის უფლებები, ვებ გვერდების - როგორც საკამპანიო საშუალებების და ელ. ფოსტების როგორც მყისიერი საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით. ის, აგრეთვე ხელს უწყობს გამოაშკარავებას, სიტუაციების განვითარების კვალდაკვალ ინფორმაციის შეგროვების დაუყოვნებლივი საშუალებით. მექანიზმით, ადრეული გაფრთხილების

უზრუნველსაყოფათ და ინსტრუმენტებით, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების საშუალებას იძლევა. ამ მექანიზმის მეშვეობით, პრევენციული ქმედება შეიძლება დაიწყოს სწრაფი რეაგირების ქსელებისა და კამპანიის გამოყენებით და მთავრობებისა და მასმედიის ანგარიშებით უზრუნველყოფისათვის.

მეტზლი აღწერს ინტერნეტს, როგორც უფრო სწრაფ და იაფ გზას ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფებისათვის შეტყობინებების გაცვლის პროცესში. მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს უნარი, გაუგზავნო შეტყობინება უამრავ ადრესატს , მხოლოდ ერთი მოქმედებით, ვიდრე ცალ-ცალკე აგზავნო მათთან.[9] ის აგრეთვე აცხადებს, რომ ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ უფრო სწრაფად. ინტერნეტი ადამიანის უფლებათა დაცვის მოძრაობათა სხვადასხვა კამპანიებს შორის ინტერაქციული კომუნიკაციის საშუალებას იძლევა. ადგილობრივ ჯგუფებს საშუალება აქვთ პირდაპირ დაამყარონ კავშირი საერთაშორისო ჯგუფებთან, შუამავლების დაჭირვების გარეშე, ზოგჯერ ინტერესთა ახალი საზოგადოების განვითარებას, ან სტრუქტურულ ორგანიზაციაში ცვლილებებს უძღვება. მეტზლის კიდევ უფრო შორს მიდის და ვარაუდობს, რომ ადგილობრივ ჯგუფებსა და ეროვნულ საერთაშორისო ჯგუფებს შორის ურთიერთობა იცვლება, ადგილობრივი ჯგუფები გახდნენ ნაკლებად დამოკიდებულნი ინფორმაციის თვალსაზრისით ეროვნულ ჯგუფებზე. იგი ასკვნის , რომ ინტერნეტი არის ..... „უზარმაზარი შედეგების ქონა ადამიანის უფლებათა დაცვის მოძრაობებისათვის. როგორც მისი ძალისხმევის დამხმარე, რომ შეაგროვოს, წარმოადგინოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მიიღოს შესაბამისი ზომები ძალადობრივ ქმედებაზე რეაგირებისათვის... და რომ ელექტრონულ კომუნიკაციას შეუძლია ითამაშოს არსებითი როლი ქსელის განვითარების საკითხთან მიმართებაში, რომელიც ზღუდავს მთავრობებისა და სხვათა მოქმედებას“.

მოდელირებისა და გამოაშკარავების ტენდენციები შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც პრევენციული მექანიზმი. საკითხი, რომელზეც მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის ამერიკულმა ასოციაციამ, „ადამიანის უფლებათა დაცვის პროგრამამ“ იმუშავა.[10] მონაცემთა ბაზის სარგებლიანობამ უნდა მოახდინოს ადამიანის უფლებათა დარღვევების რუკაზე დატანა და დარღვევათა ტენდენციებისა და ტიპების იდენტიფიცირება. ამის სათანადოდ გაკეთება პოლიტიკური ინტერვენცის საშუალებას

მოგვცემს. თუმცა, ეს შესაძლოა დაყრდნობოდა ინფორმაციის სტანდარტიზაციას ადამიანის უფლებათა სამყაროში. ბოლი[11] ეხება იმ პრობლემებსა და გაუგებრობებს, რომლებიც შეიძლება მოხდეს, აღნიშნავს რა მონაცემთა ბაზის შემუშავების საჭიროებას,რომელიც უნდა ასახავდეს შეგროვებული ინფორმაციის გაგებას და უზრუნველყოფდეს იმას, რომ მონაცემთა ბაზაზე მისი წარდგენა არ დაამახინჯებს წამოწყებულ ანალიზებსა და შედარებებს. ბოლი, აგრეთვე ხაზს უსვამს განსხვავებას წარმომადგენლობით სტანდარტებსა და გაცვლით სტანდარტებს შორის, პრობლემის დეტალური ახსნა-განმარტების უზრუნველყოფით, რომელსაც ინფორმაციის მენეჯმენტის დროს ვაწყდებით და ორგანიზაციებს შორის მის გაზიარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ჩვენ გვჭირდება სტანდარტიზებული კონტროლირებადი ლექსიკა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ როდესაც ორგანიზაციები ინფორმაციას აზიარებენ ისინი აღწერდნენ ერთსა და იმავე რამეს, რაც ჯერ კიდევ გადასაჭრელად რთულ პრობლემას წარმოადგენს.

არიან ადამიანის უფლებების დამცველები ინტერნეტის მომხმარებლები?

ადამიანის უფლებათა სამყარო მოიცავს ორგანიზაციების გლობალურ გავრცელებას, რომელიც მერყეობს ძირითად საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ცალკეულ ინდივიდებამდე. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური აქტივისტი ხშირად სისტემაში ერთზე მეტ როლს თამაშობს. დიბერტი (ალექსანდრე და პალში)[12] აღწერს 1950 წლიდან ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მოძრაობების გაზრდასა და გავრცელებას, იმ დროიდან როდესაც დაახლოებით 38 არასამთავრობო ორგანიზაცია იდინტიფიცირებული იყო. 1994 წლისთვის, როდესაც 14, 500 არსებობდა. ამ ორგანიზაციების ძირითადი რაოდენობა მონაწილეობას იღებს ქსელებსა და კოალიაციებში ინტერნეტით, რომელიც ახლა უზრუნველყოფს მნიშვნელოვან საკომუნიკაციო მექანიზმს.

ადამიანის უფლებათა დამცველების მიერ ინტერნეტის გამოყენება, შესაძლოა არც თუ ისე გასაკვირად, ზოგადად საზოგადოებაში არსებული ინტერნეტის გამოყენების სურათს ასახავს, ყველაზე მეტი გამოყენება აღმოჩენილია ჩრდილო ამერიკასა და

ევროპაში. უფრო შეზღუდული წვდომა აქვთ აფრიკაში, ლათინურ ამერიკასა და აზიის ნაწილში. ჩრ. ამერიკასა და ევროპაში დაარსებული ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების ქსელები შეთანხმებულად მუშაობენ შესაბამის ორგანიზაციებთან, რაც ხშირად მოიხსენიება როგორც განვითარებადი სამყარო. ადამიანის უფლებათა სამყარო ეყრდნობა იმ შესაძლებლობას, რომ გააზიაროს ინფორმაცია დარღვევების შესახებ, გამოიყენოს კავშირები, ურთიერთობები და ქსელები, როგორც ფუნდამენტური მექანიზმები ამ პროცესში. ინტერნეტის, როგორც საკომუნიკაციო საშუალების განვითარება ფართოთ იქნა გამოყენებული ადამიანის უფლებათა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, ინტერნეტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში, ორგანიზაციების ქსელებში. არსებული ადამიანური ქსელების კომბინაცია, აქტივისტების გამოცდილებებთან ერთად საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების გავრცელების ეფექტური საშუალებაა ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში და მხარს უჭერს შესაძლებლობების განვითარებას.

არსებობს ინტერნეტის მომხმარებელ ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების ორი ძირითადი ჯგუფი,- ორგანიზაციები , რომლებიც მუშაობენ ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ისინი ინტერნეტს გამოიყენებენ, როგორც მექანიზმს თავიანთი პროფესიული საქმიანობისათვის და ადამიანის უფლებების დამცველი ცალკეული პიროვნებები, რომლებიც ინტერნეტს გამოიყენებენ დარღვევებთან პირდაპირ საბრძოლველად. აქტივობების გაფანტული არსისა და ურიცხვი ორგანიზაციული მოდელების აღმოჩენის გამო, ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, რომ ადამიანის უფლებათა აქტივიზმი ისეთივე ანაქრონიულად ორგანიზებულია, როგორც ინტერნეტი. თუმცა უფრო მჭიდროდ თუ გამოვიკვლევთ , შევძლებთ გავარჩიოთ ადამიანის უფლებების სხვადასხვა დამცველების მიერ გამოყენებული, როგორც ფორმალური ასევე არაფორმალური ქსელები. დაკვირვებით გამოვლენილი ინტერნეტის გამოყენების ერთი შედეგი მდგომარეობს ორგანიზაციული სტრუქტურების ცვლილებაში, ინტერესთა ახალი საზოგადოების ფორმირებასთან ერთად. ეს საზოგადოებები ხშირად ფოკუსირდებიან მხოლოდ თავიანთ კონკრეტულ ინტერესებზე ან მხოლოდ ცალკეულ საკითხზე. რეგიონში ან ქვეყანაში არსებულ


ადამიანის უფლებათა არასამთავრობო ორგანიზაციებში მონაწილეობის საჭიროების გარეშე.

კვლევა: ინტერნეტში ადამიანის უფლებათა აქტივობის შესახებ[13]

ადამიანის უფლებათა აქტივიზმისათვის ინტერნეტის გამოყენების არსი, 1997/98 წლებში წამოწყებული კვლევის საგანი იყო. როგორც „ევროპული პარლამენტის სამეცნიერო და ტექნიკური არჩევანის“(STOA) მიერ დაფინანსებული კვლევითი პროექტის ნაწილი. კითხვარი გავრცელებული იქნა „Organization Mondial Contre Torture“-ის(OMCT) მიერ ელექტრონული ფოსტის, ქაღალდზე ამობეჭდილი ასლებისა და საერთაშორისო ამნისტიის ინტერნეტ გვერდის მეშვეობით. მთლიანობაში 551 კითხვარი იქნა დაბრუნებული და გაანალიზებული. საშუალო გამოყენების თვალთახედვით შეუძლებელი იყო ნიმუშის გაკონტროლება ან იმის გაგება, სხვა რამდენმა ადამიანმა ნახა კითხვარი მაგრამ არჩია, რომ არ ეპასუხა. შედეგად კვლევის ანგარიშები არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც სრული ან სრულად წარმოდგენილ ნიმუშად და ვერანაირი ცდით ვერ შევძელით, რაოდენობრივი დასკვნების გაკეთებას ადამიინის უფლებათა დამცველებს შორის ინტერნეტის გამოყენების მასშტაბებზე.


კითხვარი შევსებული იქნა მსოფლიოს 50 ქვეყნის რესპოდენტების მიერ, ძირითადი რაოდენობა მოდის განვითარებულ ქვეყნებიდან, სადაც როგორც ვნახეთ, ხელმისაწვდომობისა და ინტერნეტის გამოყენების უფრო მაღალი დონეა. რეგიონების მიხედვით განაწილება ნაჩვენებია პირველ დიაგრამაზე.

დიაგრამა 1: რესპოდენტების რეგიონალური მდებარეობა




პასუხები სამივე ფორმატში გაკეთდა. თუმცა ყველაზე პოპულარული იყო მსოფლიო ვებ გვერდების(www) ვერსიები , რომლებიც გავრცელდა და დაბრუნდა ინტერნეტითვე, რაც საინფორმაციო ტექნოლოგიების სიმძლავრეზე მიგვანიშნებს.

დიაგრამა 2: ფორმატით პასუხგაცემული რაოდენობა.



ჩვენდა გასაკვირვად დაბრუნებული კითხვარის უდიდესი რაოდენობა შესრულებული იყო ინდივიდუალური აქტივისტების მიერ. შესაძლოა უფრო გასაკვირი იყო იმის აღმოჩენა რომ მეორე უდიდესი ჯგუფი იყო მსოფლიო ვებ გვერდით დაინტერესებული ვიზიტორები. ის ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს არ მიიჩნევდნენ ადამიანის უფლებათა სამყაროში ჩართულებად, სტრუმობდნენ საიტებს ვებ გვერდის, როგორც კამპანიის ინსტრუმენტის პოტენციალის საჩვენებლად. მათი აქტიური ჩართულობა გვიჩვენებს, რომ ინტერესი შეიძლება გადათარგმნილი იქნას მოქმედებასა და ჩართულობაში. შედეგები აგრეთვე აჩვენებს „ აიტის“ პოტენციალს, ადამიანის უფლებათა აქტივიზმის ფართომასშტაბიან მხარდასაჭერად.


დიაგრამა 3:რესპოდენტების ჩართულობა ადამიანის უფლებების აქტივობებში.



რესპოდენტები გამოიკითხნენ, იმის დასადგენად, თუ რისთვის იყენებდნენ ისინი ინტერნეტს ან თუ ამის საშუალება მიეცემოდათ რისთვის გამოიყენებდნენ მას. ყველაზე ხშირად არსებითი გამოყენება ხდებოდა „ ინფორმაციის მოსაძიებლად“. ეს ბევრად მნიშვნელოვანი იყო ვიდრე სხვა ხშირი გამოყენებები, როგორიცაა მაგალითად, საჩივრებისათვის პასუხის გაცემა, ინფორმაციის გამოქვეყნება და საჩივრების განთავსება. გამოყენებების უდიდესი პოტენციალი, როგორც ფაქტობრივი მოწინააღმდეგის იყო: მოქმედების გასაჩივრება, გასაჩივრებულ მოქმედებაზე პასუხის

დაბრუნება და ინფორმაციის გამოქვეყნება. ნათელია, რომ კითხვარის ამ ნაწილზე რეაგირება გავლენას მოახდენს არსებული გამოყენების შედეგებზე.

დიაგრამა 4: ინტერნეტის არსებითი დ პოტენციური გამოყენება.



ადამიანის უფლებათა სფეროში ინტერნეტის გამოყენების თავდაპირველი მიზეზები გამომდინარეობდა იქიდან, რომ ის იყო უფრო სწრაფი, უფრო მოსახერხებელი და ხელს უწყობდა თანამშრომლობას.

საქმის მოკვლევები

საქმის შესასწავლ მასალათა უმრავლესობა შეიძლება მოვძებნოთ წიგნში „ადამიანის უფლებები და ინტერნეტი“.[14]

საერთაშორისო ამნისტია- მომხარებლის საქმის ვითარების შესწავლა[15]

ამ პირველ კვლევაში მარტი ლანგლი, საერთაშორისო ამნისტიის სტაჟიანი წევრი აღწერს ამ პროცეს მოხალისეთა პოზიციიდან.

1983 წლიდან ვმსახურობდი „საერთაშორისო ამნისტიის“ შეერთებული შტატების ქვედანაყოში, როგორც ეგეოსის ზღვის ქვეყნების კოორდინაციის ჯგუფის წევრი. „საერთაშორისო ამნისტიის“ სამ სხვა მოხალისეესთან ერთად, მე კოორდინირებას

ვუწევდი იმ სამუშაოს რომელსაც, ჩვენი დანაყოფი ანხორციელებდა თურქეთში, საბერძნეთსა და კვიპროსში ადამიანის უფლებების ხელშეწყობის გაუმჯობესებისათვის. ამ მოცულობაში, ოთხივე ჩვენგანს არა მხოლოდ ერთმანეთში უნდა გვქონდეს კომუნიკაცია რეგულარულად, არამედ ქვეყნის მასშტაბით „საერთაშორისო ამნისტიის“ ოფისის პერსონალთან(პირველ რიგში ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში) და „საერთაშორისო ამნისტიის“ წევრებთან მთელ შეერთებული შტატებში. ჩვენ აგრეთვე მუდმივ კავშირში უნდა დავრჩეთ „საერთაშორისო სამდივნოსთან“ ლონდონში და ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობა, რომ არ ჩამოვრჩეთ პოლიტიკურ სიტუაციებს ზემოთ აღნიშნულ სამივე ქვეყანაში.

ამ პოზიციაზე ყოფნის პირველ წლებში, ეს ამოცანები სრულდებოდა, ან წერილებისა და ბეჭდური მასალების გაცვლით რეგულარული ელ.ფოსტების საშუალებით ან სატელეფონო ზარების განხორციელებით. პირველი მოითხოვდა მოგზაურობებს ფოსტებში სულ მცირე ორ კვირიანს და თუ საერთაშორისო იყო ერთ თვიანს ან მეტსაც, ხოლო მეორე კი გულისხმობდა არა მარტო ძვირადღირებულ სატელეფონო ზარებს, არამედ სხვადასხვა დროის ზონებით გამოწვეული პრობლემების გამკლავებას კალიფორნიასა და ლონდონს შორის.

ეს სულ მცირე ძვირი და მოუხერხებელი იყო, ხოლო ამაზე უარესი, ის იყო იმედისგამაცრუებელი, იმიტომ, რომ, როდესაც ჩვენ საპასუხო რეაგირებას ვიწყებდით შესაძლო წამების ან გაუჩინარების საქმესთან დაკავშირებულ სიახლეზე, ინფორმაცია უკვე მინიმუმ ორი კვირის წინანდელი იყო. ზოგჯერ ჩვენ ვწერდით უკვე გათავისუფლებული პირის სახელზე. მეტისმეტად ხშირად, ჩვენ ვითხოვდით შველას უკვე გარდაცვლილი ადამიანის სახელზე და ვხვდებოდით,რომ ადრეულ ეტაპზევე ჩარევას შეიძლება სულ სხვა შედეგი მოჰყოლოდა.

15 წლის შემდეგ, ჩვენ ვფუნქციონირებთ ტექნიკურად სულ სხვა სამყაროში და ეს საინტერესო გაუმჯობესებაა. როგორც მოხალისე, ჩემი სამუშაოს მნიშვნელოვან ნაწილს ვასრულებ საღამოობით, მას შემდეგ, რაც ანაზღაურებადი სამსახურიდან სახლში ვბრუნდები. ამ დროს, მე შემიძლია ვაგზავნო ელექტრონული შეტყობნებები და ფაილები ჯგუფის სხვა წევრებთან(ოჰაიოში, ვაშინგტინონ დი-სი-ში და ნიუ-იორკში). ლონდონში ან სხვა ქვედანაყოფებთან ევროპაში და შემდგომი საღამოსთვის მე უკვე

მაქვს საპასუხო წერილი.. ლონდონის ოფისი ხშირად გვიგზავნის ელექტრონულად თხოვნებს, რომ დაუყოვნებლივ მოვახდინოთ რეაგირება დანაშაულზე და ჩვენ ჩვეულებრივ ამას ვასრულებთ 48 საათის განმავლობაში, იმ დროს როდესაც პირი დაკავებულია. სულ მცირე, ორი შემთხვევა გვქონდა ისეთი, როდესაც ჩვენ რეალურად მოვახდინეთ რეაგირება ფაქტზე ადრე, როდესაც ინფორმაცია გვქონდა, ინდივიდის დაკავების შესახებ.

ყოფილი თანამშრომლების დახმარებით, რომლებიც ინტერნეტში ცდილობდნენ ინფორმაციის მოძიებას თურქეთზე, საბერძნეთსა და კვიპროსზე, მე შევძელი შემენარჩუნებინა სიტუაციების ფონის შესწავლა ამ ქვეყნებში. ეს ბევრად აღემატება იმას, როდესაც მე მხოლოდ მიწევდა მარტო შეერთებული შტატების მედეაზე და ბიბლიოთეკებზე დაყდნობა და ამას მიაქვს მხოლოდ დროის ერთი მეათედი ნაწილი. მსოფლიო კომპიუტერული ქსელის საშუალებით მე შემიძლია მონიტორინგი ჩავუტარო „თურქიშ დეილი ნიუსის“ ყოველდღიურ გამოცემას (აშშ-ში გამოწერა ჩვენი დანაყოფის ბიუჯეტის ფარგლებს აღემატება) და სხვა ვებ გვერდებს, რომელთაც აქვთ ფასდაუდებელი ინფორმაცია. მეც ვარ სხვადასხვა ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტების ჩამონათვალში, რომლებიც რეგუარულად მაწვდიან რელევანტურ ინფორმაციას და მე ამ ინფორმაციას ვუზიარებ სხვა დანაყოფის წევრებს მხოლოდ

„გაგზავნა“ ღილაკზე თითის დაწკაპებით. ჩვენ უმრავი ინფორმაცია გვაქვს, რეალურად იმაზე მეტი, რომლის გამოყენებაც სრულად შეგვიძლია. იმ დროსთან შედარებით, როდესაც რეალურად არაფერი მოგვეპოვებოდა, ახლანდელი სიტუაცია ნამდვილად საოცარი საჩუქარია. ამის კონკრეტული მაგალითია ლტოლვილების სიტუაცია, რომლებმაც მასიურად დაიწყეს მიგრაცია თურქეთიდან ევროპაში. ამერიკულ მედიაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვით, მე მხოლოდ ერთი თვის შემდეგ გავიგებდი იმას რაც ევროპულ პრესაში ჩნდებოდა. ამის ნაცვლად, მე ამ ამბებზე ინფორმაციას ვიღებდი დასაწყისიდანვე.

ჩვენის სამუშაოს ერთი ასპექტი მოიცავს კოორდინირებას ვაშინგტონ დი-სი-ს პერსონალთან, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრები „საერთაშორისო ამნისტიის“ ინფორმაციით მოვამარაგოთ. ამგვარი ინფორმაციის მომზადება ხდება ელ.ფოსტების გაცვლის საშუალებით და პროცესი დასრულებულია

უკვე ორ-სამ დღეში. მაშინ , როდესაც წინათ სჭირდებოდა ორი ან სამი კვირა. ხშირად წარსულში ჩვენ ვერ ვასრულებდით სამუშაოს, რადგან იმ დროისათვის როდესაც ჩვენ საჭიროებას გავაცნობიერებდით უკვე მეტისმეტად დაგვიანებული იყო. ახლა ჩვენ იშვიათად ვუშვებთ იმის შესაძლებლობებს ხელიდან , რომ ჩვენი ინტერესების შესახებ ოფიციალური პირების ინფორმირება მოვახდინოთ.

თამამად შემიძლია ვთქვა , რომ იმ დროიდან, რაც ჩვენი დანაყოფი გახდა „ონლაინ“ ჯგუფი, ჩვენ გავზარდეთ ადამიანის უფლებების სფეროსთან დაკავშირებული მუშაობა მინიმუმ ხუთჯერ, იმასთან შედარებით, რაც ინტერნეტისს გამოყენებამდე იყო. უნარი , რომ გავცვალოთ ინფორმაცია სწრაფად და რეაგირება მოვახდინოთ ადამიანის უფლებათა დარღვევებზე უდიდესი ნახტომია წინ ამ მიმართულებით და იმედი მაქვს, რომ ეს რაც შეიძლება სწრაფად გახდება ხელმისაწვდომი ადამიანის უფლებათა დამცველებისათვის მსოფლიოს მასშტაბით. „საერთაშორისო ამნისტია“ მისი დარსებიდან აცხადებს, რომ საუკეთესო იარაღი ადამიანის უფლებათა დარღვევების წინააღმდეგ არის იმ ინფორმაციის გავრცელება, რაც ხდება და ამ უფლებადამრღვევების პასუხისმგებლობის დაყენება მსოფლიო საზოგადოების წინაშე. ინტერნეტი ფაქტიურად მყისიერად იძლევა ამის გაკეთების საშუალებას. ჩვენთვის, ვინც ამ სამუშაოს ვანხორციელებთ, ეს ნიშნავს მორალის ზრდას და გამოსვლას ჩვენი იზოლირებული ოთახებიდან. ამ დარღვევების მსხვერპლთათვის ეს შეიძლება ნიშნავდეს სიცოცხლესა და სიკვდილს შორის განსხვავებას.

საქმის მოკვლევა წარმოადგენს „საერთაშორისო ამნისტიის“ ჯგუფებისათვის მოქმედების ტრადიციული მოდელის კარგ მაგალითს. ინტერნეტის დანერგვამდე ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლის რთული დამოკიდებულება, თავდაპირველად წამოწყებული იყო ჩვეულებრივი ფოსტის(არაელექტრონული) ტელეფონების და მოგვიანებით ფაქსების საშუალებით. შექმნილი პრობლემები მოიცავდა შეტყობინების დაბრუნების ხანგრძლივ პერიოდს(ხშირად კვირებს), ძვირადღირებულ სატელეფონო ზარებს, გლობალურ სასაათო სარტყელებში ხიდის გადებას. ამ მოქმედების მოდელი იყო ძვირი, მოუხერხებელი და იმედის გამაცრუებელი რადგან მოქმედება ზოგჯერ მეტისმეტად დაგვიანებული იყო ყურადღების მისაპყრობად.

ინტერნეტის გამოჩენამ განაპირობა კომუნიკაცია ელ. ფოსტების მეშვეობით, დროისა და ღირებულების დაზოგვა და შესაძლებელი გახადა მომენტალური კომუნიკაცია ნებისმიერ სასაათო სარტყელში. ის აგრეთვე უზრუნველყოფს უფლებადამცველების შესაძლებლობით, რომ დაუყოვნებლივი რეაგირება მოახდინონ უკანონო დაპატიმრებებზე, ამის გარდა შესაძლებელს ხდის, რომ მიიღონ და აკონტროლონ საერთაშორისო სიახლეები და პოლიტიკა ვებ გვერდების საშუალებით, რათა უზრუნველყონ ფონური ინფორმაციის სავალდებულო მეთოდები ამ ქვეყნებში ყოველდღიური მოვლენების ანალიზისათვის.

ტექნოლოგია ადამიანის უფლებადამცველების არსენალს უზრუნველყოფს ძალიან საჭირო იარაღით, ამ საქმის შესწავლის დროს. უზრუნველყოფს კვალიფიციურ უფლებადამცველებს მექანიზმებით , რომ მათ წარმატებით შეასრულონ თავიანთი სამუშაო.

ინტერნეტის საქმე : ყოფილი იუგოსლავია- "ზამირის ქსელი"[16]

ეს მოკვლევა, ზაგრებში ქალთა საინფორმაციო ცენტრის „ზენსკა ინფოტეკა" დირექტორის და დამფუძნებელის ჯურდია კნეზევის გამოცდილების პროდუქტია. ჯურდია იყო ქალთა ელ. ფოსტის ქსელის ინიციატორი ზამირში და ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებში. ქვემოთ მოყვანილია მისი მოსაზრებები ზამირის ქსელის განვითარებაზე.

ინტერნეტი არა მხოლოდ ეხმარება ადამიანის უფლებათა დაცვის საზოგადოებას თავისი სამუშაოს შესრულებაში, ის აგრეთვე თამაშობს გადამწყვეტ როლს, კრიზისულ სიტუაციებში ინფორმაციის თავისუფალი ნაკადის უზრუნველსაყოფად. კრიზისის პერიოდში კრიტიკულად მნიშვნელოვანია ინფორმაციის სწრაფად გავრცელება მსოფლიოს მასშტაბით. მაგალითად , ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ინტერნეტი თამაშობდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს. 1991 წელს , როდესაც ომი დაიწყო ყოფილ იუგოსლავიაში, კომუნიკაცია გახდა უკიდურესად შეზღუდული, ამის გამომწვევი იყო სახელმწიფო აპარატის პროპაგანდა და ინფორმაციის გაზიარება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ ძალზედ გართულდა. ერთ-ერთი რეაგირება ამ ქმედებაზე იყო ხალხის მიერ ახალი საკომუნიკაციო

სტრუქტურების შექმნა. ძალიან ბევრი ორგანიზაცია და ფიზიკური პირი გახდა „ზამირის“ ქსელის წევრი. შემდგომში ეს გახდა „ზამირის ტრანსნაციონალური ქსელი“(ZTN).

ქსელის მეშვეობით არასამთავრობო ორგანიზაციები- ჰუმანიტარები. მშვიდობის, ადამიანის უფლებების დაცვისა და ქალთა ჯგუფების წევრები კომუნიკაციას ამყარებდნენ ომისგან დატოვილი სიცარიელის შესავსებად. ინფორმაციის გაცვლის მეშვეობით მათ შეეძლოთ ჰუმანიტარული დახმარებებისათვის მოეხდინათ რესურსების მობილიზება. ამ განვითარების წინა ხაზზე იმყოფებოდნენ ქალთა ჯგუფები და ბევრი ქალი ინდივიდუალურდაც მოქმედებდა. ჯურდიას ნათქვამის პირდაპირი ციტირება:

„მათი ენთუზიაზმით აღსავსე რეაქციებისათვის არსებობს რამდენიმე მიზეზი . პირველი, ფემინისტები და ქალთა სხვა ჯგუფები ყოფილ იუგოსლავიაში, განსაკუთრებით ისინი, ვინც ზაგრებიდან და ბელგრადიდან არიან , უკვე მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ, თანამშრომლობდნენ ბევრ პრობლემურ საკითხის გადაწყვეტაზე და ბევრსაც პირადი მეგობრობა აკავშირებდათ“.

ომის დაწყებამ კი ამ ურთიერთობებს საფრთხე შეუქმნა,ერთის მხრივ კომუნიკაციის ნაკლებობის გამო, ხოლო მეორეს მხრივ გამძვინვარებული ეროვნული პროპაგანდის გამო. ყველამ უნდა გააცნობიეროს, თუ რაოდენ რთული იყო ობიექტურობისა და საღი აზრის შენარჩუნება, იმ დროს , როცა ეროვნულ პროპაგანდას უკვე დაბინძურებული ჰქონდა პოლიტიკური სფერო და დისკურსი. იყო ბევრი გაუგებრობა და ორმხრივი ეჭვები, როგორც ჯგუფების, ასევე ინდივიდუალების მისამართით. ბევრს აინტერესებდა, ისინი ვინც ფრონტის მეორე მხარეს იყვნენ, ხომ არ განიცდიდნენ ზეგავლენას თავიანთი ეროვნულობის გამო. შემდგომში განვითარებული მტრობის შედეგად, მოხდა უეცარი კომუნიკაციის წყვეტა ზაგრებსა და ბელგრადის ქალთა ჯგუფებს შორის. იქ, სადაც, ძველად ამ ჯგუფებს შორის იყო ღია და მეგობრული ურთიერთობები, ეჭვის დონემ მათ შორის წარმოშვა დროებით ურთიერთკავშირის გაყინვა. კომუნიკაციის საჭიროება იყო ფუნდამენტური, ასე რომ „ ისტს“ დიდი ენთუზაზმით შეხვდნენ. ბევრი ურთიერთობა ჯგუფებს შორის და უფრო მეტიც პირად

დონეზე ხელახლა დამყარდა. ეს იყო ახალი დასაწყისი, როგორც რეგიონში ქალთა შორის თანამშრომლობის ახალი ფორმა.

მეორეს მხრივ, ომი მოითხოვდა მყისიერ რეაქციას. პირველ ყოვლისა, ომის შეჩერების მცდელობას, თუმცაღა, სამწუხაროდ, იმ დროისთვის ამ ომის მიზანი უტოპიური იყო. მეორე და უფრო რეალისტური, ორგანიზება და დაუყოვნებილი დახმარების გაწევა იყო. კერძოდ, ამ უკანასკნელზე, ქალები ჩვეულებრივ უფრო სწრაფად ახდენენ საპასუხო მოქმედებას. ეს შეიძლება აიხსნას ქალთა საერთო დამოკიდებულებით პოლიტიკაზე. იმ დროიდან, როდესაც ქალები ტრადიციულად არა პატრიარქარული მიზეზეზების გამო, ჩართულნი არიან პოლიტიკაში იმავე დოზით როგორც კაცები, პოლიტიკას მათთვის ისეთივე მნიშვნელობა არ აქვს. მაშასადამე მათ გააჩნიათ უფრო დიდი პოლიტიკური მოქნილობა. უფრო მეტიც, ქალები უფრო ძლიერად და უფრო უშუალოდ განიცდიან ომის დანაშაულებებს. ამიტომაც იყვნენ ქალები არ მხოლოდ პირველები , რომელებმაც ორგანიზება მოახდინეს ლტოლვილებისა და სხვა იძულებით გადაადგილებული პირების დასახმარებლად. არამედ, როდესაც მასიური გაუპატიურებების უზარმაზარი სკანდალი დაიწყო ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, ქალების ჯგუფმა დაიწყო დაუყოვნებლივი მოქმედება საერთაშორისო ყურადღების მისაქცევად ამ საკითხზე. თუმცა, ამ საკითხის გაანალიზება უნდა მოხდეს უფრო გულდასმით, სავარაუდოა, რომ კომპიუტერის შუამავლობით კომუნიკაციამ(CMC) ფუნდამენტური როლი შეასრულა მაღალ პრიორიტეტული პოლიტიკური მოტივების მიღებაში. ქალი აქტივისტებისა და თვითმხილველების მიერ მოქმედებებისა და მსგავსი ლოზუნგების მოთხოვნით, მსოფლიოს გარშემო ათასობით შეტყობინება დაიგზავნა ელ. ფოსტის საშუალებით. რომელმაც, ჩვენდა გასაკვირად, ძლიერი ზემოქმედება მოახდინა. შემდგომ ომებში სადაც მსგავსი დანაშაულებები დაფიქსირდა, ქალები და ზოგადად პუბლიკა ხმამაღლა ალაპარაკდა პრობლემურ საკითხზე და მზაობა გამოთქვეს ღიად დაპირისპირებისათვის. გარდა ამისა, საერთაშორისო სამართალმა უკვე აღიარა ომის დროს გაუპატიურება ომის დანაშაულად. ინტერნეტი უზრუნველყოფს იმ მექანიზმს , რომლის საშუალებითაც დანაშაული დაუყოვნებლივ ხდება ხილვადი საერთაშორისო საზოგადოებისთვის.

ამ თვალსაზრისით, კომუნიკაციის მნიშვნელობა უზრუნველყოფს მნიშვნელოვან პერსპექტივებს. გაერთიანებისა და ომის გადალახვის საშუალებები უძრუნველყოფილია არა მხოლოდ „ზამირის ქალთა ქსელით“ არამედ იმ საშუალებებითაც , რომლითაც შესაძლებელია ომის დანაშაულებების დღის სინათლეზე გამოტანა. ამ შემთხვევაში მოხდა კამპანიის დამატებით გაძლიერება , რომ გაუპატიურება ეღიარებინათ ომის დანაშაულად. ამ საქმის არსებითი შესწავლის მნიშვნელოვანი ფაქტორიაა, ტექნოლოგიის როლი მოქმედების დროს, როგორც ხიდის, ომის დროს განადგურებულ ქსელებს შორის. როგორიც არ უნდა იყოს ადამიანების კონტაქტების რეალური პროპაგანდა, ტექნოლოგიების საშუალებითაც კი , უზრუნველყოფს ადამიანური ნდობის განვითარებისა და აქტივისტების მიერ ერთად წამოწყებული კაპანიის საშუალებას.

„B92“-თავისუფალი ხმა ომში[17]

შემდგომი პრაქტიკული მაგალითი წარმოდგენილია ლონდონში დაარსებული“ საერთაშორისო სამდივნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების“ დირექტორის გრემ ლეინის მიერ, იგი წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევების წინააღმდეგ გამოყენებულ სხვა ტექნოლოგიების მოკლე მიმოხილვას ხშირად ძლიერი მთავრობის ინტერვენციის დროს

„რადიო B92“ (ყოფილი www B92.net და ახლა www.free B92) არის სამაუწყებლო და საგამომცემლო ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა ბელგრადში 1989 წელს, დაარსების დღიდანვე მან წამოიწყო აქტივობათა ფართო სპექტრი, რომელიც მოიცავდა რადიო მაუწყებლობას, რადიო და სატელევიზიო პროგრამებს, წიგნების ჟურნალებისა და კომპაქტ დისკების გამოქვეყნებას,ელექტრონული ხელოვნებისა და ინტერნეტის სწავლებისათვის კიბერ-ცენტრის, ალტერნატიული ხელოვნების კინოსა და კულტურის ცენტრის ფუნქციონირებას. „B92“-ის სარეადაქციო პოლიტიკა ეფუძნება ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციას, ყველა მონიტორისა და ომის საწინააღმდეგო პოზიციის დაცვას. 1999 წლის აპრილში, „ნატოს“ საჰაერო გაფიცვების დაწყებიდან ცოტა ხნის შემდეგ, სერბეთის ხელისუფლებამ დაამყარა კონტროლი „რადიო B92-ზე“ და მისი დირექტორი შეცვალა. პერსონალმა და ჟურნალისტებმა უარი განაცხადეს მთავრობის

მიერ კონტროლირებად „რადიო B92- ში“ მუშაობაზე. საბოლოოდ ისინი ხელახლა შეჯგუფდნენ „Free B92“ ვებ გვერდის ირგვლივ. როგორც სერბეთში ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა დამოუკიდებელმა ხმამ „რადიო B92“ მოახდინა ინტერნეტ ტექნოლოგიის ინტენსიური გამოყენება. 1995 წლის ნოემბერში „რადიო B92-მა“ დაარსა ინტერნეტ სივრცის პროვაიდერი , რომელსაც უწოდა „OpenNet“ , როგორც მისი დადგენილი საქმიანობის გაფართოვებას,განსაკუთრებით მიზნად ისახავდა დამოუკიდებელი მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის თავისუფალი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. 6 თვის განმავლობაში „OpenNet“ ერთადერთი პროვაიდერი იყო სერბეთში.

1996 წლის ზამთარსა და 1997 წლის გაზაფხულზე, „რადიო B92-მა“ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დემონსტრაციებზე დამოუკიდებელი რეპორტაჟების გაშუქებისას, ბელგრადსა და სერბეთის სხვა ნაწილებში. მთავრობის წინააღმდეგ პროტესტმა გამოიწვია ადგილობრივი არჩევნების შედეგების გაუქმება, მხოლოდ ცხადდებოდა დემონსტრატების მიერ გაკეთებული განცხადებები. ამის შედეგად, 1999 წლის დეკემბრის დასაწყისში სერბეთის ხელისუფლებამ „ რადიო B92-ს“ აუკრძალა ტრანსლაციის უფლება. საპასუხოდ, რადიო B92-მა დაიწყო თავისი პროგრამების გაშვება ინტერნეტით „RealAudio“-ს მეშვეობით. მათ ტვირთავდნენ და ხელახლა გადასცემდნენ რადიოები: „თავისუფალი ევროპა“ და „ამერიკის ხმა“ . შედეგად მას ჰყავდა იმაზე გაცილებით მეტი მსმენელი ვიდრე მანამდე ოდესმე უსმენდნენ რადიო სადგურს. ამას გარდა ინგლისურენოვანი ახალი ამბების მომსახურე პერსონალი ვებ გვერდს ანახლებდა დღეში რამდენჯერმე. 51 საათში აკრძალვა მოიხსნა და „რადიო B92“ ისევ დააბრუნეს საჰაერო სივრცეში.

33 ადგილობრივი რადიო სადგურის ქსელმა, „ელექტრონული მედიის ასოციაცია“(ANEM), განავითარა ინტერნეტ რევოლუციის შემდგომი წარმატება და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების გამარჯვების აღიარება, ადგილობრივ სადავო არჩევნებში. ადრეული 1999 წლისთვის ასოციაცია მაუწყებლობას გადასცემდა იუგოსლავიის მოსახლეობის 70%-ს. თითოეულ დღეს 4 საათის განმავლობაში გადაეცემოდათ „რადიო B92-ის“ მიერ შექმნილი მასალები. „რადიო B92-ის“ ვებ გვერდის სიტყვებში: *„ჩვენ შეგვიძლია შიშის გარეშე განვაცხადოთ, რომ ერთად ჩვენ*

შევძელით სახლმწიფო მონოპოლიის მოსპობა ინფორმაციაზე, განსაკუთრებით კი ელექტრონულ მედიაზე“..

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ პროექტი „ANEM“ ეფუძნება ნამდვილ ტექნიკურ ინოვაციას და რადიო სადგურის ახალგაზრდა ექპერტების, სრულიად ორიგინალურ იდეას წარმოადგენს. ეს არის სატელიტური და ინტერნეტ ტრანსლაციის კომბინაცია,რაღაც რაც პირველად განხორციელდა ევროპაში. ამ გზით ჩვენ გადავლახეთ სახელმწიფო აკრძალვის დაბრკოლება არსებულ რეტრანსლატორებზე და სატელიტურ გადაცემის კიდევ უფრო ფართოდ გამოყენების სივრცე გაიხსნა.

ამ წარმატების მიუხედავად, „B92“-ის აქტივისტები , „OpenNet“ და ფაქტობრივად ყველა დამოუკიდებელი მედია სერბეთში, რჩებოდა სერბეთის ხელისუფლების გაძლიერებული ზეწოლის ქვეშ. 1998 წლის ოქტომბერში უმოწყალო „კანონი ინფორმაციაზე ამოქმედდა“ , თუმცა ინტერნეტ ტექნოლოგია აგრძელებდა თავისუფალი ინფორმაციის ნაკადის მხარდაჭერას. 1999 წლის დასაწყისში სერბეთის ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა „OpenNet“-ისათვის წვდომის ბლოკირებას სერბეთის აკადემიური კომპიუტერის ქსელიდან. რითაც, მთელი ქვეყნის მასშტაბით სტუდენტებს, პროფესორებსა და მკვლევარებს უარი ეთქვათ იმ ინფორმაციის წვდომაზე, რომელიც იქმნებოდა „B92“ ის მიერ. თუმცა „რადიო B92“- ისათვის მარტივი იყო ისეთი სარკისებრი საიტების შექმნა , რომლებიც თავის მხრივ შეუძლებელი იყო რომ ყველა დაბლოკილიყო. შედეგად ბლოკადა ნაწილობრივ გაუქმდა.

„The Free B92“-ის ვებ გვერდი , რომელმაც უმასპინძლა XS4ALL ნიდერლანდებში, ახლა არის ინფორმაციის მნიშვნელოვანი აქცენტი დამოუკიდებელი მედიის სტატუსის შესახებ იუგოსლავიაში. ვებ გვერდი გამოქვეყნებული და რედაქტირებულია „რადიო B92-ის“ ჟურნალისტთა და ასოციაციათა გუნდის მიერ, რომლებიც მუშაობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებიდან. „Free B92“ მუშაობს საფრთხის ქვეშ მყოფი ჟურნალისტებისა და მედიის მხარდასაჭერ პროექტებზე, მსოფლიოს სხვადასხვა ტერიტოერიებზე.

საერთო ჯამში „Free B92“ -ის პროექტის მიზანი არის პროფესიონალიზმის სულისკვეთების შენარჩუნება, რომელიც ყოველდღიური კომუნიკაციებისაგან გათიშულია იუგოსლავიაში, ბელგრადის რეჟიმის მეშვეობით რადიო „ B92“ -ის

აკრძალვასა და კონტროლირებას. „The Free B92“-მა უკვე უმასპინძლა სამ 24 საათიან „NetAid“ მუსიკასა და ხელოვნების ღონისძიებებს ინტერნეტში აუდიო და ვიდეოს გამოყენებით. იმისათვის, რომ კავშირი ჰქონოდა მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის იყო ცხელი სეზონი ბოსნია ჰერცოგოვინიდან ბელგრადამდე.

ამ საქმის შესწავლაში აქტივისტები რეგულარულად აწყდებიან სახელმწიფოსა და ცენზურის ჩარევას, თუმცა არსებული ტექნოლოგიების წარმოსახვითი გამოყენება და სიძლიერე გაბატონებულია. ისინი ამას ახორციელებენ არა მხოლოდ გადარჩენისათვის არამედ, უზრუნველყოფენ ფოკუსირებას დემოკრატიისათვის ბროლაში.

აღმოსავლეთ ტიმორი- საერთაშორისო ინტერნეტ კამპანია[18]

წინამდებარე კვლევა ეფუძნება შერონ შერფის, „საერთაშორისო სამდივნოს“ დირექტორისა და „აღმოსავლეთ ტიმორის პარლამენტარების“(PET) ნაშრომს. „აღმოსავლეთ ტიმორის პარლამენტარები“ არის საერთაშორისო ორგანიზაცია , რომელსაც მხარს უჭერს და რომლის წევრებიც არიან მსოფლიოს ყველა მხრიდან . ისინი გაერთიანებულები არიან ადამიანის უფლებათა დარღვევების წინააღმდეგ აღმოსავლეთ ტიმორის მოსახლეობაზე,რომელიც განხორციელებულია ინდონეზიის მიერ. როგორც ელემენტი კამპანიის აქტივისტებში, რომელებიც გაერთიანებულნი არიან ადამიანის უფლებების დარღვევების ირგვლივ აღმოსავლეთ ტიმორში, ინტერნეტი გამოიყენება, როგორც პრობლემების გაცნობის ძირითადი საშუალება, რომელსაც ვაწყდებით აღმოსავლეთ ტიმორში. თუმცა, მათი პოლიტიკური ოპონენტები აგრეთვე დახელოვდნენ ინტერნეტის გამოყენებაში. ინდონეზიის მთავრობა იყენებდა ინტერნეტს, აღმოსავლეთ ტიმორის საკითხზე საკუთარი პოზიციის ხელშეწყობისათვის. მაგალითად ინდონეზიის ჯარის ვებ გვერდის(Http://www.mil.id.) საშუალებით აღმოსავლეთ ტიმორის თავისუფლებისათვის მებრძოლნი საპასუხო მოქმედებას ახდენდნენ აღმოსავლეთ ტიმორში საკუთარი თავისუფლების აღმოჩენის გზით.

„ინტერნეტი არის ადამიანის უფლებების დაცვის ისეთი ეფექტური მექანიზმი, რომელიც , ზოგადად აღქმულია, როგორც მთავრობის მიერ გამოწვეული საფრთხე. ამ გამოწვევის ერთი მაგალითია ის, რომ დამოუკიდებელ მოძრაობებს შეუძლიათ გამოაცხადონ ვირტუალური სუვერენიტეტი საკუთარი უნიკალური ქვეყნის კოდის

„დომენის“ სახელის დარეგისტრირებით ინტერნეტში. აღმოსავლეთ ტიმორის შემთხვევაში, სუვერენიტეტის დეკლარაციის გამოცხადებას ის ინტრენეტ ჰაკერები , რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ აღმოსავლეთ ტიმორის დამოუკიდებლობას, შეხვდნენ მკაცრი ელექტრონული თავდასხმით. ჰაკერებმა წარმატებულად შეძლეს ირლანდიის ინტერნეტ სერვისების დიდი ნაწილის გათიშვა, იმისათვის რომ შებრძოლებოდნენ „აღმოსავლეთ ტიმორ- ირლანდიის სოლიდარობის კამპანიის“ (ETISC) ვებ გვერდს“.

„აღმოსავლეთ ტიმორ-ირლანდიის სოლიდარობის კამპანიამ“ ირლანდიის მთავარი ინტერნეტ-სერვისის პროვაიდერის „ქონექთ აილენდის“ დახმარებით, შექმნა უმაღლესი დონის დომენური სახელი აღმოსავლეთ ტიმორისათვის, „tp“. თითოეულ ქვეყანას მითითებული აქვს უმაღლესი დონის დომენური სახელი, მაგალითად ირლანდია არის ‘ie’ კანადა არის „ca“ და ასე შემდეგ. თავდაპირველად აღმოსავლეთ ტიმორი არ იყო რეგისტრირებულიი და ასე, რომ „აღმოსავლეთ ტიმორ-ირლანდიის სოლიდარობის კამპანიამ“ ეს განახორციელა ხასანა გუსამოს, აღმოსავლეთ ტიმორში დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ლიდერის სახელით, რომელიც იყო დაპატიმრებული.

ოფშორული დომენური სერვისის გამოყენება არ არის უჩვეულო. არის რიგი ქვეყნებისა , რომელთაც უმაღლესი დონის დომენები ემსახურებოდა თავიანთ ტერიტორიებს გარეთ. დომენური სახელის რეგისტრირება, სულ მცირე, კიბერსივრცეში მაინც აღნიშნავდა აღმოსავლეთ ტიმორის დამოუკიდებლობის აღიარებას. ეს სიმბოლური გამარჯვება არ დარჩენია შეუმჩნეველი ინდონეზიის მთავრობას, რომელმაც სწრაფად მოახდინა რეაგირება.

1999 წლის 19 იანვარს „tp“ დომენური გვერდი გახდა ჰაკერების თავდასხმის ობიექტი, ყველაზე დახვეწილი ჰაკერული თავდასხმისა რაც კი ოდესმე ჩაწერილა ირლანდიის ისტორიაში. მიაჩნიათ, რომ სულ მცირე 18 ჰაკერი მუშაობდა ერთდროულად რომ ერთობლივი ძალისხმევით შეეღწიათ „ქონექთ აილენდის“ მკაცრად დაცულ სისტემაში. „ქონექთ აილენდის“ დირექტორმა მარტინ მაგუიერმა განაცხადა, რომ როგორც კი აღმოაჩინეს უსაფრთხოების სისტემის დაზიანებები, კომპანიამ მაშინვე შეწყვიტა თავისი ოპერაციები. *„ ჩვენ ვარაუდობთ, რომ თავდასხმა ძალიან კარგად იყო ორგანიზებული. ისე მიზანმიმართულად და ისე დახვეწილად იყო*

შესრულებული რომ ვინც არ უნდა იყოს ამის ჩამდენი, მან ამისთვის უნდა ზღოს. ოღონდ ეს საფასური არ უნდა წარმოადგენდეს მათთვის „ სახელის განთქმას“ . განაცხადა მაგუიერმა.

თავდასხმა ვირტუალურ აღმოსავლეთ ტიმორზე, წარმოადგენდა სამხედრო ინტერვენციის კიბერსივრცის ეკვივალენტს. ეს გვიჩვენებს ინტერნეტის ძალას, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმის და იმ მასშტაბებს, რომლებშიც ისინი ვინც ეწინააღმდეგება ამ ვებ გვერდებს ებრძვიან ინტერნეტის წარმატებას. მას ასევე აქვს ფართო განხორციელება .რადგანაც ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები სულ უფრო მეტად დამოკიდებულნი არიან ინტერნეტზე, ისინი შეიძლება კიდევ უფრო დაუცველები გახდნენ ამ ახალი ბრენდის საინფორმაციო ტერორიზმის მიმართ.

აღმოსავლეთ ტიმორის საქმეში შესაძლებელია იმის დანახვა თუ როგორ ხდება ინტერნეტის გამოყენება ნათელი პოლიტიკური განაცხადის შესაქმნელად, „ვირტუალური სუვერენიტეტის“ შექმნა უზრუნველყოფს თავისუფლების ხედვას იმ ხალხისათვის, რომელიც კონტროლდება მეზობლების მიერ. თუმცა, მეზობლების სიძლიერე „ვირტუალური სუვერენიტეტის“ მსხვრევაში აშკარად თანაბარია. ეს იმის შემხსენებელია, რომ სანამ ინტერნეტი შეიძლება გამოყენებული იქნეს ადამიანის უფლებების დაცვის კამპანიისათვის, ის აგრეთვე თანაბრად შეიძლება გამოყენებული იქნას მათი მოწინააღმდეგეების მიერ , შესაძლოა იმ საშუალებებითაც კი , რომელიც ადამიანის უფლებათა დამცველებს ვერც კი წარმოუდგენიათ. რა თქმა უნდა ერთ დონეზე შესაძლებელია ინტერნეტის გაკონტროლება და ცენზურის დაწესება, ხოლო მეორე დონეზე ის შეიძლება გამოყენენონ ყალბი კამპანიებისა და ადამიანის უფლებათა აქტივისტების დისკრედიტაციისათვის.

მეორე მაგალითი აღმოსავლეთ ტიმორიდან, რომელიც შეეხება ინტერნეტის როლს, უზრუნველყოფილია ჩილეს „საერთაშორისო ამნისტიის“ მიერ, თავიანთ ინდონეზიურ კამპანიაში, რომელიც მოიცავს როგორც ელ.ფოსტის, ასევე „www“- ის გამოყენებას. ქვეყანაში მყოფი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, ტექნოლოგიების საშუალებით ისეთი ინფორმაციების შეშვება და შემდეგ ფართოდ ცირკულირება ხდება სწრაფათ და შედარებით იაფად, რომლის შეღწევაც ინდონეზიაში სხვა შემთხვევაში არ იქნებოდა ნებადართული. ეს ინფორმაციის ნაკადი ადამიანის უფლებათა აქტივისტებსა და სხვა

დაინტერესებულ პირებს შორის, ქმნის ზეწოლას მთავრობაზე, რომ მათ შეწყვიტონ ან დაასრულონ ადამიანის უფლებათა დარღვევები. ეს კამპანია უზრუნველყოფს 90-გვერდიან ტექსტურ დოკუმენტებზე სრულ წვდომას , მათ შორის ფოტოსურათებზე, სხვადასხვა ენებზე, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ენებს მათ შორის ინგლისურს , ფრანგულს, ესპანურსა და ინდონეზიურს, ინტერნეტისმეშვეობით.[19]

ზოგიერთი დასკვნითი მოსაზრებები

წარმოდგენილი პრაქტიკული მაგალითები ემსახურება იმის ჩვენებას, თუ როგორ გახდა ინტერნეტი მთავარი იარაღი ადამიანის უფლებების დაცვისათვის და ის შეიძლება აღწერილი იქნას , როგორც სწრაფი და იაფი გზა ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფებისათვის შეტყობინებების გასაცვლელად. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მდგომარეობს მის უნარში, რომ ერთი მოქმედებით გაუგზავნო შეტყობინება უამრავ მიმღებს, ვიდრე რიგრიგობით აგზავნო შეტყობინებები. ინტერნეტი იძლევა ინტერაქტიული კომუნიკაციის საშუალებას ადამიანის უფლებების დაცვისათვის არსებული მოძრაობების სხვადასხვა ნაწილებს შორის . რომლის საშუალებითაც ადგილობრივ ჯგუფებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ საერთაშორისო ჯგუფებს პირდაპირ, შუამავლების ჩარევის გარეშე. ეს ხელს უწყობს ინტერესთა ახალი საზოგადოების განვითარებას. ბევრი განცხადებები და სერვისები, რომლებიც ხელმისაწვდომია ინტერნეტში, ჩანს რომ იქცევა ხოლმე „ მკვლელ განცხადებებად“, ადამანს უფლებათა დამცველი სამყაროსთვის, მაგრამ მათ უფრო დაბალანსებული მიდგომა მოეთხოვებათ. შემდეგი პუნქტები განზრახ არ არის პასუხგაცემული, მაგრამ მოწოდებულია, როგორც საკვები, ინტერნეტის ბუნებასთან დაკავშვირებულ მოსაზრებებზე ანდა მის ფასეულობებზე.

გარკვეული დადებითი მხარეები:

რეაგირების სისწრაფე

მზარდი წვდომა

ჩაგვრითი რეჟიმების მიერ კონტროლის უზრუნველყოფის სირთულეები

საინტერესო მედია, უზრუნველყოფს ახალ აუდიტორიასთან წვდომის შესაძლებლობას?

გარკვეული უარყოფითი მხარეები:

ცუდი ხარისხის ინფორმაცია

დასავლური, მამრობითი წარმოშობის - ტრადიციული ძალაუფლების ურთიერთობების განმტკიცება

ინტერნეტის დომინირება დასავლური ღირებულებების კულტურისა და ენის საშუალებებით.

ინფორმაციული გადატვირთვა- ხალხის მიერ საკითხის გაუთავისებლობა.

არათანაბარი წვდომა და ეკონომიკური პრობლემები განვითარებადი ქვეყნებისათვის.

კოორდინაცია-ან უფრო ზუსტად კოორდინაციის ნაკლებობა, რომელსაც ინტერნეტი უზრუნველყოფს.

სიძულვილი/ ექსტრემი, პორნოგრაფია, პედოფილია, ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობა.

მეტყველების და კონტროლის თავისუფლება- ზოგიერთი მთავრობა ჯერ კიდევ ცდილობს წვდომის გაკონტროლებას.

ინტერნეტი სწრაფად გაიზარდა და მისი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებისათვის გახდა ბანალური. გუზმანი[20] აღწერს ინფორმაციულ ტექნოლოგიას, როგორც დადებით ძალას, სადაც *„ინტერნეტის მარტივი ხელმისაწვდომაობა საშუალებას აძლევს ხალხს მსოფლიოს მაშტაბით გააერთიანონ ძალები არსებულ ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებში და ჩამოაყალიბონ ახალი ორგანიზაციები. ახალწვეულთა გაწვრთნა, კომუნიკაცია, კვლევის საკითხები, მოქმედებისათვის მობილიზება გამარტივებულია ქსელის საშუალებით“..*

თუმცა, როდესაც ვიღაც „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ ბოროტად გამოყენებას მიიჩნევს , როგორც ზედამხედველობის მექანიზმს , რათა უარყოს კონფიდენციალობა და აკოტროლოს მოსახლეობა. ამ დროს საჭიროა ვიღაცის ენთუზიაზმის შერბილება, მაგალითად, ევროპული პარლამენტის[21] ამჟამინდელი სამუშაოები, ააშკარავებს ტექნოლოგიების ფართო მასშტაბიან გამოყენებას პოლიტიკური კონტროლისათის და ტექნოლოგიის გამოყენებას როგორც წამებისა და რეპრესიის იარაღის; ზოგიერთი მათგანი სწორედ ის იარაღიია, რომელიც მეორე მხრივ გამოიყენება დარღვევების წინააღმდეგ საბრძოლველად. რეპორტაჟი „ ქსელის გაჩუმება“[22] დეტალურად აღგვიწერს იმ მაშტაბებს რომელშიც მთავრობები მსოფლიოს ყველა წერტილიდან ცდილობენ, რომ აკონტროლონ და მართონ ინფორმაციის ნაკადი.

საერთაშორისო ამნისტიის გენერალური სამდივნოს დეპუტატმა პატი ჰეილმა, გადმომცა ეს ცოტა ხნის წინ. ის არის სამხრეთ აფრიკული გაზეთიდან „ ბლაფერის სახელმძღვანელო ინტერნეტზე“[23] და მან აგვიხსნა ინტერნეტის ზეგავლენის პროგნოზირების ალტერნატიულ ვარიანტები:

„მსოფლიო იქნება უკეთესი ადგილი“ 2006 წლისთვის, მსოფლიოს ყველა მაცხოვრებელი იქნება ინტერნეტში ჩართული “. ინტერნეტი, მაღაზიებს, ოფისებს, და ბიზნეს მოგზაურობას გახდის გამოუსადეგარს. ამის საშუალებით დაიზოგება ბევრი ფული, რადგან ყველაფერი უფასო იქნება! ომები დასრულდება! ყველანი ბედნიერები იქნებიან!

მსოფლიო გახდება უარესი ადგილი 2006 წლისათვის, დასავლეთში ყველა იქნება ინტერნეტში ჩართული, მაგრამ ის მზარდი მილიარდები განვითარებულ კაპიტალსტურ საზოგადოების გარეთ კვლავ სიღარიბეში იცხოვრებენ. ამის შედეგად დამდგარი არასტაბილურობა გამოიწვევს მსოფლიო მასშტაბის ომს. ან ვიღაცამ შესაძლოა გამოიყენოს ატომური ბომბის რეცეპტი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ინტერნეტში. ყველა დაიღუპება.

ხალხი კონტროლს აიღებს ინტერნეტზე 2006 წლისთვის, ინტერნეტ მოძრაობის აშკარა მოცულობა აღნიშნავს იმას , რომ მთავრობების კონტროლი შეუძლებელი გახდება. თვითმართველი პატარა საზოგადოებები გაიზრდება იმ ხალხით , რომლებიც „ ვირტუალურ სოფლებში იცხოვრობენ.“ ყველანი თავისუფლები იქნებიან.

მთავრობებიც გააკონტროლებენ ინტერნეტს 2006 წლისთვის. „ დიდი ძმა“ ნამდვილად დაგიწყებთ ყურებას, ყველა თქვენი ელ .ფოსტა, ყველა საბანკო დეტალები, პირადი ცხრილები და შესყიდვები- ყველაფერი ჩაწერილი და გულდასმით გამოკვლეული იქნება. ინტერნეტიანი კომპიუტერები აღიჭურვება კამერებით, რომელთა საშუალებითაც დღეში ოცდაოთხი საათი გაკონტროლდებით, ტოტალიტარული რეჟიმები თავიათ გავლენას დაამყარებენ ყველგან. ყველა შევიწროვდება.

ინტერნეტი გარდამავალი იქნება 2006 წლისთვის, კიბერსივრცის სიახლე გაცვდება. ყველა თავის საქმეს წამოიწყებს, როგორც აქამდე აკეთებდნენ.. ამის დაიგნორება დაგაზოგინებთ ბევრ ფულს- და ის გაივლის.

ინტერნეტი აქ 2006 წლისთვის დარჩება. მსოფლიოს ყველა მაცხოვრებელი შეძლებს ერთმანეთს დაუკავშირდეს სულ მცირე ორჯერ მაინც. თქვენი სოციალიზირება მოხდება თქვენი კომპიუტერის ეკრანის საშუალებით.წახვალთ არდადეგებზე სასტუმრო ოთახის დატოვების გარეშე და შეეკამათებით ათასობით ისეთ ადამიანს , რომელთაც მანამდე არასდროსაც არ შეხვედრილხართ. ინტერნეტი იმდენად გავრცელებული იქნება, რომ თქვენი ეკონომიკური გადარჩნის ერთადერთი შანსი იქნება თქვენი სტრატეგიის რეორიენტირება და ინვესტირება ინტერნეტის გარშემო.

პატიმ სიტყვით გამოსვლა გააგრძელა იმით, რომ:

„თუმცა ირონიულად სტატია გვისურათებს იმ უთავბოლოობას , რომელსაც ჩვენ ვაწყდებით როდესაც ვცდილობთ შევაფასოთ ინტერნეტის ზეგავლენა ჩვენ ცხოვრებაზე. ადამიანის უფლებათა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციები არ არიან დაცულები ამ უწესრიგობისაგან; ჩანს , რომ ჩვენ ვტრიალებთ აქტივიზმისთვის საჭირო ქსელის პოტენციალის დაუკებელ ენთუზიაზმსა და საზოგადოებრივი დისკურსის სერიოზულ გაფრთხილებას შორის, რომელიც გამოიწვეული იქნება კომერციული ინტერესებისა და ინტერენციის რეგულატორებისგან“.

შესაძლოა უკეთესიც კი იყოს იმის არ წარმოდგენა ან დაჯერება, რომ ინტერნეტი და მიმდინარე ტექნოლოგიური განვითარებები უზრუნველგვყოფს ჩვენ ციფრული უტოპიით ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივიზმისათვის. იმის ნაცვლად რომ ინტერნეტზე დავამყაროთ რწმენა , შესაძლოა უკეთესი იყოს, რომ ის დავინახოთ როგორც იარაღი, რომელიც გამოიყენება მაშინ როცა შესაბამისობა და საჭიროება მოითხოვს.

შესაბამისად ინტერნეტი უნდა იყოს შეფასებული თავისი სარგებლობიანობიდან გამომდინარე და არა, როგორც პასუხი მსოფლიოში არსებული დაავადებების, ახალი შესაძლებლობების შექმნისა და ახალი პრობლემების აღმოცენების ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიოსთვის.

მნიშვნელოვანი ფაქტორი ადამიანის უფლებათა საქმეში რჩება ინდვიდუალ აქტივისტებზე- ჩვენთვის ცნობილი დარღვევები და ძალადობები მხოლოდ მათ ინტერვენციასა და მოქმედებებზეა დამოკიდებული, როგორც ამას გვიხსნის,მოსამართლე რიჩარდ გოლდსტოუნი რომელიც იყო გაეროს აღმასრულებელი პროკურორი საერთაშორისო ტრიბუნალზე, ყოფილ იუგოსლავიასა და რუანდაში, აქტივისტებისა და მსხვერპლებისგან მიღებული ელექტრონული შეტყობინებების რაოდენობით, მას სრულად გაცნობიერებული ჰქონდა ომის დანაშაულებების მასშტაბები და ბუნება. ხალხის ხმა გაბატონებულია.

სქოლიო

C. ედუარდ ფ. ჰალპინი და აშგეიტის საგამომცემლო კომპანია, 2001. ედუარდ ჰალპინი არის ინფორმაციული მენეჯმენტის ლექტორი საინფორმაციო მენეჯმენტის სკოლაში ლიდის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტში.

1. ეს თავი შედეგია იმ სამუშაოსი და პუბლიკაციების, რომელიც ხორციელდებოდა სამწელზე მეტი ხნის განმავლობაში და ეყრდნობა შემდეგ გამოქვეყნებულ ნაშრომებს. ევროპული პარლამენტის მიერ ინტერნეტის გამოყენება ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობისათვის. ევროპული პარლამენტი, ლუქსემბურგი 1998 (ს. ფიშერთან ერთდ.) „ქსელის საშუალებით თავისუფლება: ინფორმაცია, ინტერნეტი და ადამიანის უფლებები,“ „ საინფორმაციო მეცნიერების ჟურნალი (პ. ბროფისთან ერთად) და ადამიანის უფლებები და ინტერნეტი(ს. ჰიკი, და ე. ჰოსკინი). მსურს რომ გამოვხატო ჩემი მადლიერება მათ მიერ გაწეული სამუშაოსათვის, მადლობა მათ თანამშრომლობისა და ამ თავში გაწეული წვლილისათვის ჩემი კვლევის საშუალებით.
2. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) ფართო ტერმინი გამოყენებულია აქ, რადგანაც ინტერნეტი არის მხოლოდ ერთადერთი იმ

ტექნოლოგიებიდან რომლებიც გამოიყენება ადამიანის უფლებათა სამყაროში. ამასთანავე ინტერნეტი მიიჩნევა მთავარ ტექნოლოგიად.

3. Http:/www.nua.net/ surveys/how_many_online /(site visited 21 March 2001)
4. ჯ. სლავინი ინტერნეტი და საზოგადოება. (სახელმწიფო პრესა, კემბრიჯი, გაერთიანებული სამეფო, 2000)
5. Http:/www.nua.net/ surveys/how_many_online /(site visited 21 March 2001)
6. ბ. ჰაგი და ბ. ლოუდერი, ციფრული დემოკრატია: გადაწყვეტილების მიღება და დისკურსი საინფორმაციო ხანაში. (ლონდონი , რუთლეჯი, 1999)
7. პ. ბროფი და ი. ფ. ჰალპინი „ („ ქსელის გათავისუფლების საშუალებით: ინფორმაცია, ინტერნეტი და ადამიანის უფლებები; საინფორმაციო მეცნიერების ჟურნალი 25 (5) 1999, გვ 351-364)
8. ჯ. მეტზლი „ ინფორმაციული ტექნოლოგია და ადამიანის უფლებები „ ჰიუმან რაითს კვარტერლი“ (1996) 705-746
9. მეტზლი, იდ
10. შესაძლებელია Http://shr,aaas.org/program/
11. ბოლი პ. Et, al, „ ინფორმაციული ტექნოლოგია, ინფორმაციული მენეჯმენტი და ადამიანის უფლებები: პასუხი მეტზლს „ ჰიუმან რაითს კვარტერლი“ 19 (1997) 836-863
12. პოლ ლ. და ალექსანდრე ს. ჯ. (დიბერტის თავი) ციფრული დემოკრატია , ტორონტო, ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა(1998)
13. ე. ფ. ჰალპინი და ს. მ ფიშერი, ევროპული პარლამენტის მიერ ინტერნეტის გამოყენება ადამიანის უფლებების დაცვისა და ხელშეწყობისათვის, ევროპული პარლამენტი, ლუქსემბურგი (1998)
14. ს. ჰიკი ე.ფ. ჰალპინი და ე, ჰოსკინსი „ადამიანის უფლებები და ინტერნეტი“ მაკმილანი, ბასინგსტოკი 2000
15. დ. გუცმანი, გამოუქვეყნებელი ფურცლები ნაშრომიდან „ადამიანის უფლებათა საქმეში ინტერნეტის ისტორიაზე“.
16. ადამიანის უფლებები და ინტერნეტი, supra, n 14 ჯურჯა კნევიჩის თავიდან
17. ადამიანის უფლებები და ინტერნეტი, supra, n 14 გრეემ ლეინის თავიდან.
18. ადამიანის უფლებები და ინტერნეტი, supra, n 14 შერონ შერფის თავიდან

19. ე. ფ. ჰალპინი და ს. მ ფიშერი supra, n 13
20. ე. ფ. ჰალპინი და ს. მ ფიშერი supra, n 13
21. ევროპული პარლამენტის სამეცნიერო და ტექნოლოგიური შეფასების (STOA) ერთეული, პოლიტიკური კონტროლის ტექნოლოგიები, ევროპული პარლამენტი, ლუქემბურგი, 1998, PE 166, 499
22. http://www.epic.org/free_speech/intl/hrw_reports_5_96. HtmCol
23. რ.ენსლი და ა. რეი, „ ბლეფი თქვენი გზა კომპიუტერებში(Ravette Pub Ltd 1996)

დეივიდ ბერნიზერის წიგნის: „ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტური სტრატეგიები:პრევენცია და ინტერვენცია, ვაჭრობა და განათლება“ თარგმანის ანალიზი

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენა კომუნიკაციის პროცესში, ვინაიდან ეს მის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს, ენა არის ურთიერთობის, აზრთა გაგებისა და გარესამყაროს შეცნობის საშუალება, უმნიშვნელოვანესია სხვადასხვაენოვან ხალხთა კომუნიკაცია, რომელშიც გადამწყვეტი როლი ენიჭება თარგმანს. სწორედ თარგმანი მიიჩნევა ასეთი კომუნიკაციური პრობლემების აღმოფხვრის ერთ-ერთ საშუალებად. თარგმანის თეორიტიკოსები და ლინგვისტები უკვე მრავალი წელია ცდილობენ და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ჩამოაყალიბონ „თარგმანის“ ზუსტი დეფინიცია, რომლის საშუალებითაც შეაფასებენ „კარგ“ თარგმანს.

„თარგმნა არის მნიშვნელოვანი სოციალური საქმიანობა, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს, გაცვალონ თავიანთი მოსაზრებები და ფიქრები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ იყენებენ ერთ ენას“ [A.S.Antar.;2002:1]. ეს არის პროცესი, რომელშიც ენობრივი დისკურსის მნიშვნელობა ერთი ენიდან მეორეში გადადის. *„თარგმანი არის ის აქტი, რომლის მეშვეობითაც ტექსტის შინაარსი წყარო ენიდან გადადის სამიზნე ენაზე“* [M.Foster;1958:1]. თარგმნის ენას ეწოდება წყარო ენა (SL), ხოლო ენა, რომელზეც ითარგმნება, ეწოდება სამიზნე ენა (TL). *„თარგმნა არის პროცესი და პროდუქტი“* [B.Hatim and J.Munday;2004:3]. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დავინახავთ, რომ ტერმინი „თარგმანი“ ძალიან განსხვავებულ პერსპექტივებს მოიცავს, პირველში ყურადღება გამახვილებულია მთარგმნელის როლზე, როგორც წყარო ენაზე შექმნილი ტექსტის სამიზნე ენაზე გადმომტანზე, ამის საპირისპიროდ თარგმანი, როგორც პროდუქტი ხაზს უსვამს, მთარგმნელის მიერ სამიზნე ენაზე შექმნილ ტექსტს, კეტფორდის მიხედვით, *„თარგმნა ეს არის ერთი ენის ტექსტური მასალის ჩანცვლება მეორე ენის ტექსტური მასალით“* [J.Catford;1995:20]. იუჯინ ნაიდა და ტაბერი აცხადებენ, რომ *„თარგმნა ეს არის წყარო ენაზე შექმნილი შეტყობინების აღდგენა მიმღებ ენაში უახლოესი*

ეკვივალენტით, მნიშვნელობის შენარჩუნებითა და სტილის დაცვით". [E.Nida and Taber;1982:12].

გამომდინარე თარგმნის არსებითი მნიშვნელობიდან, ეს პროცესი სხვადასხვა ლინგვისტის მიერ სხვადასხვანაირად არის დანახული და განსაზღვრული, თუმცა ზემოთ განხილული მოსაზრებებიდან შეიძლება ერთი რამ ცხადად ითქვას, რომ თარგმნა შეიძლება განისაზღვროს როგორც პროცესი და ამ მთარგმნელობითი აქტივობის შედეგი, რომლის დროსაც ხდება წყარო ენაზე შექმნილი ტექსტის ეკვივალენტურად გადატანა სამიზნე ენაზე. გაზალას მოსაზრების მიხედვით ყურადღების გამახვილება უნდა მოხდეს მნიშვნელობაზე, როგორც თარგმანში არსებითი ელემენტის, ცნებაზე, ვინაიდან თარგმნის პროცესში დედნის ტექსტის მნიშვნელობის გაგება არსებითი საფუძველია სამიზნე ენაზე სათანადო ეკვივალენტობის მისაღწევად, ეს არის სწორედ ის მნიშვნელობა, რომელიც ითარგმნება სტილისა და მსგავსი ჟღერადობის დაცვით. (H.Ghazala;1995).

სწორედ ამიტომ მთარგმნელს უნდა ჰქონდეს სათანადო ცოდნა როგორც წყარო, ასევე სამიზნე ენებისა, ასევე, მან უნდა შეძლოს შეძლოს, რაც შეიძლება ზედმიწევნით გადმოსცეს მწერლის ჩანაფიქრი, მისი ორიგინალური მოსაზრებები და იდეები. ენანი მთარგმნელის შემდეგ დეფინიციას შემდეგნაირად წარმოადგენს: *„მწერალი, რომელიც ახდეს სიტყვებში იდეების ფორმულირებას, რის საშუალებითაც ესაუბრება მკითხველს, ერთდერთი განსხვავება მასა და ორიგინალის ავტორს შორის ის არის, რომ ეს იდეები ზუსტად ამ უკანასკნელს ეკუთვნის"* [M.Enani; 1994:5]; ელ შეფი აცხადებს, რომ *„მთარგმნელი, პირველ რიგში, აანალიზებს შეტყობინებას, შემდეგ შლის მას სტრუქტურულად ყველაზე პატარა და გასაგებ ელემენტებად და გადააქვს სამიზნე ენაზე იმ ფორმით, რომელიც ყველაზე შესაფერისია მიზნობრივი აუდიტორიისათვის"*[El.Shafey;1985:95].

მთარგმნელმა, პირველ რიგში მთლიანობაში უნდა აღიქვას ტექსტი, ვინაიდან თარგმნის დროს ხდება მთლიანი ტექსტის დამუშავება და არა ცალკეული სიტყვების. ცნობილია, რომ ტექსტის ჩამოყალიბებაში გავლენას ახდეს სხვადასხვა გარემო-ფაქტორები: კულტურული, ისტორიული ან სოციალურ-ეკონომიკური. ამ ფაქტორებით განპირობებული ვითრებები ტექსტში შეიძლება პირდაპირ არ იყოს მოცემული.

მთარგმნელმა კი უნდა შეძლოს მოიძიოს, ავტორის მიერ ნაგულისხმევი სინამდვილე და სათანადოდ მოახდინოს მისი ფორმულირება სამიზნე ენაზე. თარგმანის ხარისხი მთარგმნელის ზოგად განათლებაზე უფროა დამოკიდებული, ვიდერე კონკრეტული სფეროს ღრმა და საფუძვლიან ცოდნაზე. მთარგმნელის მიერ თარგმანის აღქმას,სწორედ მთარგმნელის ერუდიცია განსაზღვრავს და არა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმები. რეალურად თარგმანი შეიძლება იყოს კარგად შესრულებული ან, პირიქით ხარვეზებით აღსავსე. შეიძლება მეტ-ნაკლებად ასახავდეს ორიგინალს ან სრულიად დაშორებული იყოს მისგან. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს, ისეთი ზუსტი კრიტერიუმები, რომელიც იქნება საზომი „სწორი“ თარგმანის შეფასებისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ „სწორ“ თარგმანში, პირველ რიგში, გადმოცემული უნდა იყოს ორიგინალის ყველა იდეა და ამასთან ერთად შენარჩუნებული იქნეს კულტურული და სტრუქტურული მახასიათებლები. მასუდის თანახმად კარგი თარგმნი უნდა აკმაყოფიელებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- კარგი თარგმანი უნდა იყოს ადვილად გასაგები და თავისუფლად საკითხავი;
- კარგი თარგმანი არის იდიომატური;
- კარგი თარგმანი განასხვავებს მეტაფორულ და სიტყვასიტყვით თარგანს;
- კარგი თარგმანი აღადგენს ორიგინალის ისტორიულ და კულტურულ კონტექსტს;
- კარგი თარგმანი ექპლიცისტურად გადმოსცემს იმას, რაც იმპლიცისტურად არის მოცემული აბრევიატურებში, გამონათქვამებში და ალუზიებში;
- კარგ თარგმანს მაქსიმალურად გადააქვს ორიგინალური ტექსტის მნიშვნელობა,(M.Masud.; 1988).

ელ. შეფი კი კარგი თარგმნის შესრულების სულ სხვა კრიტერიუმებს გვთავაზობს, რომელიც მოიცავს სამ მთავარ პრინციპს:

პირველი: *„ორიგინალის ენის როგორც გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნა, ასევე სათარგმნი ტექსტის კარგად გააზრება“.*

მეორე: *„მთარგმნელის უნარი, რომ მოცემული ტექსტი აღადგინოს სამიზნე ენაზე“.*

მესამე: *„თარმანი უნდა ინარჩუნებდეს ორიგინალის სტილსა და ატმოსფეროს, მას უნდა ჰქონდეს ორიგინალის შემადგენლობა*“[El. Shafey;1985:93].

მთარგმნელისთვის უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს არა მხოლოდ ენის, არამედ ორივე ენის კულტურის ღრმა გაგება, მთარგმნელები კარგად უნდა იყვნენ გათვითცნობიერებულნი ორივე კულტურის წეს-ჩვეულებებში, რომ შეძლონ ეფექტური თარგმანის შესრულება.

ვინაიდან სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას მომიწია სამეცნიერო თარგმანის შესრულება, კერძოდ, იურიდიული ტექსტის გადმოთარგმნა ქართულად, ამიტომ ყურადღებას გავამახვილებ სწორედ იმ პრობლემებზე, რომელთა წინაშეც მთარგმნელები დგანან სამეცნიერო, იურიდიული ტექსტების თარგმნისას და განვიხილავ აგრეთვე იმ სირთულეებს, რომლებთანაც მომიწია გამკლავება თარგმნის პროცესში.

მთარგმნელისათვის იურიდიული ტექსტის თარგმნა, ერთი შეხედვით, შეიძლება შედარებით უფრო მარტივი ჩანდეს, ვინაიდან მხატვრული ტექსტისაგან განსხვავებით მას არ სჭირდება სათანადო „გაფორმება“. ამ შემთხვევაში, მთარგმნელის მთავარი ამოცანაა, რომ სწორად გადმოსცეს ავტორის აზრი და შეძლებისდაგვარად შეინარჩუნოს მისი სტილის თავისებურებანი. თუმცა იმისათვის, რომ სწორად გაიგოს სათარგმნი ტექსტი, მთარგმნელს აუცილებლად კარგად უნდა ესმოდეს ტექსტში მოცემული ინფორმაცია მასთან დაკავშირებული უცხოენოვანი ტერმინოლოგია.

სამეცნიერო სტილის მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია გადმოცემის სიზუსტე და სიცხადე, ნათლად განსაზღვრული წინადადებები, ფორმის ლაკონურობა. თარგმანის შესრულებისას მთარგმნელმა ზუსტად და ამომწურავად უნდა გადმოსცეს ავტორის აზრი, შეუნარჩუნოს მას შესაბამისი სამეცნიერო სტილი, რომელიც სათარგმნ ენაზეც მისაღები იქნება დაინტერესებული პირებისათვის.

ასეთი ტიპის თარგმანი ძალზე რთული და შრომატევედი შრომაა და კონკრეტული სპეციალობის და ენის სფეროში ხანგრძლივი, დაძაბული და კვლევითი სამუშაოს ნაყოფია. უნდა აღვნიშნოთ, ასეთი თარგმნის შესრულება სასურველია, თუმცა სულაც არ მოითხოვს კონკრეტული იურიდიული მიმართულების ღრმა და საფუძვლიან ცოდნას, მთავარია, რომ მთარგმნელი ხედავდეს სამეცნიერო ლიტერატურის ფორმალურ-ლოგიკური სტილის წყობას. კონკრეტული სფეროს პროფესიონალი სპეციალისტიც კი ვერ შეძლებს შეასრულოს ადეკვატური თარგმანი, თუ არ იცის ყველა ის ლექსიკურ-

გრამატიკული კანონზომიერებები, რომლებიც ასეთი ტიპის ლიტერატურის საფუძველში ძევს. თუმცა იურიდიული ტექსტის სრულად გაგება შეუძლია იმას, ვისაც იურიდიული განათლება აქვს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იურიდიული თარგმანის შესრულების მთავარ პრინციპს, სწორედ ტექსტის სრული აზრობრივი გაგება და სპეციალიზებული ტერმინების მაქსიმალური გადმოცემა წარმოადგენს.

დღესდღეობით დედამიწაზე ათასობით ოფიციალური სალაპარაკო ენაა, რომ აღარაფერი ვთქვათ დიალექტებზე, თუმცა უნდა აღვნიშნოთ რომ თითოეული ენა არის უნიკალური თავისი წარმოშობის, ფესვებისა და სტრუქტურის მიხედვით, შესაბამისად, თითოეულ ენას გააჩნია იდეომების, გამონათქვამების, შედგენილი სიტყვების, მათ შორის ონომატოპიური გამონათქვამების, გამოხატვს საკუთარი ხერხები და საშუალებები, ეს ყველაფერი ქმნის ენის სიმდიდრესა და უნიკალურობას, მაგრამ ამასთანავე წარმოადგენს დაბრკოლებას მთარგმნელისათვის, რადგან ეს განსხვავებები ხშირად ქმნის ბუნდოვანებას, რადგანაც სიტყვებმა, გამონათქვამებმა და წინადადებებმაც კი შეიძლება შიძინონ სხვა მნიშვნელობა, როდესაც მათ განსხვავებულ კონტექსტში გამოვიყნებთ. ამან შეიძლება გამოიწვიოს გაუგებრობა ან აზრის არასწორად აღქმა. ამიტომ მთარგმნელები ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ, რათა თავიდან აიცილონ მსგავსი შეცდომები.(Translation Challanges Faced by Translators)

მთარგმნელის ამოცანაა ზუსტად და მთლიანობაში გადმოსცეს დედნის (უცხო ენის) შინაარსი და ამასთანავე შეინარჩუნოს მისი სტილისტური და ექსპრესიული თავისებურებანი. მთლიანობაში იგულისხმება ფორმა-შინაარსობრივი ერთობის ჩვენება ახალ ენობრივ საფუძველზე. თარგმანის თეორიაში იხმარება ტერმინი „ადეკვატური თარგმანი“, რაც მიუთეთებს ორიგინალის სრულფასოვან თარგმანზე. ასეთი თარგმანის დროს დაშვებულია ისეთი ენობრივი საშუალებების ხმარება, რომლებიც ზუსტად გადმოსცემენ მთელი გამონათქვამის აზრს და პასუხობენ ენობრივ ნორმებს, თუმცა ფორმალურად შეიძლება არც ემთხვევიან დედნის ცალკეულ ელემენტებს. აუცილებლობის შემთხვევაში ადეკვატური თარგმანი უშვებს დედნიდან მცირე გადახრას, რათა უფრო დაუახლოვოს თარგმანი დედანს და უფრო ზუსტად გადმოსცეს მისი აზრი და სტილისტური შეფერილობა.(ნ.გაფრინდაშვილი; სალექციო კურსი)

თარგმნის დროს წარმოშობილი პრობლემები შეიძლება დავყოთ ლინგვისტურ და კულტურულ პრობლემებად. კულტურული პრობლემები მოიცავს სხვადასხვა სიტუაციურ მახასიათებლებს, ხოლო ლინგვისტური განასხვავებს ლექსიკურ და გრამატიკულ პრობლემებს.(S.Antar;2002)

თარგმანისას, განსაკუთრებით ხშირად იცვლება გრამატიკული ერთეულები. წინადადების წევრთა შეცვლის დროს ნათარგმნ ტექსტში ზოგიერთი სიტყვები და სიტყვათა ჯგუფები გამოიყენება განსხვავებული სინტაქსური ფუნქციით, ვიდრე ეს დედანშია, ანუ ხდება წინადადების სინტაქსური სტრუქტურის გარდაქმნა, კერძოდ, მარტივი წინადადების რთულით შეცვლა, რთულის მარტივად გარდაქმნა, მთავარი წინადადების დამოკიდებულით შეცვლა და პირიქით, მაკავშირებელი ტიპის წინადადების შეცვლა უკავშიროთი და მრავალი სხვა.

თარგმნის პროცესში, გარკვეულ დონეზე მეც მომიწია, ორიგინალის ენაზე არსებული გრამატიკული სირთულეების დაძლევა. ქვემოთ ამასთან დაკავშირებით განვიხილავ რამდენიმე მაგალითს.

მაგ. წინადადებაში *„there are some do's and don'ts of your behavior that can at least reduce the risk*" [D.Barnhizer;2001:31]. შევცვალე სტრუქტურა და ვთარგმნე ასე: *„თქვენ ქცევებში არსებობს ისეთი ნორმები, რომელსაც, სულ მცირე, რისკის შემცირება შუძლია".*

ასევე, შემდეგ წინადადებაში, ორიგანალში გამოყენებული ვნებითი გვარი, თარგმნის ენაზე შევცვალე მოქმედებითიდ. *„someone should know where you are and when you can be expected to be at specific locations"*[D.Barnhizer;2001:31*]-„ვიღაცამ უნდა იცოდეს, სად იმყოფებით თქვენ და როდის მოელოდებიან თქვენს მოსვლას კონკრეტულ ტერიტორიაზე*".

ერთეულ შემთხვევაში ორიგინალის წინადადების მტკიცებითი ფორმა, აზრის უფრო ცხადად გადმოსაცემად, შევცვალე უარყოფითი წინადადებით, თუმცა მნიშვნელობა გადმოვეცი უცვლელად. მაგ, *„They remain after everyone else goes away".*[D.Barnhizer;2001:34]- *„ისინი არ ტოვებენ ტერიტორიას მას შემდეგაც კი, როდესაც ყველა გაემგზავრება".*

ხშირი იყო არსებითი სახელისა და ზმნის რიცხვთან შეთანხმების გამო განპირობებული გრამატიკული ცვლილებები, ვინაიდან ქართულსა და ინგლისურს ახასიათებს განსხვავებული წესები.

მაგ: *„Of the 407 hundred million users identified in the first survey 167 milion were in North America“.* [D.Barnhizer;2001:39]- *„პირველ კვლევაში გამოვლენილი 407 მილიონი მომხმარებლიდან, 167 მილიონი იყო ჩრდილო ამერიკიდან“.*

“Now that the human rights records of government in Africa and elsewhere have become a widely used yardstick for measuring the legitimacy of a government” .[D.Barnhizer;2001:11]- *„ახლა აფრიკისა და სხვა ქვეყნების ჩანაწერები ადამიანის უფლებების შესახებ გახდა მთავრობების ლეგიტიმურობის საზომი“.*

შემდეგ წინადადების თარგმნისას შეცვლილია წყობა და ასევე ამოვარდნილია კავშირი. მაგ: „*It only through their intervention and action that we know about the abuses and violations of human rights*”[D.Barnhizer;2001:31]- *ჩვენთვის ცნობილი დარღვევები და ძალადობები მხოლოდ მათ ინტერვენციასა და მოქმედებებზეა დამოკიდებული“.*

აგრეთვე უნდა აღვნიშნო, რომ ტექსტში აზრი ხშირად გადმოცემული იყო რთული წინადადებებით. მაქსიმალურად შევეცადე, არ დამერღვია სტრუქტურა და ცვლილებების განუხორციელებლად გადმომეტანა წინადადებები.

ჩემთვის, როგორც მთარგმნელისათვის, საინტერესო გამოწვევა იყო ლექსიკური პრობლემები. როგორც ცნობილია, ისინი წარმოიშობა ენების მრავალფეროვნებებიდან გამომდინარე. პროფესორ ნიუმარკის მიხედვით, მთავარი სირთულეები თარგმნის დროს სწორედ ლექსიკური პრობლემებით არის განპირობებული, რაც მოიცავს (მეტაფორებს, იდიომებს, ფრაზეოლოგიზმებს და ა.შ და არა გრამატიკულით (P.Newmark ;1988). რადგანაც ენები, „აღჭურვილნი არიან იმ უნარით“, რომ რეალურ სამყაროში არსებული ურთიერთობები გამოხატონ განსხვავებულად, ისინი, რა თქმა უნდა, ცხოვრების ყველა სფეროს ერთი და იმავე ხარისხით არ გამოხატავენ. ხოლო ისეთი გამონაკლისის პოვნა, რომელიც ყველა ენაზე ერთნაირად გამოიხატება, ძალზე რთულია (Ivir;1981). ამ ყველაფერმა კი შეიძლება გამოიწვიოს მთარგმნელის დაბნევა. რადგან შესაძლებელია, ზოგ სიტყვას ჰქონდეს უამრავი მნიშვნელობა და ისინი შეიძლება ითარგმნონ ბევრი ეკვივალენტური სიტყვით, სიტყვის მნიშვნელობა

დამოკიდებულია მხოლოდ მის კონტექსტზე. მეორე მხრივ, მთარგმნელი შეიძლება აღმოჩნდეს აგრეთე დილემის წინაშე, რადგანაც წყარო ენაზე შექმნილი ზოგიერთი საკითხი არ არის ლექსიკალიზირებული სამიზნე ენაზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ ეკვივალენტობის 4 ტიპი:

1) პირველი ტიპი არ წარმოშობს პრობლემას თარგმნისას, ვინაიდან წყარო ენის ერთ სიტყვას სამიზნე ენაზე შეესაბამება მხოლოდ ერთი ეკვივალენტი. შემდეგ ინგლისურ სიტყვებს, რომლებიც სათარგმნ ტექსტში იყო მოცემული, ქართულ ენაზე გააჩნია მხოლოდ ერთი ეკვივალენტი. მაგ: „ Human" - ადამიანი, " data" - მონაცემები, "Victim"- მსხვერპლი „ traditional"-ტრადიციული, „positive"-დადებითი და უამრავი სხვა ასეთი მაგალითის ჩამოთვლაა შესაძლებელი.

2) მეორე ტიპის ეკვივალენტობა არსებითად პრობლემატურია, რადგანაც წყარო ენის ერთ სიტყვას სამიზნე ენაზე გააჩნია რამდენიმე ეკვივალენტი. როდესაც მსგავსი ტიპის სიტყვები ითარგმნება, მთარგმნელს უწევს აირჩიოს კონტექსტიდან გამომდინარე ყველაზე ძლიერი და არსებითი მნიშვნელობა. მაგ: სიტყვას „violation" ქართულში მოეპოვება რამდენიმე ეკვივალენტი. აღნიშნული წინადადების თარგმნისას კი კონტექსტიდან გამომდინარე გამოვიყენე სიტყვის „violation" ორი ეკვივალენტი. *„They are the ones who are there on the scene and in the midst of the violence and who are recording and exposing the violators and violations"*[D.Barnhizer;2001:23]-*„ისინი არიან პირები, რომლებიც იმყოფებიან შემთხვევის ადგილას, ძალადობის შუაგულში, რომლებიც იწერენ და ააშკარავებენ როგორც დარღვევებს, ასევე ამ უფლება დამრღვევებს".* აღნიშნული სიტყვა ერთ წინადადებაში ვთარგმნე, როგორც „ძალადობა" და ამავე წინადადებაში ასევე გამოვიყენე მისი მეორე ეკვივალენტი „დარღვევა" .

სიტყვა „seek" შემდეგ აბზაცში ვთარგმნე ქართულში არსებული სამი ეკვივალენტის გამოყენებით: 1) მცდელობა; 2) ძებნა 3) მიზნად ქონა;

„This includes the important financial institutions from which African governments often seek funds and concessional development terms. We seek to target those institutions that have the most influence over the recipient countries in terms of foreign aid. Part of our strategy is obviously that we also seek to shame those who support them" [D.Barnhizer;2001:13]- ეს მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებისგანაც აფრიკული

მთავრობები ხშირად ეძებენ თანხებს და განვითარების შეღავათიან პირობებს. ჩვენ ვცდილობთ მიზანში ამოვიღოთ ის ინსტიტუტები, რომლებსაც აქვთ ყველაზე დიდი გავლენა მიმღებ ქვეყნებში საგარეო დახმარების თვალსაზრისით. ჩვენი სტრატეგიის ნაწილი ცხადია იმაში მდგომარეობს, რომ ვცდილობთ შევარცხვინოთ ისინი, ვინც პირველადი დარღვევები ჩაიდინა, მაგრამ ამასთან ერთად ასევე მიზნად გვაქვს, რომ შევარცხვინოთ ისინიც, ვინც მათ მხარს უჭერს".

ქართულში ეკვივალენტობის მაღალი ხარისხით ხასიათდება ასევე ინგლისური სიტყვა "utility". მაგ. " *The utility of databases should allow the mapping of human rights violation'*[D.Barnhizer;2001:41]- „მონაცემთა ბაზის სარგებლიანობამ უნდა მოახდინოს ადამიანის უფლებათა დარღვევების რუკაზე დატანა". ამ შემთხვევაში აღნიშნული სიტყვა გადმოვიტანე, როგორც სარგებლიანობა, ხოლო შემდეგ წინადადებაში *„The many applications and utilities available on the Internet seem to make it "killer application"* [D.Barnhizer;2001:53]- „ბევრი განცხადებები და სერვისები, რომლებიც ხელმისაწვდომია ინტერნეტში, ჩანს რომ იქცევა ხოლმე „მკვლელ განცხადებებად". ვინაიდან კონტექსტში არ ჯდებოდა პირველ წინადადების თარგმნისას სიტყვა „utility"-ის შერჩეული ეკვივალენტი, ამიტომ იგი შევცვალე ქართულში არსებული სხვა ეკვივალენტით. კერძოდ, „სერვისი".

გარკვეული სირთულე წარმოიშვა სიტყვა „virtual"-ის თარგმნისას, ვინაიდან ქართული ეკვივალენტები საპირისპირო მნიშვნელობისაა. „BC" ლექსიკონი ამ სიტვის შემდეგ დეფინიციებს გვაძლევს:

Virtual: 1. ფაქტობრივი: 2. სავარაუდო, შესაძლებელი; 3. წარმოსახვითი.

მაგ: წინადადებაში " *The assault ob virtual East Timor was the cyberspace equivalent of a military invasion"*:[D.Barnhizer;2001:52]- *„თავდასხმა ვირტუალურ აღმოსავლეთ ტიმორზე, წარმოადგენდა სამხედრო ინტერვენციის კიბერსივრცის ეკვივალენტს".* "virtual" ვთარგმნე, როგორც „ვირტუალური" , ასეთივე ეკვივალენტი გამოვიყენე „*virtual sovereignty*"-ის თარგმნისას *„ვირტუალური სუვერენიტეტი".*

შემდეგ წინადადებებში გამოვიყენე აღნიშნული სიტყვის სხვა ეკვივალენტი; *„Taking anticipatory action to preempt the potentionaly unfolding crisis is, however, one of the things we do poorly in virtually everything we do*".[D.Barnhizer;2001:3-4]- *„წინასწარი*

ზომების მიღება იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ პოტენციური კრიზისი, არის ერთ-ერთი მათგანი, რასაც სინამდვილეში არც ისე კარგად ვაკეთებთ".

"*The internet provides an intelligence gathering system far beyond what has historically been possessed by virtually any government, not to mention ordinary citizens*".[D.Barnhizer;2001:4]- *„ინტერნეტი უზრუნველყოფს სადაზვერვო შეკრების სისტემას, რომელიც შორს არის იმისგან, რასაც ისტორიულად თითქმის ნებისმიერი ხელისუფლება ფლობდა რეალურად, რომ აღარაფერი ვთქვათ რიგით მოქალ აქეებზე".*

3.) მესამე შემთხვევა, როდესაც დედნის რამდენიმე აღსანიშნს სამიზნე ენაზე მხოლოდ ერთი ეკვივალენტი შეესაბამება, ასევე პრობლემატურია, რადგანაც ამ დროს თარგმანში გარკვეულწილად იცვლება სიტყვების მნიშვნელობა.

მაგ. ორიგინალის ენაზე ადამიანის უფლებების კონტექსტში გამოყენებულ შემდეგ ფრაზებს: „human rights actor", „human rights player", „human rights worker", ქართულ ენაზე მოვუძებნე მხოლოდ ერთი ეკვივალენტი და აღნიშნული ფრაზები ყველგან ვთარგმნე, როგორც უფლებადამცველები.

აგრეთვე ინგლისურის სინონიმურ სიტყვებს „denial", „rejection" ქართულში მოეპოვება ერთი ეკვივალენტი „უარყოფა" . ამიტომ შემდეგი წინადადება:

"*Ten years ago it was a period primarily of denial, deception and rejection*".[D.Barnhizer;2001:13]. ვთარგმნე ასე, *„ათი წლის წინ ეს იყო სიცრუისა და უარყოფის პერიოდი".*

4) მეოთხე ტიპს მივყავართ უთარგმნელობის პრობლემამდე, რადგანაც ამ შემთხვევაში დედნის ერთ სიტყვას არ მოეპოვება სათანადო ეკვივალენტი სამიზნე ენაზე. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ თარგმნისას აღნიშნული სირთულის წინაშე არ აღვმოჩენილვარ.

თარგმნისას მომიწია სხვა პრობლემური საკითხების გადაჭრაც, რომელთა წინაშე სხვა მთარგმნელებიც დგანან (სიტყვათ შეთანხმებების, იდიომების, ანდაზებისა და მეტაფორების თარგმნა).

როგორც ცნობილია, ფრაზეოლოგიზმი არის სიტყვათა მყარი შესიტყვება, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ენისათვის, მისი შემადგენელი სიტყვები ისეა

დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ გაიგება მთელი ფრაზის მნიშვნელობა და არა მისი შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობა ცალ–ცალკე და მათი ჯამი.(ttps://ka.wikipedia.org/wiki/ფრაზეოლოგიზმი). იგივე შეიძლება ითქვას იდიომებზე, მეტაფორებზე და ანდაზებზე, რადგანაც ისინიც გარკვეული ტიპის სიტყვათშეთანხმებებია. როგორც გაზალა აღნიშნავს, ასეთი ტიპის გამონათქვამები არის ფიქსირებული ფრაზები, რომელთა ფორმაც უცვლელია და რომელთა მნიშვნელობაც ყოველთვის იგივე და მოუქნელია(H.Ghazala;1995). ასეთი ფრაზების თარგმნა ყოველთვის მოითხოვს, როგორც ყურადღების მაღალ ხარისხს, ასევე ლინგვისტურ და კულტურულ ცოდნას. ფრაზეოლოგიზმების უმრავლესობა იდიომატური გამოთქმებია, რომლებიც ამა თუ იმ კონკრეტულ ენას ახასიათებს, მათ შორისაა ისეთი ერთეულებიც რომელთა შემადგენლობაშიც შედის ნაციონალური კულტურის ამსახველი საგნები და მოვლენები. შესაბამისად, იდეომების თარგმნას თან ახლავს გარკვეული სირთულეები. არსებობს იდიომების თარგმნისას რამდენიმე სტრატეგია; ყველაზე კარგი გამოსავალია, ვიპოვოთ სამიზნე ენაზე ისეთი იდიომა, რომელიც იყენებს იმავე სიტყვებს, იმავე სტრუქტურას და ამასთანავე გააჩნია იგივე მნიშვნელობა, თუმცა ამის პოვნა არც თუ ისე ადვილია.

შესაძლებელია ასევე ვიპოვოთ სამიზნე ენაზე ისეთი იდიომა, რომელიც იყენებს განსხვავებულ სიტყვებს, თუმცა აქვს ერთნაირი სტრუქტურა და მნიშვნელობა. ასევე შესაძლებელია იდიომის თარგმნა მხოლოდ მისი მნიშვნელობის შენარჩუნებით, თუმცა, თუ ამის გაკეთებაც ვერ მოხერხდა თარგმანში, მაშინ უნდა შევეცადოთ იდიომის გადმოტანა მისი მნიშვნელობის განმარტებით და არა მისი პირდაპირი თარგმნით.

პირველი იდიომა, რომელიც თარგმნის დროს შემხვდა, იყო „*motherhood and apple pie*“[D.Barnhizer;2001:11]. ავტორი აცხადებს, რომ ადამიანის უფლებების დაცვა აშკარად გახდა *„motherhood and apple pie“* საკითხი, ცხადია, ამის პირდაპირ თარგმნა შინაარსობრივად სრულ უაზრობას გამოიწვევდა. ამიტომ სხვადასხვა ლექსიკონის დახმარებით შევეცადე გამეგო ამ იდიომის მნიშვნელობა, კემბრიჯის ლექსიკონი გვაძლევს შემდგომ განმარტებას:

„used to represent things that most Americans consider to be very good and important:“-

„ ეს არის საკითხი რომელიც ამერიკელების უმეტესობის მიერ მიიჩნევა უაღრესად მნიშვნელოვნად“. იმას, რაზედაც ყველა თანხმდება და არავინ კამათობს. როგორც გამოვიკვლიე ერთ-ერთი ვერსიით ამ იდიომის წარმოშობა უკავშირდება ამერიკელ ჯარისკაცებს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, რომლებიც ჟურნალისტების შეკითხვაზე, თუ რა ენატრებოდათ ყველაზე მეტად, შემდეგნაირად პასუხობდნენ: „*mom and apple pie*“. ვინაიდან ქართულ ენაზე ეკვივალენტური იდიომა ვერ მოვუძებნე, ვიხელმძღვანელე რა იდეომების თარგმნის ერთ-ერთი სტრატეგიით და ტექსტში გადმოვეცი მისი შინაარსობრივი მნიშვნელობა. კერძოდ *„The defense of human rights has increasingly become a „ motherhood and apple pie“ issue“*[D.Barnhizer;2001:11]-*„ადამიანის უფლებების დაცვა სულ უფრო და უფრო ხდება უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი“.*

ტექსტში გამოყენებული იყო აგრეთვე ანდაზა *„You can't wake a person who is pretending to sleep“*[D.Barnhizer;2001:36], რომლის წარმომავლობაც მოდის ძველი ნავაჰოს ხალხისგან და რომელსაც, როგორც მივაკვლიე, არაერთი მეტაფორული განმარტება აქვს. თარგმნისას შევეცადე შემენარჩუნებინა კონტექსტი და ამავდროულად მომერგო ქართულ ენაში არსებული ანალოგი („სირაქლემას პოზიციაში ყოფნა“). და ვთარგმნე შემდეგნაირად-*„შენ ვერ შეძლებ სირაქლემას პოზაში მყოფ ადამიანს დაანახო ან გააკეთებინო რაიმე იძულებით*“.

ორიგინალის ტექსტში არსებული იდიომა *„haves“and „have -nots“* /D.Barnhizer;2001:7] თარგმნის დროს გადმოვიტანე შემდეგნაირად: *„მდიდრებსა და ღარიბებს შორის“.*

ტექსტში შეგვხვდა იდიომა„*Talks the talk ..... walks the walk“,*[D.Barnhizer;2001:14] რომლის თარგმნისას სირთულესაც წარმოადგენდა ავტორის ნაგულისხმევის სწორად გაგება და გადმოცემა თარგმანში. განმარტებების დახმარებით, ეს იდიომა ვთარგმნე ასე: *„government allowed the all african continent have lent to talk the talk, but the question is whether they are also willing to walk the walk“. -„მთელი აფრიკული ქვეყნების მთავრობებს შესწავლილი აქვთ, თუ როგორ ისაუბრონ დამაჯერებლად თავიანთ ქმედებებზე, მაგრამ საკითხავია აქვთ თუ არა მათ სურვილი, რომ ეს ნათქვამი თავიანთი მოქმედებით დაამტკიცონ“.*

შევეცადე ქართული შესატყვისი მოეძებნა შემდეგ იდიომისათვის *„Fly on the wall“*. პირველ რიგში, მისი მნიშვნელობის გასაგებად ამჯერადაც ვიხელმძღვანელე კემბრიჯის ლექსიკონით, რომელიც გვაძლევს შემდეგ განმარტებას *„If you say that you would like to be a fly on the wall on an occasion, you mean that you would like to hear what will be said or see what will happen while not being noticed“.* აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე მოცემულ იდიომა ვთარგმნე მნიშვნელობის *შენარჩუნებით. „ But is this simply becoming a new form of entertainment , a new sort of „ fly on the wall“ experience*“.[D.Barnhizer;2001:40*]-„მაგრამ ეს უბრალოდ გართობის ახალი ფორმა ხომ არ გახდა, ან შორიდან შეუმჩნევლად თვალთვალის გამოცდილება“.*

კემბრიჯის ლექსიკონით ვიხელმძღვანელე აგრეთვე შემდეგი იდიომის „ smoke and mirors“ მნიშვნელობის გასაგებად. რომლის განმარტებითაც, *„Something that is described as smoke and mirrors is intended to make you believe that something is being done or is true, when it is not“.*

სწორედ ამ განმარტებიდან გამომდინარე, აღნიშნულ იდიომას მოვუძებნე ქართული ანალოგი, კერძოდ „თვალებში ნაცრის შეყრა“ და შემდეგი წინადადება ვთარგმნე ამგვარად: „*The internet has stripped much of the „ smoke and mirrors“ away from such decision-makers*“.[D.Barnhizer;2001:4]-*„ინტერნეტში მრავლადაა ისეთი ინფორმაცია, რომელიც თვალებში ნაცარს გვაყრის და შორდება გადაწყვეტილების მიმღებ პირებს“.*

ტექსტში გამოყენებული იყო რამდენიმე „ტროპი“- გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები და გამოთქმები. მაგალითად:

*„Going by the book”[*D.Barnhizer;2001:31]- კონტექსტიდან გამომდინარე ვთარგმნე როგორც *„წესებს დაცვით სიარული“.*

„ So what is it you actually do- pass out to flak jacket to people”[D.Barnhizer,2001:22]. *„ რა არის ის რასაც სინამდვილეში ჟურნალისტი აკეთებს- შემოხსნა დამცავი ჟილეტი ადამიანებს?“* იგულისხმება ადამიანთა დაუცველ მდგომარეობაში დატოვება.

„ The value to them is not one of “kudos”[D.Barnhizer 2001:52] – *„ეს საფასური არ უნდა წარმოადგენდეს მათთვის „ სახელის განთქმას“.* სიტყვა „ kudos“- აღნიშნულ შემთხვევაში შინაარსიდან გამომდინარე ენიჭება უარყოფითი მნიშვნელობა.

აღნიშნულ სირთულეებთნ ერთად მთარგმნელს, რომელსაც უწევს სამეცნიერო ტქსტების თარგმნა, შეიძლება წარმოეშვას ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემები. *„ტერმინოლოგია ესაა კონკრეტული მიზნებისათვის განკუთვნილი ენა“ (LSP)* როგორც ამას ინგო აღწერს“[R.Ingo;2007:83].

ტერმინოლოგიასა და თარგმანს შორის ყოველთვის არსებობდა მჭიდრო ურთიერთობა. როდესაც საქმე იურიდიულ დოკუმენტებს ეხება, კიდევ უფრო რთულია თარგმნა ერთი ენიდან სხვა ენაზე. ამ სფეროში კონკრეტული ცოდნაა საჭირო, რადგან თითოეულ ქვეყანას გააჩნია საკუთარი სამართლებრივი სისტემა და საკუთარი სამართლებრივი ტერმინები, რომლებიც მაქსიმალური სიზუსტით უნდა იქნას გადმოტანილი თარგმნის დროს. აქიდან გამომდინარე, მთარგმნელი უნდა იყოს გათვითცნობიერებული როგორც ორივე ენის სამართლებრივ სისტემებსა და ტერმინოლოგიაში, ასევე უნდა ფლობდეს კომპეტენციას წყარო ენის კონკრეტულ წერით სტილზე, კერძოდ, უნდა ჰქონდეს ენის ლექსიკურ-გრამატიკული სტრუქტურის ღრმა ცოდნა. (THE CHALLENGES OF LEGAL TEXTS TRANSLATION IN TERMS OF EUROPEAN INTEGRATION)

თუ ტექსტი ეკუთვნის ძალიან განსხვავებულ სამართლებრივ სისტემას, მაშინ თარგმნის დროს საჭირო ხდება ეკვივალენტობის მიღწევა ახსნა-განმარტების, შემოქმედობთობისა და მოქნილობის მაღალი ხარისხის გამოყენებით. მთარგმნელმა სამიზნე ენაზე უნდა იპოვოს ეკვივალენტური იურიდიული ტერმინები ან ისეთი ტერმინები, რომლებიც მიმღებ ენაში გამოიყენება ეკვივალენტური ფუნქციით. თუმცა, მთარგმნელები გადააწყდებიან ისეთ ტერმინებსაც, რომელთაც არ გააჩნიათ ეკვივალენტური იურიდიული მნიშვნელობა სამიზნე ენაზე. ასეთ შემთხვევაში მათ უნდა მიმართონ ნეოლოგიზმებს ან მოახდინონ ორიგინალში არსებული სიტყვის გამეორება და მას თან დაურთონ სათანადო ახსნა-განმარტება.(THE INHERENT PROBLEMS OF LEGAL TRANSLATION: THEOREICAL ASPECTS)

ეკვივალენტობის ცნებაში არ მოიაზრება, მხოლოდ სიტყვების ავტომატურად გამეორება სამიზნე ენაზე. ეს ნიშნავს, წყარო ენაზე ისეთი ტექსტის შექმნას, რომელსაც ექნება დედნის ენაზე შექმნილ ტექსტის იდენტური მნიშვნელობა.

კანონის ენა მოითხოვს სიზუსტეს, რაც გულისხმობს იმას, რომ ტერმინოლოგია მაქსიმალურად მონოსემანტიკური უნდა იყოს, ისეთი ტერმინები, რომელთაც არ მოეპოვებათ სათანადო ეკვივალენტი სამიზნე ენაზე, უნდა განიმარტოს აღწერითი მეთოდის გამოყენებით.(Legal Translation in Russia: Creating New Technology)

მეორე მეთოდს, რომელსაც რუსი ლინგვისტი ო. ბურუკინა, გვთავაზობს ეწოდება „კონსტრუქციული თარგმანი“, რომელიც გამოიყენება ისეთ სიტყვათა კომბინაციების თარგმნისას, რომლებიც არ არსებობს სამიზნე ენაში ან იმ ქვეყნის კულტურაში, რომლის ენაზეც ხორციელდება თარგმნა. ამ შემთხვევაში მთარგმნელმა უნდა მოძებნოს ტერმინოლოგიურ ფრაზაში შემავალი თითოეული წევრის ეკვივალენტი და გააერთიანოს ტერმინოლოგიური სიტყვის კომბინაციაში სათანადო ტერმინოლოგიური სისტემის გათვალისწინებით. (O.Borukina;2000)

მთარგმნელები კონკრეტული ტერმინებისათვის სათანადო ეკვივალენტის შერჩევას გარკვეულწილად ახდენენ როგორც ერთენოვანი, ასევე ორენოვანი ლექსიკონების საშუალებით. ერთენოვანი ლექსიკონები განსაზღვრავს იმ სამართლებრივი კონცეფციების დეფინიციას, რომელიც ეხება ერთი ენის სამართლებრივი სისტემის კონცეპტუალურ ქსელს. ხოლო ორენოვანი ლექსიკონის საშუალებით ხდება წყარო ენის იურიდიული კონცეფციების ეკვივალენტების შერჩევა სამიზნე ენაზე.

სათარგმნელად არჩეულ ტექსტზე მუშაობისას შემხვდა საინტერესო ტერმინები, თუმცა მათი თარგმნა, რამდენაცდაც მათ სამიზნე ენაზე, ანუ ქართულში სათანადო ეკვივალენტი მოეპოვებათ არ ქმნიდა სირთულეს. ასეთი ტერმინებია მაგ: „Human rights“ - ადამიანის უფლებები; „Human rights violation“ -ადამიანის უფლებათა დარღვევები“; „Information and Communication Technology“- „ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები“, „prevention“- პრევენცია; „Promotion and Protection of Human rights“- „ადამიანის უფლებათა დაცვა და წახალისება“. „Human rights abuses and abusers“ – „ადამიანის უფლებათა დარღვევები და დამრღვევები“. „Refugees“- „ლტოლვილები“; „investigation“-„გამოძიება; „detection“- „დაკავება“; „ imprisonment“- „დაპატიმრება“; „internaly displaced person“„იძულებით გადაადგილებული პირი“. „ victim“- „მსხვერპლი“; „harassement“- „შევიწროვება“ და ა.შ

თარგმნის „კონსტრუქციული“ მოდელი გამოვიყენე სიტყვათა შემდეგი კომბინაციების თარგმნისას „Human rights movement“- „ადამიანის უფლებათა დაცვის მოძრაობები“.

თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული შემდეგი ტერმინები „Human rights player“; „human rights worker“; „Human rights actor“; „human rights defender“ ქართულში მხოლოდ ერთი ეკვივალენტური ტერმინით ჩავანაცვლე - „ ადამიანის უფლებათა დამცველი“

აკრონიმები და აბრევიატურები შეიძლება უმნიშვნელო ჩანდეს ლექსიკოგრაფიისათვის, თუმცა ისინი ჯერ კიდევ რჩებიან პრობლემად მთარგმნელებისათვის. აბრევიატურების გამოყენება ლინგვისტიკაში შედარებით ახალ ფენომენს წარმოადგენს. სიტყვათა მიმდევრობის შემცირების ხელოვნება მათ საწყის ასოებამდე კარგად განვითარდა 50- 60-იან წლებში. ეს ფენომენი ასახავს თანამედროვე ეპოქის თავისებურებებს, რომელშიც ტექნიკური და სამეცნიერო აღმოჩენები სწრაფად ვითარდება. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვის ინიციალიზება პირველად 1899 წელს ოქსფორდის ინგლისურ ლექსიკონში მოხდა,მას საყოველთაო გამოყენება მაინც არ ჰქონია 1965 წლამდე,სანამ აკრონიმები არ გახდებოდა ცნობილი. 1943 წლიდან კი ტერმინი „აკრონიმი“ გამოიყენებოდა ინგლისურში, იმისათვის რომ განესაზღვრათ, თუ რომელი აბრევიატურები უნდა წაეკითხათ სიტყვებად. (Dealing with Abbreviations In Translation)

აბრევიატურები ხშირად გვხვდება როგორც პროფესიის, ისე ხელოვნების ჯგუფების, განსაკუთრებით ორგანიზაციებისა და ასოციაციების და სხვათა დასახელებებში. უამრავ ქვეყანაში ეროვნული ორგანიზაციები ხშირად მოიხსენიება მხოლოდ მათი აბრევიატურებით. აბრევიატურები უმეტესად გამოიყენება ხშირად გამოყენებული გრძელი ტერმინების შესამოკლებლად, ვინაიდან მოკლე ტერმინები უფრო მოსახერხებელია. ისინი მიზნად ისახავენ სიტყვის, წერისა და ბეჭდვის ხელშეწყობას.

აბრევიატურების შექმნა შეიძლება განხორციელდეს შემდეგი გზებით:

პირველი ესაა წარმოთქმის დონეზე. ტურნირის შეფასებით „*აბრევიატურები უნდა წარმოითქვას ასო -ასო, რადგანაც ისინი არ ემორჩილება არსებული სიტყვების*

მორფოლოგიურ-ფონეტიკურ შეზღუდვებს".[J.Tournir;1988:142] ამიტომაა, რომ გარკვეული სახის აბრევიატურები წამოითქმება ასო-ასო. *„მაგრამ, როდესაც ის ქმნის სიტყვათა კომპლექს, რომელიც უპასუხებს არსებულ ან შესაძლო მორფოლოგიურ-ფონეტიკურ მოდელს, მაშინ ის უნდა წარმოითქვას როგორც სიტყვა"*[J.Tournier;1988:142]. აკრონიმის ცნობილი მაგალითებია „ნატო" „ იუნესკო" „ გაერო" და ა.შ

აბრევიატურების თარგმნის ეს ფორმა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც აბრევიატურების რეფორმულირება ერთი ენიდან მეორეში. ხშირ შემთხვევაში აბრევიატურებში საწყისი ასოების წყება შეიძლება შეიცვალოს კონკრეტული ენის გრამატიკული სტრუქტურიდან გამომდინარე. არის შემთხვევები როდესაც აბრევუიატურის ინიციალები თარგმნის დროს მთლიანად ჩანაცვლდება ან ფორმულირდება სრული სიტყვებით. ზოგიერთი შემთხვევა კი სამიზნე ენაზე მხოლოდ ნასესხებ აკრონიმებს მოითხოვს.(Dealing with Abbreviations In Translation)

ჩემ მიერ სათარგმნელად არჩეული ტექსტი გამოირჩეოდა აბრევიატურების სიმდიდრით. მაგალითად: „HRW"- Human rights Watch; „NGO"- Non Governmental Organization; „WTO"- World Trade Organization; „USA" – United States of America ; „UN"- United Nation; „CPJ"- Committee to protect Journalists. „ EU"- European Union; „ ICT"- Information and Communication Technology; „ STOA" -Scientific and Technical Options „BBC" –British Broadcasting Chanel; „ OMCT" – Organization Mondial Contre Torture; „WWW"-World Wide Web; „ZTN"- Zamir Transnational Net; „CMC"- computer-mediated communication; „NATO"- North Atlantic Treaty Organization; „ANEM"- The Association of Indipendent Electronic Media" „PET"- Parlamentarians for East-Timor; „ETISC"- East Timor Ireland Solidarity Campaign; „ISP"-Internet Service Provider.

აღნიშნული აბრევიატურების თარგმნისას გამოვიყენე აბრევიატურის თარგმნის სხვადასხვა ხერხი. უმეტეს შემთხვევაში შევეცადე ინიციალების რეფორმულირებას ქართულ ენაზე არსებული წესების გათვალისწინებით. მაგ: „ USA"-აშშ; „UN"-გაერო; „EU"-ევროკავშირი „BBC"- „ბი-ბი-სი" და ა.შ

ქართული ენის ლექსიკურ-გრამატიკული სტრუქტურიდან გამომდინარე შემდეგ აბრევიატურებში „ CPJ" – „ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი" და „USA" – „ამერიკის შეერთებული შტატები" შეცვლილია სიტყვების წყობა.

ნასესხები აბრევიატურების და აკრონიმების მაგალითებია: „WWW“-World Wide Web; „NATO“- North Atlantic Treaty Organization და ა.შ

ეჭვგარეშეა, რომ საკუთარი სახელების თარგმნა არ წარმოადგენს მარტივ საკითხს და მთარგმნელის მხრიდან მოითხოვს გონივრულ გადაწყვეტილების მიღებას თარგმნის პროცესში. საკუთარი სახელების თარგმნისას გამოიყენება სხვადასხვა მთარგმნელობითი პროცედურები, მთარგმნელები ყოველთვის ერთსა და იმავე სტრატეგიას არ იყენებენ ყველანაირი საკუთარი სახელის თარგმნისას.

ოქსფოდის ლექსიკონის თანახმად, საკუთარი სახელი „არის სიტყვა, რომელიც წარმოადგენს პიროვნების, ადგილის, დაწესებულების და ა.შ სახელს და იწერება დიდი ასოთი“. (Oxford Dictionary)

საკუთარი სახელების თარგმნის სხვადასხვა მოდელი არსებობს. მაგალითად: ჰერვეი და ჰიგინსი გვთავაზობენ საკუთარი სახელების თარგმნის სამ მოდელს:

1) *„ეგზოტიზმი: სახელი უნდა შენარჩუნდეს უცვლელად წყარო ენიდან სამიზნე ენაზე გადმოტანისას. ეს მეთოდი არ განიხილავს კულტურულ ტრანსფორმაციას“* [S.Hervey & I Higgins;1988: 29].

2) *ტრანსლიტერაცია: სახელი შეცვლილია სამიზნე ენის ფონეტიკური და გრაფიკული წესების თანახმად* [S.Hervey & I.Higgins;1988: 29].

3) *კულტურული ტრანსპლანტაცია: წყარო ენაზე არსებული საკუთარი სახელის ჩანაცვლება სამიზნე ენაზე იმ სახელით, რომელსაც გააჩნია ორიგინალის მსგავსი კულტურული კონოტაცია.*[S.Hervey & I.Higgins;1988: 29].

თარგმნის დროს ვიხელმძღვანელე სამივე მოდელის გამოყენებით, კერძოდ, ეგზოტისმის მოდელის გამოყენებით გადმოვიტანე ადამიანთა სახელები და გვარები და აგრეთვე ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი. მაგ: Africa-აფრიკა; Sahara-საჰარა; Ann Cooper-ანა კუპერი და ა.შ.

ტრანსლიტერციის წესების გათვალისწინებით ვთარგმნე შემდეგი საკუთარი სახელები: მაგ, Rwanda- რუანდა, Guatemala-გვატემალა, Christopher Decker-ქრისტოფერ დეკერი, Frank Garcia- ფრანკ გარსია, Malini Mehra-მალინი მერა, Paul Kagame- პოლ კეგეიმი და ა.შ.

ქართულ ენაში ორიგინალის მსგავსი კულტურული კონოტაცია გააჩნიათ შემდეგ საკუთარ სახელებს: Chechnya-ჩეჩნეთი, UN- გაერო, USA-აშშ, Democratic Republic of Congo-კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, East Timor- აღმოსავლეთ ტიმორი, Sub Ssaharan Africa- ქვე საჰარული აფრიკა, January-იანვარი და ა.შ

თუმცა ზოგიერთი საკუთარი სახელის გადმოტანისას ვიხელმძღვანელე ჰერმანსის მიერ შემოთავაზებული საკუთარი სახელების თარგმნის ერთ-ერთი სტრატეგიით, რომლის თანახმადაც: *„ისინი უნდა დავაკოპიროთ, ანუ სამიზნე ენაზე ზუსტად იგივენაირად უნდა გადმოვიტანოთ, როგორც ეს წყარო ენაზეა*“[T.Hermans;1988:13].

ამის მაგალითებია: „ www” , “ Human Rights Watch”, “Turkish daily news”, The Free B 92” “ Radio B 92” “ OpenNet” “ NetAid” და ა.შ

დასკვნა

ძირითად ნაწილში განხორციელებული მთარგმნელობითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თარგმნა ეს საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმიანობაა. მთარგმნელობა წყარო და სამიზნე ენების ცოდნაზე გაცილებით მეტს მოითხოვს, კერძოდ, უნარებს რომლთა საშუალებითაც მთარგმნელმა უნდა შეძლოს მიზნებისა და აუდიტორიის გათვალისწინებით გარდაქმნას შეტყობინება და მოახდინოს მისი სათანადო ინტერპრეტირება. გაითვალისწინოს, არ მხოლოდ ენობრივი, არამედ ექსტრალინგვისტური კონტექსტი:სოციალური, კულტურული და სხვა ფაქტორები. მთარგმნელს ორივე ენის ლექსიკურ გრამატიკული წესების ცოდნასთან ერთად მოეთხოვება ამ ენებზე მოსაუბრე ხალხთა სოციალურ-კულტურულ მახასიათებლებშიღრმად და საფუძვლიანად გარკვევა. თარგმანმა როგორც პროცესმა, ტრადიციული სირთულეებისა და გამოწვევების წინაშე დაგვაყენა. ეს სირთულეები უკავშირდება:

1. ქართული და ინგლისური ენების განსხვავებულ გრამატიკულ სტრუქტურას- ყველა ენას გააჩნია განსაზღვრული სტრუქტურა. ინგლისურ ენას არ აქვს სამიზნე(ქართული) ენის არც იდენტური და არც მსგავსი სტრუქტურა, რამაც თარგმნის პროცეს გარკვეულ დაბრკოლებები შესძინა. ამ სირთულეების დაძლევა მთარგმნელისგან პირველ რიგში მოითხოვა ორივე ენის გრამატიკულ სტრუქტურაში გარკვევა, შემდეგ კი ამის მიხედვით ისეთი ცვლილებების განხრციელება, როგორიცაა: წინადადების წევრთა გადანაცვლება, სიტყვის ჩამოშორება ან დამატება და ა.შ. ეს მთარგმნელს საშუალებას აძლევს, გადმოსცეს სამიზნე ენაზე სწორი გზავნილი.
2. ლექსიკური სტრუქტურას- ამ ტიპის მთარგმნელობითი სირთულეების აღმოჩენა ეფუძნება ლინგვისტური ფორმების ფორმარულ კონსტრუქციების ცოდნას, რომელშიც იგულისხმება: ფრაზეოლოგიზმები, გამონათქვამები, ანდაზები, აბრევიატურები, ტერმინები და ნასესხობები. აღნიშნული სირთულეების დაძლევა მოვახერხეთ როგორც ორივე ენის ღრმა და საფუძვლიან ცოდნით, ასევე კულტურულ-ისტორიული ფაქტორების გათვალისწინებასაც.

ჩემ მიერ შესრულებულმა თარგმანმა და შემდეგ ამ სირთულეებისა და პრობლემების ანალიზმა საშუალება მომცა ერთი მხრივ,უკეთესად დამენახა წყარო ენის სპეციფიკა სათარგმნი ტექსტის ბუნებიდან გამომდინარე და მეორე მხრივ, დამოუკიდებლად მეპოვა მათი გადაჭრის გზები.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა:

1. Barnhizer. D „Effective Strategies for Protecting Human rights:prevention and intervention, trade and education. Ashgate Publishing Company, 2001

გამოყენებული დამხმარე ლიტერატურა:

2. Abdellah, Antar S. (2002). "What Every Novice Translator should know" in *Translation Journal*, Volume 6, Number 3 http://accurapid.com/journal/21novice.htm.
3. Burukina O. Legal Translation in Russia: Creating New Technology. Moscow State Linguistic University, 2000
4. Catford, J. (1995) Alinguistic Theory of Translation. London. Oxford University Press.
5. El Shafey, F.,A.,M.,(1985). "Compounding in English and Arabic, Implications for Translation Methodology" M.A Thesis, Faculty of Arts, Cairo University
6. Eugene. A. Nida and CHARLES A TABER „The theory and practice of translation“(1982)
7. Foster, M. (1958) Translation from/in Farsi and English. Retrieved April, 2007, from http://www.parasa.ts.com/index.htm.
8. Ghazala, Hasan, (1995) Translation as problems and solutions (4th ed.) Syria: Dar Elkalem ElArabi.
9. Hatim and Munday. 2004. Translation: An Advanced Resource Book. New York: Routledge
10. Hermans, T. (1988). On translating proper names, with reference to De Witte and Max Havelaar. In M. J. Wintle (ed.) *Modern Dutch Studies. Essays in Honour of Professor Peter King on the Occasion of his Retirement*. London/Atlantic Highlands: The Athlone Press.
11. Hervey, S., & Higgins, I. (1992). *Thinking Translation*. London & New York: Routledge.
12. Ingo, Rune. 2007. Konsten att översätta. Lund: Studentlitteratur
13. Ivir 1981 "Formal correspondence vs. translation equivalence revisited" Poetics Today
14. Massoud, M.,F.,(1988). *Translate to Communicate, A Guide for Translators*. New York: Library of Congress Cataloging-in-Publication Data.
15. Newmark, P. (1988a). *A Textbook of Translation*. Hertfordshire: Prentice Hall.
16. Tournier, J., *Précis de lexicologie anglaise*. Paris, Nathan, 1988

გამოყენებული ინტერნეტ წყაროები:

1. https://translationjournal.net/October-2017/definition-of-translation.html
2. https://www.strategiesinlanguagelearning.com/translation-challenges/
3. https://translationjournal.net/journal/21novice.htm
